

ქანონისმიერი და დელიქტური პაღდეგულეგანი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №9

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	
1.1 საზიარო უფლებები	
საზიარო საგნის მართვა	4
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას	14
საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით	28
1.2 უსაფუძვლო გამდიდრება	
ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	33; 45
ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები	57; 74; 92
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები ..	106; 114
2. დელიქტური ვალდებულებანი	
სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის	126
ზიანის ანაზღაურება	137
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	178

1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

1.1 საზიარო უფლებები

საზიარო საგნის მართვა

განჩინება

საქართველოს სასხელით

№ას-1002-963-2016

15 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელების მოთხოვნა და მოთხოვნის ფაქტობრივი
საფუძვლები:**

1.1. ს. დ-მა, ლ. ხ-მა (უფლებამონაცვლე თ. წ-ი), მ. ე-მა, ლ. ტ-ემ, ვ. ს-მა (უფლებამონაცვლე ნ. ხ-ა), ს. ნ-ამ, თ. ნ-ამ, მ. ბ-მა და ნ. ბ-მა (შემდგომში – მოსარჩელები, აპელანტები ან კასატორები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ვ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მონინალმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა, კერძოდ, მოპასუხის თანხმობის გარეშე, მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული, დაზიანებული უძრავი ქონების დემონტაჟის, ახალი მრავალბინიანი სახლის მშენებლობის უფლების მინიჭება, ასევე, მოპასუხის იმ უფლების აღიარება, რომელიც გულისხმობს კუთვნილი წილის პროპორციულ ფართზე სამომავლო მოთხოვნის უფლების არსებობასა და მშენებლობის დასრულებისთანავე ახალაშენებულ სახლში კონკრეტული ფართის საკუთრებაში გადაცემას.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხარეებს თანასაკუთრებაში გააჩნიათ უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ფ-ის ქ№36-ში. უძრავი ქონება მათი ერთადერთი საცხოვრისა და არის ავარიული. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მოსარჩელებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ძველი, ავარიული შენობის დემონტაჟი და ახალი, თანამედროვე საცხოვ-

რებელი სახლის აშენება, თუმცა ქონების ერთ-ერთი თანამესაკუთრე – მოპასუხე, ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებას და უარს აცხადებს ხსენებულზე. ქონების გაუმჯობესების მიზნით კი, მოსარჩელებმა მოიძიეს ინვესტორი, რომელიც თანახმაა, აწარმოოს მშენებლობა და თანამესაკუთრეებს ყოველგვარი დანახარჯების გარეშე საკუთარებაში გადასცეს იმაზე მეტი ფართი, ვიდრე მათ გააჩნიათ, ამ მიზნით მათ გააფორმეს კიდევაც წინარე ხელშეკრულება და ძირითადი ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია მოპასუხის პოზიციაზე.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული შენობა აგურის მყარი ნაგებობაა სქელი კედლებით, მოსარჩელეთა მითითება, რომ ის არის ავარიული და ჩამოქცევის საფრთხე არსებობს, დაუსაბუთებელია, რადგანაც ეს გარემოება არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, რეალურად შენობა საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების წარმოებას და მოპასუხე საკუთრებით თავისუფალი სარგებლობის უფლებიდან გამომდინარე, უარს აცხადებს ქონების დემონტაჟზე. ამასთანავე, მოპასუხემ საკუთარ ინდივიდუალურ ფართში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, მათ შორის გამაგრებები, რაზეც სოლიდური ხარჯი განია.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით – სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინებით, სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი, ასევე, ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს საზიარო საგნის თანამესაკუთრისათვის კანონით განსაზღვრული უფლების გამოყენების შეზღუდვის წინაპირობების არსებობა. კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ განჩინებას და პრეტენზიას აცხადებენ სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტის ჩვენების არასწორად შეფასების თაობაზე, საჩივრის თანახმად, ხსენებული დოკუმენტების საფუძველზე პალატამ არასწორად დაადგინა, თითქოს საცხოვრებელი კორპუსი არ საჭიროებს დემონტაჟს. სასამართლოს ხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ თანამესაკუთრებები უნდა დაელოდონ შენობის უკიდურესად დაზიანებას იმისათვის, რომ მოახდინონ მისი დემონტაჟი და ახლის აშენება. ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტის ჩვენების არასაკმარისად მიჩნევის შემთხვევაში, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით უნდა დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა. გარდა ხსენებულისა, კასატორებს ზოგადი პრეტენზია აქვთ გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებასთან მიმართებით და თვლიან, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ ზემოხსენებული პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად

ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. ქ. თბილისში, ფ-ის ქ№36-ში მდებარე 718 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა მხარეთა თანასაკუთრებაა. მხარეთა წილობრივი მონაცემები თანასაკუთრებაში შემდეგია: ვ. მ-ს ეკუთვნის ქონების 1/12; ლ. კ-ას, მ., ნ. და მ. ბ-ებს – 2/12; ს. დ-ს – 2/12; მ. ე-ს – 1/12; ვ. ს-ს – 1/12; ლ. ხ-ს – 2/12; ლ. ტ-ეს – 1/12; ს. ნ-ას – 1/36, ხოლო, თ. ნ-ას – 1/36;

1.2.2. მოსარჩელეთა დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მის მზიდ კონსტრუქციებში არ არის განვითარებული მნიშვნელოვანი სახის დეფორმაციები, აღინიშნება მრავალი დაზიანება და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შეუსაბამობა, სახლის კონსტრუქციული სქემა, იმ დეფექტების გათვალისწინებით, რაც კვლევით ნაწილშია აღწერილი, არასრულყოფილია. მის მზიდ კედლებსა და კონსტრუქციებში განვითარებული ბზარები მოითხოვს დაკვირვებას და, პროგრესის შემთხვევაში, შესაბამისი კონსტრუქციული ხასიათის ზომების მიღებას;

1.2.3. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევათა მონაცემების ანალიზი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შენობის მზიდ და არამზიდ კონსტრუქციებში დაფიქსირებული დეფორმაციები საფრთხის შემცველი არ არის და შენობა ექსპლუატაციისათვის ვარგისია. შენობა კაპიტალურობის თვალსაზრისით, მე-3 ჯგუფს განეკუთვნება. მისი ექსპლუატაციის ვადა საძირკვლისათვის 100 წელია, კედლებისათვის – 100 წელი, ხოლო, გადახურვისთვის – 50 წელი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ შენობაში განვითარებულია ცალკეული დაზიანებები, იატაკის კონსტრუქციები მოქნილია, მისი შემდგომი ექსპლუატაციის რესურსი შემცირებულია, თუმცა ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან ის დამოკიდებულია მისი დათვალიერებისა და სარემონტო სამუშაოების პერიოდულობაზე, მოვლასა და ბუნებრივ მოვლენებზე; შენობის დემონტაჟი არ არის აუცილებელი, მისი აღდგენა-გაძლიერება შესაძლებელია და აუცილებელიც; შენობის გამაგრება-გაძლიერების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს წინას-

წარ დამუშავებული გამაგრებითი პროექტის საფუძველზე, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება, დადგინდეს გამაგრებითი სამუშაოების ღირებულება გადააჭარბებს თუ არა ახალი კორპუსის მშენებლობისათვის საჭირო აუცილებელ ხარჯებს. ამასთანავე, ცნობილი უნდა იყოს ახალი კორპუსის სამშენებლო მოცულობები, ამასთანავე, ობიექტი აღდგენილ უნდა იქნეს ან გაძლიერდეს სეისმომდევნობისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

1.2.4. ხსენებული დასკვნის ავტორის სიტყვიერი განმარტებით, სადავო შენობის დემონტაჟი არ არის აუცილებელი, თუმცა საჭიროა მისი აღდგენა-გაძლიერება. შენობა კარგი ნაგებია, მისი ტექნიკური მდგომარეობა ცვეთისა და ადამიანის მავნე ზემოქმედების გათვალისწინებით დამაკმაყოფილებელია. თუ მოხდება სათანადო აღდგენა-გაძლიერება, მომავალი 30 წლის განმავლობაში ექსპლუატაცია შესაძლებელია. აღდგენა-გაძლიერების ხარჯი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ახალი შენობის აგების ხარჯის ნახევარს.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. მოხმობილი ფაქტების, სარჩელის ფაბულისა და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, რომ სარჩელის მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან – საზიარო უფლებიდან გამომდინარე თანამესაკუთრის უფლების განკარგვის შეზღუდვას შეეხება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია კანონის ძალით, რამდენადაც ისინი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრეები არიან მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 956-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 959-ე მუხლის თანახმად, საზიარო საგნის მართვა/განკარგვა მხოლოდ თანამონაწილეთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. კანონმდებლის ამგვარი ნება გამომდინარეობს საკუთრების უფლების ბუნებიდან, და არ შეიძლება, პირს, მისი ნება-სურვილის გარეშე, ჩამოერთვას/შეეზღუდოს კანონით გარანტირებული უფლებები. თავად საზიარო საგანი წარმოადგენს რა მრავალბინიან სახლს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ძიებისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, საერთო საკუთრების არსებით განვითარებას სწორედ ამხანაგობის წევრთა მიერ საერთო კრებაზე ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირებს. ხსენებული ნორმატიული

აქტი ემყარება რა სამოქალაქო კოდექსით გარანტირებულ მესაკუთრის/თანამესაკუთრის სანივთო უფლებებსა და კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლით აღიარებულ პრინციპებს, აზუსტებს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ რეგულაციას და, შესაძლებელია, საზიარო საგნის განკარგვის/არსებითი გაუმჯობესების საკითხის მოწესრიგებისას მის შემავსებლად იქნეს მიჩნეული.

1.3.2. საკასაციო სასამართლო, თეორიული თვალსაზრისით, დასაშვებად მიიჩნევს თანამესაკუთრისათვის გარანტირებული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუკი დადგინდება მისი მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალი პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისაგან შედგება და კანონის მიზანი სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერად წარმართვაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარება სახეზეა მაშინ, როდესაც უფლების მქონე პირი ამ უფლებას საკუთარი ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის მართლზომიერად იყენებს. სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ადგენს სხვა პირის ქონებისადმი/უფლებისადმი განსაკუთრებული გულისმიერების მოვალეობას, ასე მაგალითად: სანივთო სამართალი, რომელიც ნივთზე ბატონობის პრინციპიდან გამომდინარე მეტი იმპერატიულობით ხასიათდება, ერთი მხრივ, ადგენს მესაკუთრის უფლებას, საკუთარი შეხედულებით გადანყვიტოს საკუთრების ბედი, ამასთან, 170-ე მუხლის პირველი ნაწილითვე განსაზღვრავს შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძველს – თუკი არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. 316-ე მუხლის მე-2 ნაწილით სახელშეკრულებო ურთიერთობაში ხაზგასმულია სხვა პირის ქონებისა და უფლებებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების დაცვა. სამოქალაქო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ზოგად პრინციპებს ვხვდებით ასევე მე-8 მუხლის მე-3 ნაწილსა და 115-ე მუხლში, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება სამართლის საკითხს წარმოადგენს და, ყოველ სადავო შემთხვევაში, სასამართლო ამონებს უფლების მქონე პირის ქმედების მიზანს: ურთიერთობის მონაწილის ნება ხომ არ არის მიმართული მხოლოდ სხვა პირისათვის ზიანის მიყენებისკენ. აქვე უნდა ითქვას, რომ თეორიული თვალსაზრისით, სამოქალაქო კოდექსის ყველა ის ზო-

გადი პრინციპი (მათ შორის – ხსენებული ნორმები), რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებასთან კონკურენციაში არ იმყოფება, გამოიყენება ყველა ინსტიტუტთან, მათ შორის – კანონისმიერ ვალდებულებებთან მიმართებაში.

1.3.3. მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია რა საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენების აუცილებლობა, საზიარო საგნის თანამესაკუთრის უფლების შეზღუდვა, ფართო გაგებით, საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად განიხილება, თავად ეს უფლება კი, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის დამატებითი ოქმის პირველი პუნქტით, რომელიც უფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს, თუ მას გააჩნია ლეგიტიმური საფუძველი, ჩარევა გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მწვავე საჭიროებით და პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევისა, ანუ სხვა უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალების გამოყენებით ვერ იქნება მიღწეული ლეგიტიმური მიზანი.

1.3.4. საკასაციო სასამართლო, სარჩელის ფაბულის გათვალისწინებით, მიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 8.3 და 115-ე მუხლები მოპასუხის უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველია, მწვავე საჭიროებას – ლეგიტიმურ მიზანს საცხოვრისის ჩამოქცევის საფრთხე ნამდვილად წარმოადგენს, ვინაიდან საფრთხის განხორციელებას შესაძლოა, როგორც თანამესაკუთრის, ისე სხვა მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა მოჰყვეს შედეგად, და, ამ წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში, საზიარო საგნის თანამესაკუთრისათვის უფლების განხორციელების შეზღუდვა შესაძლოა, ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება იყოს, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია მოთხოვნის წარმატებულობის პროცესუალური წინაპირობები. სარჩელში გადმოცემული ფაქტების, ზემოხსენებული გარემოებებისა და მოპასუხის შედავების გათვალისწინებით, მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების არსებობა – შენობის ჩამოქცევის რისკი, რისი მტკიცებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მოსარჩელეს.

1.3.5. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებითა და ექსპერტის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტების ანალიზის საფუძველზე (სსსკ-ის 105-ე მუხლი), პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, რომ მოსარჩელეებმა ვერ დაძლიეს კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რაც, თავის მხრივ, მოპასუხის უფლების შეზღუდვის წინაპირობების არარსებობაზე მიუთითებს. ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არ შეი-

ცავს დასაბუთებულ შედეგებას, მხარეები აპელირებენ იმაზე, რომ სასამართლომ ყოველმხრივ არ გამოიკვლია საქმის მასალები და მცდარად დაადგინა საზიარო საგნის მდგომარეობა, თუმცა საქმეში არსებული რომელიმე მტკიცებულება აქარწყლებს სასამართლოს დასკვნას, კასატორებს არ მიუთითებიათ, ისევე, როგორც ზოგადი ხასიათისაა მათი შედეგება სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე.

1.3.6. საკასაციო სასამართლო იმ საკასაციო პრეტენზიის საპასუხოდ, რომლის თანახმადაც თანამესაკუთრეები უნდა დაელოდონ შენობის მდგომარეობის გაუარესებას, განმარტავს, რომ როგორც სამოქალაქო კოდექსის 960-ე, ისე – „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგნის თანამესაკუთრეებს ევალებათ საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საფრთხეების აღმოფხვრის და თანასაკუთრების ობიექტის გამაგრებისათვის საჭირო ხარჯების განევის ვალდებულება.

1.3.7. საკასაციო პალატა ასევე უარყოფს კასატორთა პრეტენზიას სასამართლოს ინიციატივით განმეორებითი ექსპერტიზის დაინიშნის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი ადგენს განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საკითხს და ნორმის წინაპირობები შემდეგია: საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს არ უნდა გააჩნდეს სპეციალური ცოდნა; აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქმის გადანყვეტისათვის და მის გარეშე გადანყვეტის გამოტანა – შეუძლებელი იყოს; საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნა არ უნდა იყოს სრული; სასამართლო არ უნდა ეთანხმებოდეს ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით; საქმეში არსებული რამდენიმე ექსპერტის დასკვნა უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. ნორმის წინაპირობათაგან სახეზე მხოლოდ ერთია: საკითხის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობისაა შენობის მდგრადობის საკითხი და მისი ცოდნა ცდება იურისპრუდენციას, თუმცა, საქმეში წარმოდგენილი დასკვნებით, უარყოფილია შენობის სახიფათოობა, უფრო მეტიც, საქალაქო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დანიშნა ექსპერტიზა, რომლითაც გამყარდა მანამდე წარდგენილი დასკვნა, რომელიც გამორიცხავდა საზიარო საგნის ექსპლუატაციის დაუშვებლობას, ამასთანავე, თავად მოსარჩევეებს არ უსარგებლიათ ამავე კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილით და არ შეუთავაზებიათ სასამართლოსათვის ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა. პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორმა, ასევე, 162-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება ექსპერტიზის დასკვნის საქმის მომზადების ეტაპზე წარდგენის თაობაზე (მხოლოდ

საპატიო მიზეზის/საქმის განხილვისას წამოჭრილი აუცილებლობისას ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა მთავარ სხდომაზე), შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, იგი ფართოდ არ უნდა იქნეს განმარტებული. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, 2016 წლის 8 ივნისის განჩინებით, აპელანტების მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებების – ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე უარი განაცხადა და ამ განჩინებას ასაჩივრებენ კასატორები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში საკასაციო სასამართლომ შეისწავლა გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების წინაპირობები (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). სასამართლო მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საკასაციო საჩივარი საოქმო განჩინების გაუქმების თვალსაზრისით, მხოლოდ მოთხოვნით შემოიფარგლება და მხარეებს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევას სასამართლო საკუთარი ინიციატივით ვერ შეამონმებს (სსსკ-ის 404.1 მუხლი), თუმცა, ასეც რომ არ იყოს, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტის თაობაზე მოსარჩელეებისათვის ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში გახდა ცნობილი მოპასუხის შესაგებლთ, შესაბამისად, მათ მტკიცებულება საქმის მომზადების დასრულებამდე უნდა წარედგინათ, უკიდურეს შემთხვევაში, მოსარჩელეს ეს უფლება სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის გაცნობის შემდგომ უნდა განეკარგა. რაიმე საპატიო მიზეზის არსებობა (სსსკ-ის 215.3 მუხლი) საქმის მასალებით არ დგინდება, ამდენად, პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ არ არსებობდა ახალი მტკიცებულებების, როგორც დაგვიანებით წარდგენილის სააპელაციო განხილვის ეტაპზე საქმისათვის დართვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

1.3.8. რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც დემონტაჟის შემთხვევაში სამომავლო საკუთრებაში მოპასუხის წილის განსაზღვრას ეხება, პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნას იურიდიული საფუძველიც კი არ გააჩნია, რადგანაც ხსენებული საკითხი სახელშეკრულებო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, რომელზეც კონტრაპირების იძულება არ ვრცელდება (სკ-ის 319.2 მუხლი), ხოლო ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებაზე სასამართლო კონტროლი არ დაიშვება, ვინაიდან ხელშემკვერელ მხარეთა მოლაპარაკების პროცესი არ შეიძლება უფლების დარღვევად იქნეს განხილული.

1.4. გასაჩივრებული განჩინებების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებებს, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორებმა ვერ დაამტკიცეს მათი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრული წინაპირობების არსებობა.

2. სასამართლო ხარჯები:

საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოსარჩელების მიერ განეული პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ამ ხარჯებთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა მონინალმდევე მხარეს არ დაუყენებია, ამასთანავე, ვინიდან მოსარჩელების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მათ მიერ განეული ხარჯები უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 404-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. დ-ის, ლ. ხ-ის, მ. ე-ის, ლ. ტ-ის, ვ. ს-ის, ს. ნ-ას, თ. ნ-ას, მ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კასატორების შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას

ბანძინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1889-2018

27 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება წილის ნატურით
გაყოფის გზით

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. გ. ს-ძემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ლ-ვას (შემდგომში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაისში კ. ქ№...-ში (ყოფილი კ. ქუჩა შეს. ... №., გ. ქუჩა შეს. ... №...), მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ №03.03.28...), შენობა-ნაგებობის №1 შენობის აივანზე საზიარო უფლების გაუქმება, მისი პირველი სართულის კარისა და ფანჯრების წინ მდებარე საზაფხულო ღია აივნის ფართი მიეკუთვნოს მოპასუხეს საზიარო კედლის შუა წერტილამდე, ხოლო საზაფხულო ღია აივნის ქვეშ ფანჯრისა და კარის წინ მდებარე ფართი მიეკუთვნოს მოსარჩელეს.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელის სახელზე ირიცხება ქ. ქუთაისში კ-ძის ქ. №...-ში მდებარე №1 სახლის ერთი გამოყოფილი ნაწილი, საერთო ფართობით 302,60 კვმ; 24,96 კვ.მ №2 შენობა (დამხმარე ნაგებობა) და 7,40 კვ.მ №3 დამხმარე ნაგებობა, ხოლო მოპასუხის სახელზე – №1 სახლის მეორე გამოყოფილი ნაწილი, საერთო ფართობით 51,86 კვმ; სახლის წინ მდებარე ბეტონის აივანი და ამ აივანზე არსებული 2,1 კვ.მ დამხმარე სათავსი დარჩა მხარეთა საერთო სარგებლობაში. აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ი. ლ-ვასა და გ. ს-ძისათვის მისაკუთვნიებული საზაფხულო ფართი 19,39 კვმ და 18,76 კვმ ზედიერკვლის სართულზე განთავსებული 18,76 კვმ ფართი შესაძლებელია მიეკუთვნოს გ. ს-ძეს, ხოლო მის ზემოთ სრული სართულის წინ მდებარე 19,39 კვ.მ საზაფხულო ფართი შესაძლებელია მიეკუთვნოს მო-

პასუხეს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ მარტივი შესაგებელი წარადგინა, მიუთითა მხოლოდ ის, რომ არ ეთანხმებოდა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებისა და საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან, საზიარო უფლებებიდან გამომდინარე თანამესაკუთრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, კერძოდ, საზიარო საგანი შესაძლებელია თუ არა ტრანსფორმირდეს ინდივიდუალურ საკუთრებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევე-

ბი, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს, რომელიც ძირითადად შემდეგია:

1.1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1993 წლის 13 მაისის №3/2 გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისში, კ. ქ№...-ში მემკვიდრეობით მიღებული თანასაკუთრებიდან, იდეალური წილიდან, კასატორს საკუთრების უფლებით გამოეყო №1 სახლის 12/24 კვ.მ საცხოვრებელი ოთახი, 7,84 და 7,4 კვ.მ დამხმარე, ასევე, 32,5 კვ.მ და 16,57 კვ.მ დამხმარე სათავსები, სულ – 51,86 კვ. მეტრი. რაც შეეხება სახლის წინ მდებარე ბეტონის ღია აივანსა და ამ აივანზე არსებულ 2,1 კვ.მ დამხმარე ფართს, იგი დარჩა მხარეთა საერთო სარგებლობაში. სახლი იყო დაუკანონებელი, რომლის რეგისტრაციაც ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის აღმასკომის 1987 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით განხორციელდა, ხოლო ქ. ქუთაისის სასამართლოს 1993 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ნ. ს-ესა და მოპასუხეებს: ი. ლ-ვასა და გ. ს-ძეს შორის გაიმიჯნა საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთი. გადაწყვეტილება აღასრულა აღმასრულებელმა და გაავლო რკინის ღობე საზიარო კედლის შუა წერტილიდან ქუჩის გასწვრივ, ღობემდე. აღნიშნული ღობე დაანგრია მოპასუხემ თვითნებურად, რომელზეც დავა სასამართლოში მხარეთა მორიგებით დასრულდა. 2013 წლის 7 მაისს ნ. ს-ძემ კასატორს აჩუქა სადავო მისამართზე მდებარე გამჩუქებლის კუთვნილი დაკანონებული და დაუკანონებელი შენობა-ნაგებობა, №1 სახლის 233,45 კვ.მ და №2 ნაგებობიდან – 24,96 კვ.მ, სულ – 258,41 კვ.მ. ჩუქების, ასევე, მემკვიდრეობის გზით რეალური წილის მიღების შემდგომ, საჯარო რეესტრის მონაცემებით №1 სახლის საერთო ფართი გახდა 302,6 კვ.მ, №2 – 24,96 კვ.მ, ხოლო დამხმარე სათავსი – 7,4 კვ.მ. მოპასუხის კუთვნილი ფართი მდებარეობს პირველ სართულზე, მასზე მიდგმულია ღია აივანი და აქვს იზოლირებული შესასვლელი, რომლითაც არ სარგებლობს მოსარჩელე, ვინაიდან აქვს უძრავ ქონებაში დამოუკიდებელი შესასვლელი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღებული შენობის წინ მდებარე ღია აივანსა და მის ქვეშ არსებულ ფართზე საზიარო უფლების გაუქმებისა და მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში აღრიცხვის მოთხოვნის წარდგენა. ვინაიდან მოპასუხის საკუთრება განთავსებულია პირველ, ხოლო მოსარჩელის – ზედიერკვლის სართულზე, სარჩელით მოთხოვნილ იქნა მოპასუხის კუთვნილი 17,62 კვ.მ ოთახის წინ მდებარე 19,39 კვ.მ ბეტონის ღია აივნის მონინა-აღმდეგე მხარისათვის, ხოლო ზედიერკვლის სართულზე, კასატო-

რის კუთვნილი 16,57 კვ.მ ოთახის წინ მდებარე 18,67 კვ.მ ფართის მოსარჩელისათვის მიკუთვნება. მოთხოვნის საფუძვლიანობის დადასტურების მიზნით სარჩელს ერთვის აუდიტორული დასკვნა;

1.1.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან სარჩელის უარყოფა ემყარება საექსპერტო კვლევის არარსებობას, სააპელაციო საჩივრით მოთხოვნილი იყო ექსპერტიზის დანიშვნა, რადგანაც მოსარჩელის ინიციატივით მოწვეული ექსპერტი მოპასუხემ ეზოში არ შეუშვა. სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით შუამდგომლობა დააკმაყოფილა, თუმცა კასატორისათვის უცნობი იყო სასამართლოს მიერ დასმული კითხვის შინაარსი, რომელიც სადავო ფართის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფას შეეხებოდა ფუნქციური დანიშნულების შენარჩუნებით. ამგვარი მიდგომა არღვევდა კასატორის საკუთრების უფლებას, რადგანაც გასამიჯნ ფართში არ შეიძლებოდა შესულიყო მის მიერ ჩუქებით მიღებული ქონება. მიუხედავად ხსენებულ საკითხზე სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვისა, სააპელაციო პალატას მასზე პასუხიც არ გაუცია. კასატორმა 2018 წლის 19 აპრილს დამოუკიდებლად მიმართა ექსპერტიზას ალტერნატიული დასკვნის მიხედვით, თუმცა ეს დასკვნა 2018 წლის 14 ივნისის სხდომაზე სააპელაციო პალატამ არ მიიღო იმ დასაბუთებით, რომ წარდგენილი იყო საპროცესო წესების დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის ადვოკატის შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე და საკუთარი უარი ახსნა იმით, რომ დასკვნა შუამდგომლობების წარდგენის ეტაპზე უნდა მიეტანა მხარეს, ხოლო სასამართლო იმყოფებოდა კამათის სტადიაზე. სასამართლოს ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯები გაიღო აპელანტმა და მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე გადაეცა დასკვნა (სადაც მოცემულია ფართის გამიჯვნის რამდენიმე შესაძლებლობა) სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა ექსპერტის დაკითხვის თაობაზე. მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, რომელიც წარმოდგენილი იყო ადვოკატებით, კითხვა არასწორად იყო ფორმულირებული და ექსპერტიც არ საუბრობდა გამიჯვნის შედეგად ფართის ღირებულების შემცირების საკითხზე. ექსპერტთა განმარტებით, ისინი მხარს უჭერდნენ მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნას და ფართის გამიჯვნის კონკრეტულ შემთხვევაზე შეთანხმება სასამართლოს და მხარეთა გადაწყვეტილების ობიექტს წარმოადგენდა. რაც შეეხებოდა ღირებულების საკითხს, მათი განმარტებით, იგი კომპლექსური საინჟინრო-სასაქონლო ექსპერტიზის შეფასების საგანს წარმოადგენდა. სასამართლოს არაკომპეტენტურობის გამო, დაზარალდა მხარე, რომელმაც გაიღო ხარჯები, ხო-

ლო მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც არ ეთანხმებოდა კვლევის შედეგებს, შეეძლო ჩაეტარებინა ალტერნატიული ექსპერტიზა;

1.1.3. სასამართლომ არასწორად შეაფასა ექსპერტიზის დასკვნა და არასწორად დაასკვნა, რომ იგი არ იძლეოდა საზიარო უფლების ნატურით გაუქმების შესაძლებლობას ქონების ღირებულების შემცირების გარეშე. სასამართლოს განმარტებით, უფლების გაუქმებისათვის საჭირო იყო დამატებითი ჩარევები და რეკონსტრუქცია. თავად ექსპერტიზის დასკვნით კი, ქონების გამიჯვნის რამდენიმე ვარიანტია შეთავაზებული მისი ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე, ხოლო ექსპერტი სასამართლოს მხრიდან იყო შეცდომაში შეყვანილი;

1.1.4. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, ასევე, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია, მისი პრეტენზიების გაზიარებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. ქ. ქუთაისში კ. ქ№...-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას სხვადასხვა წილობრივი მონაცემებით, კერძოდ №1 სახლის ერთი გამოყოფილი ნაწილი (302,60 კვ.მ); №2 შენობის დამხმარე ნაგებობა (24,96 კვ.მ) და №3 შენობა – დამხმარე ნაგებობა (7,40 კვ.მ) ეკუთვნის მოსარჩელეს, ხოლო, №1 სახლის მეორე გამოყოფილი ნაწილი (საერთო ფართით 51,86 კვ.მ) – ი. ლ-ს;

1.2.2. სახლის გამოყოფილი ნაწილიდან მოსარჩელეს საკუთრების უფლებით ნატურით გამოყოფილი აქვს 12,24 კვ.მ საცხოვრე-

ბელი ოთახი 7,84 კვ.მ და 7.4 კვ.მ დამხმარე სათავსები, ასევე, 32,50 კვ.მ და 16,57 კვ.მ სამეურნეო ოთახები. აღნიშნული სახლიდან მოპასუხეს საკუთრების უფლებით ნატურით გამოეყო 34,24 კვ.მ საცხოვრებელი ოთახი და 17,62 კვ.მ ფართი;

1.2.3. უძრავი ქონების დამხმარე სათავსი, სახლის წინ მდებარე ბეტონის აივანი და ამ აივანზე არსებული 2,1 კვ.მ დამხმარე სათავსი არის მხარეთა საერთო სარგებლობაში;

1.2.4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 30 იანვრის დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად:

– საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ფართი შეადგენს 175,23 კვ.მ-ს (აივნის ფართისა და აივანზე არსებული დამხმარე სათავსოს ფართის გათვალისწინების გარეშე), ხოლო მის ქვეშ არსებული ნახევარსარდაფი შეადგენს 127,99 კვ.მ-ს. სულ 303,22 კვ.მ-ს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, №1 შენობა-ნაგებობის ფართი შეადგენს 354,46 კვ.მ-ს. სხვაობა რეგისტრირებულ 354,46 კვ.მ ფართსა და საინვენტარიზაციო გეგმაზე მოცემულ 303,22 კვ.მ ფართს შორის შეადგენს 51,24 კვ.მ-ს. საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, მოპასუხის წილი №1 შენობა-ნაგებობიდან შეადგენს 51,86/354,46 ნაწილს, ხოლო მოსარჩელის წილი №1 შენობა-ნაგებობიდან – 302,60/354,46 ნაწილს;

– სადავო სახლის პირველ სართულზე მდებარე აივნის ფართი შეადგენს 69,16 კვ.მ-ს, ხოლო ამ აივნის ქვეშ მდებარე ფართი – 65,93 კვ.მ-ს. სულ – 135,09 კვ.მ-ს. საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე აივნიდან და ამ აივნის ქვეშ მდებარე ფართიდან მოპასუხის 51,86/354,46 წილის შესაბამისი ფართი 19,76, კვ. მეტრია ($135,09 \times 51,86 / 354,46 = 19,76$), ხოლო მოსარჩელის 302,60/354,46 წილის შესაბამისი ფართი – 115,33 კვ.მ ($135,09 \times 302,60 / 354,46 = 115,33$ კვ.მ);

1.2.5. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „ქალაქ ქუთაისში, კ-დის ქუჩა №...-ში (ყოფილი კ. ქუჩა ... შესახვევი №..., გ. ... შესახვევი №...), მდებარე საცხოვრებელი სახლის აივნისა და ამ აივნის ქვეშ მდებარე სულ 135,09 კვ.მ ფართის გაყოფა თანამესაკუთრეთა შორის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წილების შესაბამისად, ფუნქციური დანიშნულების შემცირების გარეშე, შესაძლებელია ორ ვარიანტად:

– მოპასუხეს შესაძლებელია გამოეყოს მისი 51,86/354,46 წილის შესაბამისი 19,76 კვ.მ ფართი (იხ. დანართ №3 და №4-ში ლურჯი ფერით აღნიშნული), ხოლო მოსარჩელეს შესაძლებელია გამოეყოს მისი 302,60/354,46 წილის შესაბამისი 115,33 კვ.მ ფართი (იხ. დანართი №3 და №4 ყვითელი ფერით აღნიშნული). ასეთი გაყოფის

შემთხვევაში საჭიროა ამოშენდეს და მოეწყოს აღნიშნულ დანართებზე წითელი ფერით ნაჩვენები ტიხარი და ფანჯრის ღიობი;

– მითითებული ფართის გაყოფა შესაძლებელია ისე, როგორც ეს დანართ №5-ზე აღნიშნული, რა შემთხვევაშიც მოპასუხეს, შესაძლებელია, გამოეყოს 1/2 წილის შესაბამისი 67,54 კვ.მ ფართი, რაც შეესაბამება 1/2 წილის შესაბამის 135,09:2=67,54 კვ.მ ფართს (იხ. დანართი 5 ლურჯი ფერით აღნიშნული), ხოლო მოსარჩელეს შესაძლებელია გამოეყოს 1/2 წილის შესაბამისი 67,54 კვ.მ ფართი, რაც შეესაბამება 1/2 წილის შესაბამის 135,09:2=67,54 კვ.მ ფართს (იხ. დანართი №5 ყვითელი ფერით აღნიშნული). ასეთი გაყოფის (დანართი №5) შემთხვევაში საჭიროა, ამოშენდეს და მოეწყოს დანართზე წითელი ფერით ნაჩვენები ტიხარი, ფანჯრისა და კარის ღიობები. ასევე, საჭირო გახდება დღეის მდგომარეობით აპელანტის სარგებლობაში არსებული ფართის მხარეს არსებული კიბის გადატანა“;

1.2.6. ექსპერტი პირდაპირ მიუთითებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნატურით გაყოფა შესაძლებელი, თუ ამოშენდება ტიხარი, ფანჯრისა და კარის ღიობები, ასევე, გადატანილი იქნება ერთ-ერთი მხარის საკუთრებაში არსებულ ფართზე მდებარე კიბე;

1.2.7. საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი მხარეთა წილების თაობაზე ეხება, როგორც მიწის ნაკვეთს ასევე – ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობებს. მხარეებს შესაბამისი წილი ეკუთვნით არა მხოლოდ შენობებიდან, არამედ – მთლიანი უძრავი ქონებიდან. მოცემულ შემთხვევაში პრობლემურია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ექსპერტიზის დასკვნით საზიარო უფლების გაყოფა დამატებითი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია, არამედ ისიც, რომ თანასაკუთრების ამგვარი გაყოფის პირობებშიც კი, მიწის ნაკვეთი თანამესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში რჩება.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს და განმარტავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა კანონისმიერ ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, კერძოდ, სახეზე გვყავს საზიარო საგნის თანამესაკუთრები (სკ-ის 953-ე მუხლი), რომელთაგან ერთ-ერთი მოითხოვს საზიარო უფლების გაუქმებას ქონების ნატურით გაყოფის გზით. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმებს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირველი ნაწილი და 963-ე მუხლი წარმოადგენს, რომელთა თანახმადაც, თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო სა-

განი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. განსახილველი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელი წარმატებულია თუკი დადგინდება შემდეგი წინაპირობების არსებობა:

- მხარეები უნდა იყვნენ საზიარო საგნის/საგნების თანამესაკუთრეები;

- ერთ-ერთი თანამესაკუთრე უნდა მოითხოვდეს საზიარო უფლების გაუქმებას;

- საზიარო საგანი ტექნიკურად უნდა იძლეოდეს თანამესაკუთრეთა რეალური წილების პროპორციულად ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობას;

- ამგვარი დაყოფის შედეგად არ უნდა მცირდებოდეს საგნის ფუნქციური დანიშნულება.

1.3.2. საზიარო უფლების გაუქმების აბსოლუტური ბუნება ნაკარნახევია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დისპოზიციით, რომელიც ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. საკუთრების უფლების არსი მოიცავს თანამესაკუთრის შესაძლებლობას, ქონება გააჩნდეს ინდივიდუალურად ან ფლობდეს მას სხვა თანამესაკუთრებთან ერთად, შესაბამისად, კანონი ადგენს თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების შესაძლებლობას ნებისმიერ ეტაპზე, თუკი ამგვარი ნება უფლების სუბიექტს გააჩნია. გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ უფლების მქონე პირის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მისი როგორც ნატურით, ისე – რეალიზაციის გზით გაუქმების შესაძლებლობას და სამოქალაქო კოდექსის 963-ე-964-ე მუხლებს შორის ქონებასთან ფიზიკური კავშირის შენარჩუნებისათვის მეტი უპირატესობის მინიჭება გამართლებულია, როგორც საზიარო უფლების გაუქმების ინიციატორის, ისე – სხვა თანამესაკუთრის უფლებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, არ დაკარგოს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თავად საზიარო საგნის თვისებიდან გამომდინარე, გამოირიცხება მისი გამოიჯვნა, სწორედ ამის შემდგომად დასაშვები ქონების რეალიზაციის გზით თანასაკუთრების რეჟიმის შეცვლა.

1.3.3. საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 961.1 და 963-ე მუხლებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის (საზიარო უფლების გაუქმება ნატურით დაყოფის გზით) დადგომისათვის აუცილებელია შემდეგი ორი პირობის კუმულაციურად არსებობა: ა) შესაძლებელი უნდა

იყოს საზიარო საგნის დაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად; ბ) ამგვარი დაყოფის შედეგად არ უნდა შემცირდეს ნივთის ღირებულება. ამ უკანასკნელ პირობაში იგულისხმება ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის. ამდენად, ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-881-1112-04, 23 ივნისი, 2005 წ; №ას-1205-1150-2013, 11 ივნისი, 2015 წ).

1.3.4. საკასაციო პალატა არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომლის თანახმადაც მთავარ ნივთს წარმოადგენს შენობა-ნაგებობა, ხოლო მის არსებით შემადგენელ ნაწილს – მიწის ნაკვეთი, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, მთავარ ნივთს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, ხოლო მისი არსებითი შემადგენელი ნაწილია შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარად დაკავშირებულია მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისთვის, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საზიარო უფლების უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი (რაც შეეხება მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგანს – ბინას, იგი, როგორც ცალკე უფლების ობიექტი, შეიძლება დამოუკიდებლად გახდეს შეფასების საგანი, იხ. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, თუმცა ეს შემთხვევა სახეზე არ გვაქვს).

1.3.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ საზიარო უფლების ნაწილობრივ გაუქმების შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მოთხოვნის წინაპირობების დამტკიცების შემთხვევაში, თანასაკუთრების რეჟიმი სრულად უნდა გაუქმდეს თანასაკუთრების ობიექტზე: როგორც მიწის ნაკვეთზე, ისე – მის არსებით შემადგენელ ნაწილზე.

1.3.6. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო პალატის მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების დარღვევის, ასევე, მოპასუხის მხრიდან მტკიცებულებათა წარუდგენლობის მიუხედავად მისი პოზიციის არასწორად გაზიარების თაობაზე და განმარტავს, რომ მართალია, ხსენებული ნორმებიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება, თუმცა კანონის ზოგადი დანაწესები ყოველ კონკრეტულ შემ-

თხვევაში უნდა შეფასდეს საკითხის თავისებურების გათვალისწინებით. შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში უპირველესად მოსარჩელემ უნდა დაძლიოს მითითების ტვირთი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მან მოთხოვნის განხორციელების ყველა წინაპირობაზე უნდა მიუთითოს სარჩელში, ამ ფაქტების დამტკიცება კი, თავისთავად უნდა აძლევდეს მოსამართლეს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ, მართალია, მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი წარადგინა, თუმცა მასში არ არის მითითებული არსებითი შედაგვანი, მოპასუხეს არც საქმის მომზადების ეტაპის დასრულებამდე დაუზუსტებია კონკრეტული გარემოებები, რის გამოც მოითხოვდა სარჩელის უარყოფას (სსსკ-ის 201.4 და 219.1 მუხლები), თუმცა შესაგებლის არსებითობის საკითხი სასამართლოს შეფასების საგანი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის საკითხი იქნება დაძლეული. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა საზიარო უფლების გაუქმებას ქონების ნატურით გაყოფის გზით, თუმცა, სარჩელში არ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის წინაპირობები, უფრო მეტიც, სარჩელს ერთვის შპს „ა-ის“ 2016 წლის 27 აპრილის აუდიტორული დასკვნა, რომელიც საზიარო საგნის დაყოფის თაობაზე დასაბუთების მინიმალურ სტანდარტსაც არ შეესაბამება, ხოლო საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოსამართლე თავად ვერ დაადგენდა მოთხოვნის წინაპირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის წინაპირობების მტკიცების ტვირთი საზიარო უფლების გაუქმების ინიციატორს ეკისრება.

1.3.7. პალატა მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 10 ნოემბრის განჩინებით გაიზიარა აპელანტის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და ექსპერტს დაუსვა შემდეგი შეკითხვა: „შესაძლებელია თუ არა ქ. ქუთაისში, კ. ქ№...-ში (ყოფილი კ. შესახვევი, №..., ს/კ.: 03.03...) გ. ს-ძისა და ი. ლ-ვას თანასაკუთრებაში (საერთო სარგებლობაში) არსებული უძრავი ქონების (საზიარო უფლების) – ღია აივნისა და აივნის ქვეშ მდებარე საერთო ფართის (დავის საგანი) ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა მათი ღირებულების შემცირების გარეშე? ე.ი ისე, რომ გამოყოფილმა ნაწილებმა შეინარჩუნოს არსებული ფუნქციური დანიშნულება და გაყოფილი ნაწილების ღირებულება იყოს ერთგვაროვანი“. საექსპერტო დასკვნის თანახმად, მართალია, ქონების გამიჯვნის რამდენიმე ვარიანტია შემოთავაზებული (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.4.-1.2.5.), თუმცა უდავოა, რომ საგნის დაყოფა მოითხოვს არსებითი ხასიათის ჩარევებს (იხ. სამოტივაციო

ნაწილის პ.პ. 1.2.6.), ამასთანავე, მინა კვლავ რჩება მხარეთა საერთო სარგებლობის საგნად. ამგვარი დაყოფა კი, მიუთითებს ქონების გამოიჯვინის შეუძლებლობაზე, რაც სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავს მოთხოვნას.

1.3.8. სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას სასამართლოს მხრიდან ექსპერტისათვის შეკითხვის არასწორად დასმის თაობაზე, თუმცა, აღნიშნავს, რომ საექსპერტო კვლევა, მიუხედავად შეკითხვის ფორმულირებისა, შეიცავს პასუხს ყველა გამოსაკვლევ საკითხზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორი შეკითხვის დასმის ფაქტი მაინც ვერ იქონიებს გავლენას გამოსაკვლევ გარემოებაზე, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ვინაიდან კასატორის განმარტებით, მისი მხრიდან ვერ მოხერხდა ექსპერტიზის ჩატარება, სასამართლომ სწორედ მისი საპროცესო უფლებების დაცვისა და საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის ქონის გამო დანიშნა ექსპერტიზა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად. ხსენებული ნორმა ადგენს საპროცესო ხარჯების გადახდის წესს და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადალებას ავალდებულებს იმ მხარეს, რომლის ინიციატივითაც ხდება ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, ხოლო იმის მიხედვით, თუ რა შედეგი დადგება სასამართლომ აქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 53-ე მუხლის თანახმად, გაღებული სასამართლო ხარჯები განაწილდება მხარეთა შორის. ამდენად, კასატორის პრეტენ-

ზია, რომლის თანახმადაც მას არასწორად მოუწია ექსპერტიზის ხარჯების გადახდა უარყოფას ექვემდებარება, რადგანაც, როგორც ითქვა, საპროცესო მოქმედება მისი ინიციატივით ჩატარდა, ხოლო, სარჩელის წარუმატებლობის გამო, ამ თანხების მოსარჩელისთვის ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხეს არ წარმოშობია.

1.3.9. გაზიარებას არ ექვემდებარება მხარის შედაგება ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის მიუღებლობის თაობაზე. საკასაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში შეაფასა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს წინმსწრები განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ იგი არ ემყარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრულ სამართლის ნორმათა დარღვევას. ამ შემთხვევაში, კასატორი თავად აღნიშნავს, რომ საექსპერტო კვლევა მან საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წარადგინა სააპელაციო სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, ასევე, 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. სარჩელის (შესაგებლის) წარდგენისას მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადა ექსპერტის დასკვნის წარმოსადგენად. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას ექსპერტის დასკვნა მხარემ შეიძლება წარმოადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე მისთვის ექსპერტის დასკვნის წარდგენის საჭიროება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და ასეთი საფუძველი წარმოიშვა ამ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა საქმის მომზადების სტადიაზე. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე ითქვა, კასატორი ვალდებული იყო, ჯერ კიდევ სარჩელის აღძვრისას წარედგინა მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ გავიზიარებთ მის პრეტენზიას, რომ აუდიტორული დასკვნის არასაკმარისობის თაობაზე მისთვის მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდგომ გახდა ცნობილი, უდავოა, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა ექსპერტიზა, ხოლო

კასატორმა ალტერნატიული დასკვნა წარადგინა დაგვიანებით იმ-გვარად, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ვადის განსაზღვრის უფ-ლებითაც არ უსარგებლია საქმის არსებითად განხილვის დაწყე-ბამდე (ან მას შემდეგ, რაც მხარემ მოსამართლის მიერ დასმული კითხვის კორექტირება მოითხოვა). ამდენად, კასატორის შუამ-დგომლობა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს მხრიდან გაზიარებას.

1.3.10. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში დასაშვებად ცნობილი მტკიცებულების – ექსპერტიზის დასკვნის შეფასების საკითხს, პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასე-ბებსა და დასკვნებს და მიიჩნევს, რომ სასამართლომ დასკვნის შინაარსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის დაც-ვით შეაფასა. ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთე-ბულ პრეტენზიას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო ამონ-მებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასა-ციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატო-ვების პროცესუალურსამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასა-მართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამარ-თლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვე-ვა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწო-რია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნა-წილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამარ-თლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა მისი გაუქმების სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზ-ღვრული წინაპირობების არსებობა.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულე-ბები:

დაზუსტებულ საკასაციო საჩივარს მხარემ დაურთო მტკიცე-ბულებები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი, ამ ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენას გამო-

რიცხავს, რამდენადაც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო შედეგებთან ფარგლებში შეაფასოს საქმეში უკვე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების სისწორე. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის თაობაზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უბრუნებს მათ კასატორს.

3. სასამართლო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. ვინაიდან წინამდებარე განჩინებით მისი საკასაციო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, პროცესის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 104-ე, 404-ე, 407-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. კასატორის მოთხოვნა ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმების, ასევე, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 29 მაისის დასკვნის საქმისათვის დართვისა და გამოკვლევის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. გ. ს-ძეს დაუბრუნდეს 22.01.2019წ. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 11 (თერთმეტი) ფურცლად.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლებების გაუქმება საგნის გაყიდვით

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№სს-1512-2019

29 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: საზიარო უფლებების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისში, ... მდებარე უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდით № ..., რეგისტრირებული იყო ი. მ-ძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე), დ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე ან პირველი აპელანტი) და ქ. ც-ძეების (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, მეორე აპელანტი ან კასატორი) თანასაკუთრების უფლება შემდეგი წილობრივი მონაცემებით პირველ მოსარჩელეს – 4/9, მეორე მოსარჩელეს – 103.28 კვ.მ, ხოლო მოპასუხეს – 4/9 ნაწილი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება), სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული როგორც „ექსპროპრიატორი“) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, სახელდობრ, 442 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი) და ამ უფლებების რეალიზაციის შედეგად აღნიშნული ქონების მესაკუთრედ სახელმწიფო აღირიცხა საჯარო რეესტრში.

3. აუდიტორული კომპანია „ათოსის“ დასკვნის მიხედვით, საზიარო საგნის ღირებულება – 212 735.5 ლარია (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც საზიარო საგანი). ამავე დასკვნით, 1 კვ.მ მიწის ღირებულება 45 ლარით, ხოლო საცხოვრებელი სახლის – 649 ლარით განისაზღვრა. ექსპროპრირებული ქონების საკომპენსაციო

თანხის გაყოფაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ექსპროპრიატორ-მა ის განათავსა ნოტარიუსის (მ. გ-ძე) სადეპოზიტო ანგარიშზე.

4. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით 2017 წლის 6 ივლისს მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნით, მათი მტკიცებით, ექსპროპრიაციის შედეგად მიღებული თანხიდან თითოეულ მხარეს უძრავ ქონებაში კუთვნილი წილის პროპორციული თანხა უნდა მიეღო. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, ის ამტკიცებდა, რომ თანხა მხარეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების და არა საჯარო რეესტრის ჩანაწერების შესაბამისად უნდა განაწილებულიყო.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; დადგინდა, რომ უძრავი ქონების ექსპროპრიაციის შედეგად ექსპროპრიატორის მიერ მესაკუთრეებისათვის საკომპენსაციოდ გადახდილი თანხიდან – 212 735.5 ლარი (რომელიც განთავსებულია ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე) – პირველი მოსარჩელის წილი – 94 549.11, ხოლო მეორე მოსარჩელის – 23 637.28 ლარია. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 173-ე, 953-ე, 961-ე და 964-ე მუხლები გამოიყენა.

6. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე მოსარჩელემ და მოპასუხემ. მეორე მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, მეორე მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა, რომ უძრავი ქონების ექსპროპრიაციის შედეგად მესაკუთრეებისათვის საკომპენსაციოდ გადახდილი თანხიდან – პირველი მოსარჩელის წილი – 69 538.39, ხოლო მეორე მოსარჩელის – 73 658.72 ლარი იყო.

6.1. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სსკ-ის 961.1 და 963-ე მუხლები. პალატის დასკვნით, მინის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა – 19 890 ლარი სამ ნაწილად უნდა განაწილებულიყო და თითოეულ მესაკუთრეს, 6630 ლარი უნდა მიკუთვნებოდა. რაც შეე-

ხება საცხოვრებელ სახლს, რადგან, მეორე მოსარჩელის კუთვნილი 103.28 კვ.მ-ს ღირებულება 67 028.72 ლარია, საზიარო თანხას უნდა გამოჰკლებოდა მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა (212 735.5 – 67 028.72-19 890) და დარჩენილი 125 816,78 ლარი პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის თანაბრად განაწილებულიყო.

7. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მესაკუთრეთა წილის შესაბამისად მისაღები საკომპენსაციო თანხები. უდავოა, რომ 4/9 წილის მფლობელს გაცილებით მეტი თანხა ეკუთვნის, ვიდრე 1/9-ის, შესაბამისად, გაუგებარი იყო, რატომ მიაკუთვნა სასამართლომ მეორე მოსარჩელეს მეტი თანხა, ვიდრე პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

10. უძრავი ქონების ექსპროპრიაციის შედეგად მისაღებ საკომპენსაციო თანხაზე საზიარო უფლების გაუქმებისა და მესაკუთრეთა წილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნა სსკ-ის 953-ე (თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს), 954-ე (თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი), 961.1 (თითოეულ

მონილეს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლებების გაუქმება) და (5.1).964.1 (კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია)) თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით) მუხლებიდან გამომდინარეობს. ზემოაღნიშნული ნორმებით, განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება და ამისთვის ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია.

11. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ექსპროპრიაციის ცნებას, კერძოდ, ესაა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლისა და ამ კანონის შესაბამისად, საკუთრების ჩამორთმევა ჩამორთმეული ქონების წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციით. ამავე კანონის 2.1. მუხლის მიხედვით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, მესაკუთრეს ჩამოართვას საკუთრება კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ, მესაკუთრემ უნდა მიიღოს გონივრული და სამართლიანი კომპენსაცია, რომლის ოდენობა აანაზღაურებს ექსპროპრიაციის შედეგად მესაკუთრის დანაკარგს, თუმცა, საკომპენსაციოდ მიღებული თანხის თანამესაკუთრეთა შორის განაწილების წესს ეს კანონი არ ადგენს.

12. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საზიარო უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ ნაწილობრივ არ ეთანხმება შესაბამის სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ განსახილველი ურთიერთობისთვის ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლის ნორმას სსკ-ის 964.1 მუხლი წარმოადგენს, რადგან, დადგენილია, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული საკუთრების საკომპენსაციოდ თანამესაკუთრეებს – 212 735.5 ლარი ჩაერიცხათ და სწორედ ამ თანხამ

(გვაროვნულმა ნივთმა) ჩაანაცვლა მხარეთა თანასაკუთრების საგანი, რომლის გაყოფაც ხსენებული ნორმით და სსკ-ის 954-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგანზე თითოეული თანამესაკუთრის წილის შესაბამისად უნდა მოხდეს, კერძოდ, დადგენილია, რომ უძრავ ქონებაზე, რომელზეც ექსპროპრიატორს ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა, მხარეთა თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია, შემდეგი წილობრივი მონაცემებით პირველ მოსარჩელეს – 4/9, მეორე მოსარჩელეს – 103.28 კვ.მ, ხოლო მოპასუხეს – 4/9 ნაწილი. ასევე, დადგენილია, რომ საზიარო საგნის ღირებულება – 212 735.5 ლარია, საიდანაც 1 კვ.მ მიწის ღირებულება 45 ლარით, ხოლო საცხოვრებელი სახლის – 649 ლარით განისაზღვრა. ამდენად, მეორე მოსარჩელის წილი მიწის ნაკვეთიდან – 2210 ლარი (19890 X 1/9), ხოლო პირველი მოსარჩელისა და მოპასუხის წილი – 8840 – 8840 (19890 X 4/9) ლარია. რაც შეეხება საცხოვრებელ სახლს, მისი ღირებულება – 67028.72 (103.28 X 649) ლარს შეადგენს რასაც უნდა დაემატოს მიწის ნაკვეთის ღირებულება, 2210 ლარი და, საბოლოოდ მეორე მოსარჩელის წილი – 69 238,72 ლარით განისაზღვროს, შესაბამისად, დარჩენილი თანხა 143 496,78 (212 735.5 – 69 538.39) ლარი, უნდა განაწილდეს პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პირველი მოსარჩელე არ ასაჩივრებს მისთვის 69 538.39 ლარის მიკუთვნების თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, საკასაციო სასამართლო, არ არის უფლებამოსილი, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (სსსკ-ის მე-3 და 248-ე მუხლები), მისი წილი, 2210 ლარი, მეორე მოსარჩელის წილს უნდა დაემატოს და, საბოლოოდ ექსპროპრიაციის შედეგად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მესაკუთრებისათვის საკომპენსაციოდ გადახდილი – 212735.50 ლარიდან, პირველი მოსარჩელის წილი – 69538.39 ლარით, მეორე მოსარჩელის წილი – 71448.72 ლარით, ხოლო მოპასუხის წილი – 71748.39 ლარით უნდა განისაზღვროს.

13. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა :

1. ქ. ც-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. მ-ძისა და დ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. ქ. თბილისში, ..., ს/კ ... ექსპროპრიაციის შედეგად მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდის მიერ მესაკუთრეებისათვის საკომპენსაციოდ გადახდილი თანხიდან – 212735.50 ლარიდან (რომელიც განთავსებულია ნოტარიუს მ. გ-ძის სადეპოზიტო ანგარიშზე) დ. ც-ძის წილი განისაზღვროს 71448.72 ლარით, ი. მ-ძის წილი განისაზღვროს 69538.39 ლარით და ქ. ც-ძის წილი განისაზღვროს 71748.39 ლარით;

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

1.2 უსაფუძვლო გამდიდრება

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-1165-1111-2013

29 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესამე პირი), საქართველოს მთავრობის 03.11.2006 წლის ... განკარგულების შესაბამისად, 2006 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსათვის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სამინისტრო, მოსარჩელე, აპელანტი) განსაზღვრული საერთო ასიგნებიდან საკრედიტო რესურსი – 8 000 000 ლარი გამოყოფა და მოსარჩელესთან ერთად 2006 წლის 14 ნოემბერს ხელშეკრუ-

ლება სს „ს. სთან“ გააფორმა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სანარმო, მსესხებელი, მოპასუხე, კასატორი) 8 000 000 ლარის 7 წლით სესხების შესახებ წლიური 7 % სარგებლის დარიცხვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 623-ე და 625.1 მუხლები). ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო, სესხის სახით გამოყოფილი თანხა გამოეყენებინა 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის, „მუხრანის“, სარეაბილიტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე (№...) ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც, დადგენილება), რომ სანარმოს ყოფილმა ხელმძღვანელებმა მოპასუხისათვის სესხის სახით გამოყოფილი 8 000 000 ლარიდან 2 138 300 ლარი გაფლანგეს, რითაც მოსარჩელეს მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი მიაღდა და საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი. მითითებული თანხის გაფლანგვისა და ამით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შესახებ აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის №1/4631-10 განაჩენშიც (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც განაჩენი).

3. მოპასუხემ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა და სარგებელი დაფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

4. 2011 წლის 21 თებერვალს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ არამიზნობრივად გამოყენებული თანხის – 2 138 300 ლარის დაკისრების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულება, კერძოდ, მისთვის გამოყოფილი სესხიდან – 8 000 000 ლარიდან 2 138 300 ლარი არამიზნობრივად დახარჯა, რითაც მოსარჩელეს ზიანი მიაყენა. აღნიშნული დასტურდებოდა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებითაც.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითა, რომ სამინისტრო არასათანადო მოსარჩელე იყო, რომელსაც სესხის ან/და სარგებლის მიღების უფლება არ ჰქონდა; არც სანარმო იყო სათანადო მოპასუხე, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის მიხედვით, ზიანის მიმყენებელ სუბიექტს მოპასუხე არ წარმოადგენდა. ამასთან, სასარჩელო მოთხოვნა ნათლად არ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, გაურკვეველი იყო, თუ რა სახის ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა მოსარჩელე.

6. მესამე პირმა განმარტა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხეს სესხად გამოყოფილი თანხა მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის უნდა გამოეყენებინა. სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებით კი დადგინდა, რომ საწარმოს ხელმძღვანელებმა თანხის ნაწილი არამიზნობრივად გახარჯეს, რაც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის სახით უნდა დაჰკისრებოდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316.1, 317.1, 361.2, 623-ე, 624-ე და 625.1, 992-ე მუხლები და მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და იგი დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების ფაქტი, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ თანხის ნაწილი არამიზნობრივად გახარჯა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდებოდა, ასევე, მოპასუხეს არ დაურღვევია სესხისა და პროცენტის გადახდის შეთანხმებული გრაფიკი. ამდენად, ზიანი, რომელიც კონკრეტული და დათვლადი უნდა ყოფილიყო და მოსარჩელის მატერიალურ დანაკლისში, შემოსავლის შემცირებაში, ანდა ქონების შემცირების ტენდენციაში უნდა გამოხატულიყო, არ არსებობდა.

8. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

8.1. აპელანტის მტკიცებით, სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი განაჩენით, ასევე, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებით დასტურდებოდა, რომ საწარმოს ხელმძღვანელების მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოსარჩელეს 2 138 000.00 ლარის ზიანი მიადგა, შესაბამისად, სასამართლოს დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 997-ე მუხლი უნდა გამოეყენებინა, რადგანაც, აპელანტის მოსაზრებით, არსებობდა მუშაკის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანი, ამასთან, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი.

8.2. მოსარჩელე სააპელაციო საჩივარში ასევე აპელირებდა, რომ მისთვის მიყენებული ზიანი დაზუსტებული და დათვლადი, კერძოდ, ბიუჯეტიდან ზედმეტად ათვისებული და გახარჯული იმ თანხის ტოლფასი იყო, რომელიც, დროულად დაბრუნების შემთხვევა-

ში, მიემართებოდა სხვა მსგავსი ღონისძიებების დასაფინანსებლად. აპელანტმა ყურადღება სესხის გაცემის მიზანზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ იგი არ იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომლის მიზანი სესხის გაცემისას საპროცენტო სარგებლის მიღება იქნებოდა. ხელშეკრულების მიზანი ელექტროგადამცემი ხაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება იყო. მოპასუხემ 2 138 000 ლარი ზემოაღნიშნული მიზნებისათვის არ გამოიყენა, რის გამოც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას არ მოხმარდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა.

9.1. პალატამ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 992-ე მუხლის დანაწესი მიიჩნია და მიუთითა, რომ მოსარჩელე მოპასუხისაგან დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა და მოთხოვნის საფუძვლად არა სახელშეკრულებო, არამედ დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმაზე – სსკ-ის 997-ე მუხლზე აპელირებდა. საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით კი, ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები გამარტივებული წესით განიხილება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვის თავისებურება ისაა, რომ ფაქტი ზიანის მიყენების შესახებ სასამართლოს შემონმების საგანს არ წარმოადგენს და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დგინდება. სასამართლოს კვლევის საგანი კი, მხოლოდ მიყენებული ზიანის ოდენობა შეიძლება გახდეს.

9.2. ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 309¹⁷ მუხლის მე-2 ნაწილზე მიუთითა, რომელიც მტკიცებულებათა დასაშვებობას ეხება და განმარტა, რომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ცალსახად დგინდებოდა, რომ დელიქტით გამოწვეული ზიანის ოდენობის დასადგენად დასაშვები მტკიცებულება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი იყო, ამასთან, თუ განაჩენი ზოგადად ადგენდა ზიანის მიყენების ფაქტს და არ ასაბუთებდა ზიანის ოდენობას, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსარჩელეს დამატებითი მტკიცებულების წარდგენა დასჭირდებოდა.

9.3. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი 2 138 300 ლარია, რაც დაანგარიშებული იყო განაჩენით და ამ ოდენობით ზიანის მიყენების დასაბუთება ეყრდნობოდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს, ასევე – საქმეში წარმოდგენილ სხვა წერილობით მტკიცებულებებსა და ექსპერტიზის დასკვნებს.

10. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. სასამართლოს დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან მოსარჩელე თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად ამ ნორმებზე არ უთითებდა. მოსარჩელემ მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მიუთითა სსკ-ის 997-ე მუხლზე, მანამდე კი, ამ ნორმაზე არ აფუძნებდა თავის მოთხოვნას;

10.2. დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება არასწორი იყო იმიტომაც, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენით ზიანის მიმყენებელი იყო არა საწარმო, არამედ ამ საწარმოს ხელმძღვანელი ფიზიკური პირები.

10.3. სააპელაციო სასამართლოს სარჩელი გამარტივებული წესით არ უნდა განეხილა, ვინაიდან ასეთი მოთხოვნა მოსარჩელეს არც სარჩელში და არც სააპელაციო საჩივარში არ დაუყენებია;

10.4. სესხის თანხა გადაცემის მომენტიდან მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენდა. სესხის არამიზნობრივი ხარჯვისათვის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა, ამასთან, სესხის არამიზნობრივი ხარჯვა რომც დასტურდებოდა, მოპასუხეს ამ თანხის ბიუჯეტისათვის დაბრუნების ვალდებულება წარმოემოზოდა. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დაუბრუნა მოსარჩელეს როგორც სესხი, ასევე სარგებელი.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

12. წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 412-

ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმე, ხელახალი განხილვის მიზნით, უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასება-დადგენის თვალსაზრისით კასატორმა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

14. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადანყვეტილების დაუსაბუთებლობა იმით გამოიხატა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები), ამასთან, ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი), რასაც შედეგად მოჰყვა სარჩელის დაკმაყოფილება საკმარისი არგუმენტაციის გარეშე.

15. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეყენებინა კანონის ის ნორმები, რომლებზედაც მოსარჩელე არ ამყარებდა თავის მოთხოვნას. საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის ზემოხსენებული პრეტენზია, ვინაიდან საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლო არაა შეზღუდული მხარის მიერ

მითითებული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებით. სასამართლო ვალდებულია, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს კანონის ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს (შდრ. იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ, საქმე №ას-973-1208-04).

16. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოსაძიებლად საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხე სანარმოს სანესდებო კაპიტალის 50% წილის მფლობელი პარტნიორი არის სახელმწიფო, რომელმაც მის საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტი მართვის უფლებით გადასცა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს. სწორედ ამ უკანასკნელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო ასიგნებიდან სახელმწიფომ 8 000 000 ლარი ასესხა მოპასუხეს კონკრეტული მიზნით – სანარმოს კუთვნილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაციისათვის, ანუ სანარმოს პარტნიორმა მიზნობრივი სესხი მისცა თავის მიერვე დაფუძნებულ სანარმოს. მოსარჩელის თავდაპირველი განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, კერძოდ, არამიზნობრივად დახარჯა 2 138 300 ლარი, რითაც ამდენივე ზიანი მიაყენა მოსარჩელეს, ანუ ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ არამიზნობრივად დახარჯული 2 138 300 ლარი წარმოადგენდა ზიანს. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო თანხის არამიზნობრივად დახარჯვის (გაფლანგვის) ფაქტი დასტურდებოდა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა – დაეკისროს მოპასუხეს არამიზნობრივად გამოყენებული 2 138 300 ლარის გადახდა. მოგვიანებით, მოსარჩელემ დააზუსტა, რომ ზიანი მას მიადგა ზემოხსენებული თანხის დროულად დაუბრუნებლობით, კერძოდ, მოპასუხეს სადავო თანხა დაუყოვნებლივ, 2006 წელსვე უნდა დაებრუნებინა, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად მისი დახარჯვის საჭიროება არ არსებობდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, ამ თანხას გამოიყენებდა სახელმწიფო ენერგოსისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, სხვა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციისათვის. ასევე, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს სესხი გადასცა განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებით და რომ არა სესხის მიზნობრიობა, მოპასუხე სესხს ვერ მიი-

ლებდა წლიური 7%-იანი სარგებლით (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს 18.03.2013 წლის სხდომის ოქმი).

17. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 992-ე და 997-ე მუხლები და მათ საფუძველზე სარჩელი არ უნდა დაეკმაყოფილებინა. სსკ-ის 992-ე მუხლის (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) გამოყენება არასწორია იმიტომ, რომ მითითებული ნორმით დელიქტური პასუხისმგებლობა შეიძლება, დაეკისროს ზიანის მიმყენებელ პირს. მოცემულ შემთხვევაში, თავად მოსარჩელის განმარტებისა და სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის მიხედვით, სესხის სადავო თანხა არამიზნობრივად დახარჯეს (გაფლანგეს) საწარმოს დირექტორებმა, შესაბამისად, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა საწარმოს ვერ დაეკისრება, ვინაიდან მოსარჩელისათვის ზიანი მას არ მიუყენებია. ამასთან, მართალია, სსკ-ის 998.2 მუხლის მიხედვით (ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე, ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით), დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ზიანის მიმყენებელთან ერთად, სოლიდარულად შეიძლება დაეკისროს იმ პირსაც, ვისაც ზიანი უშუალოდ არ მიუყენებია, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, არც განაჩენით არაა დადგენილი და არც მოსარჩელე არ უთითებს, რომ ზიანის უშუალოდ მიმყენებლები საწარმომ დაიყოლია ან მათი ხელშემწყობი იყო ან კიდევ, შეგნებულად ისარგებლა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანით, შესაბამისად, ვერც ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა საწარმოს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არც სსკ-ის 997-ე მუხლის (პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე) გამოყენების წინაპირობა არ არსებობს. მართალია, განაჩენით დადგენილია, რომ საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების (დირექტორების) დანაშაულებრივი ქმედებით ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ამავე საწარმოს პარტნიორი, არ წარმოადგენს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინ-

ნებულ მესამე პირს, რომელსაც შეუძლია, მოთხოვნა წაუყენოს სა-
წარმოს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყე-
ნებული ზიანისათვის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ
დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საწარმოსა
და დირექტორს შორის არსებული ვალდებულებებისამართლებრი-
ვი ურთიერთობა არა შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე,
არამედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და დავა-
ლების ხელშეკრულების ნორმებით წესრიგდება (შდრ. სუსგ №ას-
319-302-2017, 28.07.2017), შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ დი-
რექტორი ვერ მიიჩნევა საწარმოს მუშაკად სსკ-ის 997-ე მუხლის
გაგებით.

18. ზემოხსენებული ნორმები მოსარჩელის მოთხოვნის სამარ-
თლებრივ საფუძველდაც რომ მივიჩნიოთ, მოსარჩელის მოთხოვნა
– არამიზნობრივად გამოყენებული 2 138 300 ლარის მოპასუხისათ-
ვის დაკისრების თაობაზე, მაინც უსაფუძვლო იქნებოდა, ვინაი-
დან მოსარჩელეს ეს თანხა მიღებული აქვს, კერძოდ, დადგენილია
და მოსარჩელე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ საწარმომ
სესხი, სარგებელთან ერთად, მოსარჩელეს სრულად დაუბრუნა
ხელშეკრულებით შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. აქედან გა-
მომდინარე, მოსარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნის დაკმაყო-
ფილება ამ უკანასკნელის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევ-
და, რაც დაუშვებელია (შდრ. იხ. სუსგ, №ას-1607-1509-2012,
01.07.2013).

19. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქ-
მეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი
ფაქტებიდან გამომდინარე, საწარმოს თავად მიადგა ზიანი მისი
დირექტორების დანაშაულებრივი ქმედებით, რაც უფლებას ანი-
ჭებს საწარმოს, დააყენოს დირექტორების პასუხისმგებლობის სა-
კითხი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის სა-
ფუძველზე. იმ შემთხვევაში კი, თუ საწარმო არ გამოიყენებს ამ
უფლებას, საწარმოს პარტნიორს შეუძლია, საზოგადოების ნაც-
ვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი
ამ მოთხოვნის განსახორციელებლად („მენარმეთა შესახებ“ საქარ-
თველოს კანონის 53.5 მუხლი).

20. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ნაწილობრივ საფუძველი-
ანია მოსარჩელის მოთხოვნა იმ ზიანის ანაზღაურების თაობაზე,
რომელიც, მისივე განმარტებით, მას მიადგა არამიზნობრივად და-
ხარჯული სესხის თანხის დროულად დაუბრუნებლობით. პალატა
მიიჩნევს, რომ მოსარჩელის ეს მოთხოვნა შესრულების კონდიქ-
ციიდან გამომდინარეობს და ეფუძნება სსკ-ის 976-ე მუხლის პირ-
ველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს (პირს, რომელმაც სხვას ვალდებუ-

ლების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში), 979.1 მუხლს (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით) და 981-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს (1. თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე, ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე; 2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო, მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძლოის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს). მითითებული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

21. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სესხი მიზნობრივი იყო და ეს გარემოება სესხის გაცემის არსებით პირობას წარმოადგენდა (სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სესხის არამიზნობრივად დახარჯვის მომენტიდან კრედიტორი აღარაა ვალდებული, არამიზნობრივად დახარჯული სესხით სარგებლობის უფლება მისცეს მოვალეს ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე. შესაბამისად, ამ საფუძვლით, კრედიტორის ვალდებულება წყდება (სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს სადავო თანხის ფლობის სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნდა და, შესაბამისად, შეძენილი უკან უნდა დაებრუნებინა (სსკ-ის 979.1 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ითქვა, მოპასუხემ დაუბრუნა მოსარჩელეს არამიზნობრივად დახარჯული სესხი, შესაბამისად, ამ თანხის განმეორებით მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს აღარ აქვს (იხ.

წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტი), თუმცა მას შეუძლია, მოითხოვოს ფულად ვალზე პროცენტის გადახდა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 981.2 მუხლით. ამასთან, მართალია, მოპასუხემ სადავო თანხასთან ერთად მოსარჩელეს პროცენტიც (წლიური 7%) გადაუხადა, მაგრამ ასეთი შეღავათიანი პროცენტით მოპასუხეს მხოლოდ მაშინ შეეძლო ესარგებლა, თუ სესხს მიზნობრივად დახარჯავდა. მოცემულ შემთხვევაში კი, დადგენილია, რომ მოსარჩელემ სესხი არამიზნობრივად დახარჯა, ამიტომ ამ მომენტიდან, უსაფუძვლოდ ფლობდა რა მოსარჩელის კუთვნილ ფულს, მოპასუხე, მოსარჩელის ხარჯზე, ზოგავდა თავის ქონებას იმით, რომ არ იხდიდა საპროცენტო სარგებელს, სულ ცოტა, საბანკო კრედიტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით. აქედან გამომდინარე, გამდიდრების ოდენობა, განსაზღვრულ შემთხვევაში, საბანკო კრედიტისათვის სადავო პერიოდში დადგენილი საშუალო საბაზრო ფასისა და მოპასუხის მიერ გადახდილი წლიური საპროცენტო სარგებლის სხვაობის ტოლი იქნება. ამასთან, გამდიდრების საბოლოო მოცულობა იმაზეც იქნება დამოკიდებული, იცოდა თუ არა მოპასუხემ ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო თუ არა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განსახორციელებლად სადავო თანხა საჭირო რომ აღარ იყო. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ხარვეზის თაობაზე მოპასუხემ იცოდა, მაშინ, იგი პასუხს აგებს სწორედ ამ ცნობის მიღების მომენტიდან, ხოლო, თუ არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა – მაშინ პასუხისმგებლობა დაეკისრება მოთხოვნის თაობაზე სასამართლოში სარჩელის შეტანის მომენტიდან. ამდენად, გამდიდრების ოდენობის გამოსარკვევად, სასამართლომ უნდა დაადგინოს: საბანკო კრედიტისათვის სადავო პერიოდში დადგენილ საშუალო საბაზრო ფასსა და მოპასუხის მიერ გადახდილ წლიურ საპროცენტო სარგებელს შორის სხვაობა; ფაქტი იმის შესახებ, თუ როდის შეიტყო მოპასუხემ, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად სადავო თანხა საჭირო აღარ იყო. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

22. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნ-

ქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

23. მოცემული ნორმების ანალიზისა და ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადანყვეტილება, ამიტომ საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს. საქმის ხელახალი განხილვისას, წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ისე მიიღოს გადანყვეტილება.

24. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „გ. ე. ს. ს. ს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-493-473-2016

14 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (ძირითადი სარჩელით) და თანხის დაკისრება (შეგებებული სარჩელით)

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისში, დ-ის გამზირზე №111 (კორპუსი 4) მდებარე ბინა (ს/კ 0) საჯარო რეესტრში, რეგისტრირებულია ლ. გ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელში, მესაკუთრე, პირველი კასატორი) საკუთრებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შემდეგში სსკ, 183-ე, 311-ე პრიმა, 477-ე მუხლები)

2. მითითებული ბინა 2005 წლის 22 დეკემბერს შეიძინა მესაკუთრემ 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) აშშ დოლარად (იხ. ხელშეკრულება, საიდანაც 4500 (ოთხი ათას ხუთასი) აშშ დოლარი ი. ი-ისა და მ. წ-ის (შემდეგში: პირველი და მეორე მოპასუხე ძირითად სარჩელში, მოსარჩელები შეგებებულ სარჩელში, აპელანტები, მეორე საკასაციო საჩივრის ავტორები) კუთვნილ თანხას წარმოადგენდა.

3. ბინის შეძენის მომენტიდან, მასში, მესაკუთრის თანხმობით, ცხოვრობენ მოპასუხეები.

4. მესაკუთრემ 2014 წლის 23 ივლისს სარჩელი აღძრა პირველი და მეორე მოპასუხეების, ასევე, ც. წ-ის (შემდეგში: მესამე მოპასუხე, პირველი მოპასუხის ან გარდაცვლილი დედა) წინააღმდეგ მის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების მოპასუხეთა მფლობელობიდან გამოთხოვისა და მისთვის თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემის მოთხოვნით (სსკ-ის 172.1. მუხლი; იხ. სარჩელი თანდართული მასალებით).

5. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეები მისი ნათესავები არიან, რომელთაც დროებით მისცა ბინაში ცხოვრების უფლება. მესაკუთრეს არ ეძლევა საკუთრებით სარგებლობის საშუალება.

6. მოპასუხეებმა, 2014 წლის 19 დეკემბერს, მოსარჩელის წინააღმდეგ შეგებებული სარჩელი შეიტანეს და მოითხოვეს, მათ სასარგებლოდ, მესაკუთრესთან ერთად შეძენილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების – 105 000 (ას ხუთი ათასი) აშშ დოლარის 11,53%-ის შესაბამისი თანხის – 12 105 (თორმეტი ათას ას ხუთი) აშშ დოლარის, ბინაში ჩატარებული რემონტისათვის – 800 (რვაასი) აშშ დოლარისა და 6 914 (ექვსი ათას ცხრაას თოთხმეტი) ლარის, ასევე, ბინის კომუნალური გადასახადებისათვის 3 916 (სამი ათას ცხრაას თექვსმეტი) ლარის, საერთო ჯამში, 12 906 (თორმეტი ათას ცხრაას ექვსი) აშშ დოლარის და 10 830 (ათი ათას რვაას ოცდაათი) ლარის მოსარჩელისათვის დაკისრება. შეგებებული სარჩელის ავტორებმა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე გაამახვილეს ყურადღება: ძირითადი მოსარჩელე არის მათი ნათესავი, ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული პირველი მოპასუხის დეიდა, მეორე მოპასუხე პირველი მოპასუხის მეუღლეა. მათ თბილი ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ, ათეული წლების მანძილზე. ისინი უთითებენ, რომ ძირითად მოსარჩელესთან ერთად შეიძინეს ბინა 39 000 აშშ დოლარად, აქედან მათ 4500 დოლარი გადაიხადეს, რასაც არც ბინის მესაკუთრე უარყოფს. შეგებებული სარჩელი ავტორთა მტკიცებით, პირველი მოპასუხის ფინანსური სახსრებით კაპიტალურად გარემონტდა ბინა, რომელიც ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 6014 ლარს და 800 აშშ დოლარს შეადგენს. პირველი მოპასუხე, წლების მანძილზე, იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. მხარეთა მტკიცებით, მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის ბინის ყიდვისას არსებობდა ზეპირი გარიგება, რაც საჯარი რეესტრში არ დარეგისტრირებულა (იხ. შეგებებული სარჩელი თანდართული მასალებით).

თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნები

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით მესაკუთრის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა მოსარჩელის კუთვნილი ბინა და ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მას.

8. მოპასუხეთა შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბინის მესაკუთრეს, პირველი და მეორე მოპასუხეების სასარგებლოდ, დაეკისრა 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) აშშ დოლარის გადახდა. ჩატარებული რემონტის ღირებულებისა და კომუნალური გადასახადების დაკისრების ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 170-ე, 172-ე, 312-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ)

102-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა ვერ უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულება და ვერ დაადასტურეს სადავო ნივთის ფლობის მართლზომიერი საფუძვლების არსებობა.

10. სასამართლოს დასკვნით, მოპასუხეები სადავო ქონებას ფლობენ კანონისმიერი და სახელშეკრულებო საფუძვლის გარეშე, რაც გამოორიცხავს მესაკუთრის მხრიდან მოპასუხეთა მიერ სადავო ბინის ფლობისას თმენის ვალდებულების არსებობას.

11. სასამართლომ მიიჩნია, რომ მესაკუთრის აღიარების საფუძველზე (სსსკ-ის 131-ე მუხლი) დადასტურებულია, რომ მას მოპასუხეებმა 4 500 აშშ დოლარი გადასცეს (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება), რაც სასამართლომ სესხის ხელშეკრულებად დააკვალიფიცირა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეებმა ვერ დაადასტურეს სადავო ბინის საბაზრო ღირებულების გაზრდის პროპორციულად, სესხის სარგებლით დაბრუნების თაობაზე, მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა, სასამართლომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულად მიიჩნია მხოლოდ 4 500 აშშ დოლარის დაკმაყოფილების ნაწილში.

12. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეებმა ვერ წარადგინეს დასაშვები მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხეებმა ჩაატარეს შეგებებულ სარჩელში მითითებული ღირებულების რემონტი და მესაკუთრის ნაცვლად გადაიხადეს კომუნალური გადასახადები; მართალია, მოსარჩელემ დაადასტურა ბინაში მცირე კოსმეტიკური რემონტის ჩატარება, თუმცა, განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, ქონება სავალალო მდგომარეობაშია სწორედ მოპასუხეთა დამსახურებით (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება). სასამართლომ განმარტა, რომ კომუნალური გადასახადების მოთხოვნა სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს იყო მოკლებული იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მოპასუხეები სადავო ბინაში, ქირის გარეშე, 2005 წლიდან ცხოვრობდნენ.

სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

13. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომლის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა სახელმწიფო ბაჟის – 394.20 ლარის გადაუხდელობის გამო (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის გაჩინება). საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო პრეტენზიები წარადგინეს, ასევე, პირველმა და მეორე მოპასუხეებმა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოსარჩელისათვის თან-

ხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ამ ნაწილში სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

14. სააპელაციო საჩივარი შემდეგ პრეტენზიებს ემყარება:

14.1. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეები 2005 წლიდან ფლობენ მესაკუთრის სახელზე რიცხულ ქონებას, რეალურად მოპასუხეები მხოლოდ ბინის ნაწილს ფლობენ;

14.2. სასამართლომ, ერთი მხრივ, დაადგინა, რომ სადავო ბინა მოპასუხეთა მართლზომიერ მფლობელობაშია და რეალურად ქონება თანასაკუთრებაა, ხოლო მეორე მხრივ, მოპასუხეებს არ გააჩნიათ ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.2.1 და 3.2.2 ქვეპუნქტები). წინააღმდეგობრივია სასამართლოს მსჯელობა სარემონტო სამუშაოების ღირებულებისა და კომუნალური გადასახადების დაკისრების ნაწილშიც;

14.3. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 976-ე, 979-ე, 987-ე და 389-ე მუხლები.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნები

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხეთა მოთხოვნა მოსარჩელისათვის 7 606 (შვიდი ათას ექვსას ექვსი) აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. მოპასუხეთა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა 7606 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოსარჩელეს, მოპასუხეთა სასარგებლოდ, დაეკისრა 4 500 აშშ დოლარის წლიური 4%-ის გადახდა, 2005 წლის 22 დეკემბრიდან ამ თანხის გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს 7606 აშშ დოლარისა (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი).

16. სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის ურთიერთობა უძრავი ნივთის თხოვებად დააკვალიფიცირა და, სსკ-ის 615-ე, 621-ე მუხლების საფუძველზე, ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია.

17. სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილი იყო 2005 წლის 22 დეკემბრიდან მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის ბინის ფლობა ამ უკანასკნელისავე თანხმობით. სსკ-ის 621-ე მუხლის დანაწესით, „თუ თხოვების ხელშეკრულებით ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნივთი დაიბრუნოს გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის გასვლის შემდეგ; ხოლო თუ მიზა-

ნი არ არის განსაზღვრული, მაშინ მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი დაბრუნება“.

18. სასამართლომ, სსკ-ის 317-ე მუხლზე და 987-ე მუხლზე /იმ პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს/ მითითებით, სააპელაციო საჩივარი ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმის თანახმად, სხვა პირის ქონებაზე შეგნებულად ან შეცდომით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არ არის, მაშინ მარტოოდენ ხარჯის განწევა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალდებულებას. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდებოდა იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც აუცილებელი იყო ურთიერთობის სსკ-ის 987-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის.

19. სასამართლომ კომუნალური გადასახადებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა უარყო სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის /უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს/ საფუძველზე;

20. შეგებებული სარჩელის ავტორთა განმარტების (2005 წლის 22 დეკემბრიდან იხდიან კომუნალურ გადასახადებს, საიდანაც მოსარჩელის მიერ შესასრულებელი ვალდებულება, ბინაში მცხოვრებ ნევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეადგენს 3916 ლარს) გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, მოპასუხეთა მოქმედება ზნეობრივი მოვალეობის შესრულებას წარმოადგენდა. ამასთან გასათვალისწინებელი იყო, რომ ბინაში ცხოვრობენ პირველი და მეორე მოპასუხე (ცოლ-ქმარი), მათი სამი მცირეწლოვანი შვილი, ასევე ბინაში ცხოვრობდა პირველი მოპასუხის ან გარდაცვლილი დედა. შესაბამისად, მოპასუხეთა მიერ კომუნალური გადასახადების გადახდა ემსახურებოდა საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

21. სასამართლომ მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი ფულად ვალზე პროცენტის გადახდის (სსკ-ის 981.2 მუხლი) დაკისრების ნაწილში კანონიერად მიიჩნია და დააკმაყოფილა. ამ კონტექსტში

სასამართლომ განმარტა, რომ დადგენილი იყო ამ განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს, მოპასუხეთა სასარგებლოდ, დაეკისრა 4500 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული.

22. სსკ-ის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის – „თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძღოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს“ – თანახმად, სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრული გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საგანი და მისი ფლობა უპირობოდ იძლევა შემოსავლის მიღების პრეზუმფციას, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას, ასევე, სავარაუდო ზიანს წარმოადგენს გადასახდელი თანხის – 4500 აშშ დოლარის წლიური 4%, რომლის ათვლა უნდა დაიწყოს 2005 წლის 22 დეკემბრიდან და გაგრძელდეს ამ თანხის გადახდამდე, ამასთან, თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შეგებებული სარჩელის ავტორების მიერ მოთხოვნილ 7606 (12 106 – 4 500) აშშ დოლარს (სსსკ-ის 248-ე მუხლი).

საკასაციო საჩივრის საფუძვლები

23. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

24. პირველმა კასატორმა (მოსარჩელემ) მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. საკასაციო საჩივარი), ხოლო მეორე კასატორმა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და, მათ სასარგებლოდ, მოსარჩელისთვის 1552.36 აშშ დოლარისა და 3 916 ლარის დაკისრება.

25. მოსარჩელემ (პირველმა კასატორმა) შემდეგ საკასაციო არგუმენტებზე მიუთითა:

25.1. სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება;

25.2. სააპელაციო საჩივრით მოპასუხეები არ ითხოვდნენ მიუღებელი შემოსავლის სახით თანხის დაკისრებას, არც სსკ-ის 981-ე მუხლით, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით თანხის დაკისრებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის

248-ე, 377-ე, 384-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან სააპელაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მოთხოვნას;

25.3. გაურკვეველია, როგორ გამოიანგარიშა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნული თანხა – 7606 აშშ დოლარი და საიდან განსაზღვრა წლიური 4%-ის გადახდის ვალდებულება. მოსარჩელეს დაუსაბუთებლად მიაჩნია სასამართლოს დასკვნა, რომ იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდა და უთითებს, რომ არასწორია სსკ-ის 981-ე მუხლის განმარტება, ამ შემთხვევაში სახეზეა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა, სასამართლომ არ შეაფასა ამავე ნორმის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც გამორიცხავენ თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნას. სასამართლომ არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 981-ე მუხლი და უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები. მითითებული ნორმა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველს;

25.4. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელემ 4 500 აშშ დოლარი იმისათვის მიიღო, რომ მის სახლში ეცხოვრათ მოპასუხეებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ კიდევ უსასყიდლოდ 2005-დან 2015 წლამდე. შესაბამისად, 4 500 აშშ დოლარი და, დამატებით, უსაფუძვლო გამდიდრების სახით, 7606 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნა ეწინააღმდეგება ზნეობრივ მოვალეობებს;

25.5. სასამართლომ არ იმსჯელა ხანდაზმულობის ვადაზე, მაშინ, როცა 2005-დან 2015 წლამდე გასულია 10 წელი;

25.6. სასამართლომ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს განმარტება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით (იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.2015წ.) და ამ განმარტების შესაბამისად უნდა შეეფასებინა და დაედგინა, რომ 981-ე მუხლის მიმართაც მოქმედებს ისეთივე მტკიცების ტვირთი და მოთხოვნის დაკმაყოფილების კრიტერიუმები, როგორც მიუღებელი შემოსავლის შემთხვევაშია.

26. მოპასუხეებმა (მეორე კასატორი) შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე მიუთითეს:

26.1. მოსარჩელის საკუთრებად, 2005 წლის 22 დეკემბერს, სადავო ბინის გაფორმებისას, მესაკუთრისა და მოპასუხეთა განზრახ-

ვა იყო ბინის ერთობლივი სახსრებით შეძენა და, შესაბამისად, იგი საერთო საკუთრება უნდა ყოფილიყო. მოსარჩელის სახელზე ბინის აღრიცხვა კი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ოჯახს ჰქონდა ფინანსური ვალდებულებები სხვა მესამე პირების მიმართ;

26.2. სასამართლოს გადაწყვეტილება სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით უნდა მიეღო. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის დათქმები: „შესრულება შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს“ და „გავიდა ხანდაზმულობის ვადა“. სადავო ბინაში მოსარჩელის თანხმობით და ნებით, მოპასუხეებმა გადაიხადეს 4 500 აშშ დოლარი, რათა ერთად შეეძინათ უძრავი ნივთი და ერთად ეცხოვრათ მასში, მან კი ყოველგვარი ზნეობის ნორმების უგულვებლყოფით, მოითხოვა ამ ბინის დაცლა, თანაც ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ამასთან, გასულია ხანდაზმულობის ვადაც, სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. სადავო ბინა შეძენილია 2005 წლის 22 დეკემბერს, სარჩელი კი აღძრულია 2014 წელს, 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ;

26.3. მოპასუხეები უთითებენ, რომ მათი პოზიციის გაუზიარებლობისა და ხელშეკრულების ბათილად მიჩნევის შემთხვევაში, სსკ-ის 976.1 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელისათვის ბინის დაბრუნების ვალდებულების მოპასუხეთათვის დაკისრების პირობებში, ამოქმედდება სსკ-ის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილი (იხ. ამ განჩინების 21-ე პუნქტი).

26.4. სასამართლომ მოსარჩელეს დააკისრა 4 500 აშშ დოლარის წლიური 4%-ის გადახდა, რაც არ გამოიმდინარეობს რაიმე ნორმატიული აქტიდან, ან ფაქტობრივი გარემოებებიდან. მოსარჩელეს უნდა დაეკისროს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ფიზიკურ პირებისათვის დეპოზიტებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, 2005 წლის 22 დეკემბრიდან 4 500 აშშ დოლარის გადახდის დღემდე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 4 500 აშშ დოლარის 4%, 2016 წლის აპრილისათვის უტოლდება 1845 აშშ დოლარს, რაც უნდა გამოაკლდეს 3397,36 აშშ დოლარს, მიღებული სხვაობა 1552,36 აშშ დოლარს შეადგენს, რასაც მოპასუხეები ითხოვენ მოსარჩელისაგან;

26.5. მცდარია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ ზნეობრივი არ იყო კომუნალური ხარჯების მოთხოვნა, ვინაიდან მოპასუხეები ქირის გარეშე ცხოვრობდნენ სადავო ბინაში. მოსარჩელეს არ მოუთხოვია ბინის ქირა, რომ სასამართლოს აღნიშნული კომუნალური გადასახადის თანხა მასში ჩათვალა. კომუნალური გადასახადების გადახდის მოთხოვნა შეესაბამება სსკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს. მოპასუხეები უთითე-

ბენ, რომ მათ გადაიხადეს მოსარჩელის წილი კომუნალური გადასახადები 3 016 (სამი ათას თექვსმეტი) ლარი;

26.6. მტკიცებულებების წარდგენის მიუხედავად, სასამართლომ უკანონოდ არ დააკმაყოფილა რემონტის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა, ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხის უკმარისობის გამო.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 9 ივნისის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები წარმოებაში მიიღო, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 1 ივლისის განჩინებით დასაშვებად ცნო ისინი დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის, საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებათა შეჯერებისა და განაალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი საკასაციო განაცხადები და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგი არგუმენტაციით:

28. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრების ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არცერთ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) და ქვემოთ იმსჯელებს თითოეული საკასაციო განაცხადის უარყოფის საფუძველზე.

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ განსახილველ დავაში სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება დაადგინა და სწორი იურიდიული კვალიფიკაცია მისცა ურთიერთობას, რომელიც თხოვების სა-

მართლებრივ ნორმებს (სსკ-ის 615-ე და 621-ე მუხლები) და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე იურიდიულ შედეგებს უკავშირდება.

30. პირველ კასატორს (მოსარჩელე, ბინის მესაკუთრე) არაკვალიფიციური შედავება აქვს წარმოდგენილი. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ ქვემდგომი სასამართლო გასცდა აპელანტთა (შეგებებულ მოსარჩელეთა) მოთხოვნის ფარგლებს (სსსკ-ის 248-ე მუხლი), რადგან სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ-ები №ას-1224-1149-2015, 20.05.2016წ.; №ას-920-870-2015, 09.06.2016წ.; №ას-101-97-2016, 15.07.2016წ.; №ას-195-183-2014, 21.10.2016წ.).

31. ბინის მესაკუთრის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გასაჩივრებული გადანყვეტილების სამართლებრივი დასკვნები დასაბუთებულია. პირველი კასატორის მიერ, ბინის შეძენისას, 4500 აშშ დოლარის მიღების ფაქტი მოპასუხეთაგან დადასტურებული აქვთ ქვემდგომ სასამართლოებს, რასაც ძირითადი მოსარჩელეც აღიარებს (იხ. ამ განჩინების 2,6,11 პუნქტები, ასევე, სააპელაციო სასამართლოს 10.12.2015წ. სხდომის ოქმი 17:11:29-17:29:02).

32. პირველი კასატორის პრეტენზია აპელანტთა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე (იხ. ამ განჩინების 24.5 ქვეპუნქტი) დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის მიერ მითითებულ, ისე ქვემდგომი სასამართლოების მიერ მართებულად დადგენილ ფაქტებს, რადგან მოსარჩელისათვის მოპასუხეთა (შეგებებული მოსარჩელების) სასარგებლოდ დაკისრებული თანხა კონდიქციურ მოთხოვნას ემყარება. ამავე საფუძვლით, უარყოფილია კასატორის 24.6 ქვეპუნქტში მითითებული პრეტენზია, რადგან ამ უკანასკნელისათვის სასამართლოს არ დაუკისრებია მიუღებელი შემოსავალი (სსკ-ის 411-ე მუხლი), შესაბამისად, მოსარჩელის მიერ პოზიციის გასამყარებლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონკრეტულ გადანყვეტილებაზე (განჩინებაზე) მითითება არარელევანტურია.

33. სააპელაციო სასამართლოს მიერ შეგებებული სარჩელის ავტორთა (აპელანტთა) ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნა

ნის დაუსაბუთებლობაზე, რაც პირველი კასატორის პრეტენზიას დაედო საფუძვლად, ამ უკანასკნელს არ აქვს წარმოდგენილი სამართლებრივად ვარგისი და წონადი მტკიცება, რაც ამ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას გამოიწვევდა.

34. სსკ-ის 981.2 მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე (იხ. ამ განჩინების 21-ე პუნქტი), სრულიად ცალსახაა, რომ მოსარჩელემ, რომელმაც მოპასუხეთაგან მიიღო 4500 აშშ დოლარი, იმთავითვე იცოდა, რომ ბინის შესაძენად ნათესავებისაგან მიღებული თანხით, ეს უკანასკნელები ვერ გახდებოდნენ უძრავი ქონების მესაკუთრეები. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობები დადგენილია სსკ-ის 183-ე მუხლით, რომლის თანახმად: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შეძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“, ხოლო სსკ-ის 312.1 მუხლით „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“.

35. სსკ-ის 981.2 მუხლი სამართლებრივი სიკეთის (4500 აშშ დოლარის სახით მიღებული ქონების) მიმღების (ამ შემთხვევაში მოსარჩელის), კუთვნილი ნორმაა, რომელიც კონკრეტულ უძრავ ქონებას, მისი ღირებულების გათვალისწინებით, ვერ შეიძენდა მოპასუხეთაგან მიღებული თანხის გარეშე. ამ უკანასკნელებმა კი, თავის მხრივ, უსაფუძვლოდ, ვალდებულების გარეშე გადაიხადეს თანხა, რადგან მოსარჩელისათვის გადაცემული ფულის სანაცვლოდ მათ არ მოუპოვებიათ საკუთრების უფლება უძრავი ქონების ნაწილზე. რაც შეეხება მიღებული თანხის – 4500 აშშ დოლარის გარდა, პროცენტის დაკისრების საკითხს, საკასაციო სასამართლო იზიარებს ამ განჩინების 21-ე პუნქტში განვითარებულ მსჯელობასა და დასკვნას, რომელიც გასაჩივრებულ გადანყვეტილებაშია ასახული და ფულის, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის, განსაკუთრებულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას აპელანტთა მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების დასაბუთებისას.

36. მითითებული მოტივაციით პირველი კასატორის პრეტენზია უარყოფილია და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

37. მეორე კასატორთა პრეტენზიის (იხ. ამ განჩინების 25.1-25.2 ქვეპუნქტები) საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 183-ე და 312-ე მუხლებზე, რომელთა შესახებ მსჯელობა და დასკვნები ასახულია 33-34 პუნქტებში. ამდენად, კასატორთა მტკიცება მოსარჩელისათვის გადაცემული 4500 აშშ დო-

ლარის სანაცვლოდ, თანამესაკუთრის უფლების წარმოშობაზე, ფაქტობრივ-სამართლებრივად დაუსაბუთებელია, ისევე, როგორც უძრავი ნივთებისათვის დადგენილი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ 6-წლიან ვადაზე მითითება (სსკ-ის 129.1 მუხლი), რადგან მოპასუხეთა მოთხოვნა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ვერ დაეფუძნება უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვების წინაპირობებს. რაც შეეხება, სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტთა (მოპასუხეთა) ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ მოთხოვნას, რაზედაც საკასაციო პრეტენზიაა წარმოდგენილი (იხ. ამ განჩინების 25.3-25.4 ქვეპუნქტები) დაუსაბუთებელია, რადგან სააპელაციო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისას, ქვემდგომმა სასამართლომ, სსკ-ის 981.2 მუხლის წინაპირობების შემონეშების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება და წლიური 4 % სამართლიანად განსაზღვრა წინამდებარე განჩინების 21-ე პუნქტში ასახული დასაბუთებით, რითაც დაცულია სააპელაციო მოთხოვნის ფარგლები (სსსკ-ის 248-ე მუხლი).

38. კასატორის პრეტენზია კომუნალური ხარჯების მოსარჩელისათვის დაკისრებაზე (იხ. ამ განჩინების 25.5 ქვეპუნქტი) დაუსაბუთებელია და უარყოფილია სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, რაც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას და სამართლებრივ წინაპირობებს ეფუძნება (იხ. ამ განჩინების მე-19 პუნქტი).

39. ზემოხსენებული მოტივაციით, უარყოფილია ორივე საკასაციო განაცხადი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს.

40. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი დანაწესი სახელმწიფო ბაჟის გადახდის თაობაზე მითითებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქეო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ი. ი-ისა და მ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა მოქალაქეო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება;
4. ი. ი-ისა და მ. წ-ის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო

ბიუჯეტში;

5. ლ. გ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 9 ივნისის განჩინებით გადავადებული, სახელმწიფო ბაჟის, 380.3 (სამას ოთხმოცი აშშ დოლარი და ოცდაათი ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, გადახდა;

6. სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

7. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძვლები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-494-474-2016

8 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება (სარჩელში), სესხის დაბრუნება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 22 თებერვალს, ა. რ. კ-ის (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული სარჩელის მოსარჩელე) მოთხოვნით შპს „ა. ჯ.“ (შემდეგში: მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე) დირექტორმა ბ. ვ-ამ (შემდეგში – დირექტორი) კომპანიის ანგარიშიდან გამოიტანა 251 000 ლარი და გადასცა მოპასუხის ძმიშვილს დ. კ-ს (შემდეგში – მოპასუხის რწმუნებული), რომელმაც 250000 ლარი შეიტანა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ს. კ.“ (შემდეგში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ან მისო) ანგარიშზე, მისი პარტნიორების – მოპასუხისა და ა. ტ-ს შენატანების სახით, ხოლო 1000 ლარი თვითონ დაიტოვა.

2. მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლის 19 ივნისიდან 2013 წლის

30 მაისამდე ჩაურიცხა 26 257.50 ევრო.

3. მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 371 000 ლარის (იხ. 3.2 პუნქტი: 251 00 + 80 000 + 40 000), ამ თანხით სარგებლობის შედეგად მიღებული შემოსავლის – 105 690 ლარისა და ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიურად ზიანის, დასაბრუნებელი თანხის 0,1%-ის, დაკისრება.

3.1. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელესა და შპს „ა. ფ.“ (შემდეგში – შპს ან სანარმო) შორის (რომლის დამფუძნებელი და დირექტორიც მოპასუხეა) არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში საქართველოში იძენდნენ პროდუქციას (თხილს), ამუშავებდნენ და გაჰქონდათ ექსპორტზე; მხარეთა შორის წარმოიშვა უთანხმოება, რის შემდეგაც მოპასუხემ უარყო მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის პირობები (მოგების კომპენსირების, ასევე შპს-ში წილების გადაცემის თაობაზე); მოსარჩელის მტკიცებით, 2011 წელს მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიიღო 371 000 ლარი, თუმცა ამ თანხას არ უთვლის ანგარიშსწორებაში იმ საფუძვლით, რომ შესრულება მოპასუხემ მიიღო როგორც ფიზიკურმა პირმა და არა როგორც შპს-ს დირექტორმა. ამის გამო, შპს-მ სარჩელი აღძრა მოსარჩელისა (მოცემულ საქმეში) და მისი ფინანსური მენეჯერის ა. ვ-ას (შემდეგში – ფინანსური მენეჯერის) წინააღმდეგ ჩარიცხულ თანხასა და მიწოდებულ პროდუქციას შორის სხვაობის დაბრუნების მოთხოვნით. ამასთან, მოპასუხის განცხადების საფუძველზე, მოსარჩელე კომპანიის ფინანსური მენეჯერის მიმართ 410 210 ლარის მითვისების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

3.2. მოსარჩელის განმარტებით, 371 000 ლარი მოპასუხეს სამ ეტაპად გადაეცა:

- 2011 წლის 22 თებერვალს – 251 000 ლარი (იხ. პ 1);
- 2011 წლის 27 სექტემბერს, მოპასუხის დავალებით, 80 000 ლარი გადაეცა გ. კ-ს შპს „ა. გ.“ (შემდეგში – მესამე პირის) საგადასახადო დავალიანების გასასტუმრებლად;
- მოსარჩელის სალაროდან გატანილი თანხა – 40 000 ლარი დირექტორმა გადასცა მოპასუხის რწმუნებულს, რომელმაც ეს თანხა, მოპასუხის დავალებით, გადასცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორს – დ. ს-ძეს (შემდეგში – მ. დირექტორი).

4. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 251 000 ლარი მესამე პირის კუთვნილი თანხაა, რომელიც საგადასახადო შემონმების პერიოდში, სათანადო დოკუმენტების გაფორმების გარეშე, დროებით გადატანილ იქნა მოსარჩელე სანარმოში. ვინაიდან მოპასუხე მესამე პირის 80% წილის მესა-

კუთრე და გენერალური დირექტორია, თანხის მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის გადაცემით მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრებულად ვერ მიიჩნევა. 80 000 ლარის გადაცემა მოპასუხემ უარყო, ხოლო 40 000 ლართან მიმართებით განმარტა, რომ ეს თანხა იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან სესხად გაცემული თანხა, რომელიც, მოპასუხის მითითების საფუძველზე, მისოს დირექტორმა საკუთარი ქონების უზრუნველყოფით აიღო სესხად და გადასცა მოსარჩელე კომპანიის დირექტორს.

5. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის გადაცემული თანხის – 26 257.5 ევროს დაკისრება. შეგებებული სარჩელის მიხედვით, ეს თანხა იყო უპროცენტო სესხი, რომელიც მოსარჩელეს 2 წლის ვადით გადაეცა. ეს უკანასკნელი კი, სესხს არ აბრუნებდა.

6. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ უარყო მხარეთა შორის სესხის სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ თანხა მასა და შპს-ს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თხილის ბიზნესის წარმოებისათვის ჩაირიცხა.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

– მოპასუხეს დაეკისრა 251 000 ლარისა და 26 370 ლარის გადახდა, მოსარჩელის სასარგებლოდ. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

– შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.1 პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 361-ე, 385-ე, 623-ე, 624-ე, 979-ე და 981-ე მუხლები და დაასკვნა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის თანხის 251 000 ლარის გადაცემას იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა.

7.2. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელისაგან მიღებული 40 000 ლარიდან, მოპასუხის დავალებით, მოსარჩელე კომპანიის დირექტორის სასესხო ვალდებულება დაიფარა. შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია და მოპასუხეს დაეკისრა 26 370 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

7.3. 80 000 ლარის დაბრუნების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მითითებული თანხის მოპასუხის დავალებით განკარგვა.

7.4 სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო სათანადო წესით დაედასტურებინა, რომ A. K. A-R. - 2300 C.-F.-ის მიერ მოპასუხისათვის ჩარიცხული 24 776

ევრო და K. A.-S. S.-ის მიერ ჩარიცხული 1481.5 ევრო სესხი იყო, რის გამოც შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, 105 690 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა და შეგებული სარჩელის დაკმაყოფილება.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

– მოპასუხეს დაეკისრა ძირითადი თანხის – 251 000 ლარისა და ზიანის – 62 750 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

– შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შეგებული სარჩელის მოპასუხეს დაეკისრა 26 257.5 ევროს გადახდა, შეგებებული სარჩელის მოსარჩელის სასარგებლოდ.

10. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის – მოპასუხისათვის 26 370 ლარის დაკისრებაზე უარის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება, 26 370 ლარის მოპასუხეზე დაკისრება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ხოლო მოპასუხემ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 აპრილის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შპს „კ. კ.“ (შემდეგში ასევე მოხსენიებული როგორც მოსარჩელე, კასატორი) ცნობილ იქნა მოსარჩელის უფლებამონაცვლედ სამოქალაქო საქმეში მოპასუხის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა უფლებამონაცვლის დაშვების თაობაზე დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის (იმ დავაში მოსარჩელის) სასარგებლოდ დაკისრებული თანხის – 26 257.50 ევროს მოთხოვნის ნაწილში ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს/საწარმო (შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორი), ისე-

ვე, როგორც წინამდებარე სასარჩელო წარმობაზე შეგებებული სარჩელის ნაწილში (უფლებამონაცვლეობის საფუძველი გახდა მოთხოვნის დათმობის ურთიერთობა, რის გამოც უფლებამონაცვლეობა მხოლოდ კრედიტორულ მოთხოვნებს შეეხო და ურთიერთსარჩელებზე მოპასუხებად კვლავ თავდაპირველი მოპასუხეები დარჩნენ).

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით შეგებებული სარჩელი მოსარჩელის უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის უფლებამონაცვლის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

– გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

– სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა;

– შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

14.1. სააპელაციო პალატამ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაყენებით (მონმეთა ჩვენებები, პროკურორის დადგენილება) დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის დასაწყისში მოსარჩელისა და მესამე პირის შეთანხმების საფუძველზე ამ უკანასკნელისაგან მოსარჩელემ აღურიცხავად მიიღო გარკვეული რაოდენობის საქონელი (თხილი) და ფულადი რესურსები, რაც გამოწვეული იყო გადასახადის დამალვის გამო კომპანიის (მესამე პირი) საგადასახადო შემონმებით.

14.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება არსებობდა და ერთადერთ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის, რომ თავისი კუთვნილი ფული თუ მატერიალური აქტივები მესამე პირმა დროებით გადაიტანა მოსარჩელე კომპანიაში ყოველგვარი ვალდებულების გარეშე – ამ უკანასკნელის თანხმობის საფუძველზე, რაც საჭიროებისთანავე მესამე პირის დამფუძნებელმა – მოპასუხემ უკანვე გაიტანა, ანუ დაიბრუნა თავისი საკუთრება დროებით გადატანილი მოსარჩელე კომპანიაში.

14.3. სააპელაციო პალატის მითითებით, სარჩელის საფუძველზე ბიდან გამომდინარე, მოსარჩელე ფაქტობრივად შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე მოითხოვდა მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას. პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა შესრულების კონდიქციის ფაქტობრივი შემადგენლობა.

14.4. პალატის განმარტებით, სსკ-ის 361-ე მუხლით განმტკიცებული კანონისმიერი პრეზუმფციის – რომ ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას – გაქარწყლება მოსარჩელის ვალდებულება იყო, რომელმაც ეს ტვირთი ვერ ზიდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ 251 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

14.5. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ 26 370 ლარის მოპასუხისათვის გადაცემას, პალატამ, სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, მითითებული ფაქტი დადასტურებულად არ მიიჩნია.

14.6. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით პალატამ გაიზიარა მოსარჩელის შესაგებელი, რომლის თანახმაც, თანხა მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა მხარეთა შორის არსებული სხვა ურთიერთობის (თხილის შესყიდვა) ფარგლებში. კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოდავე მხარეები (შპს და მოსარჩელე) 2011 წლის 9 ივნისიდან 2012 წლის 4 დეკემბრამდე ნასყიდობით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, რადროსაც შპს მოსარჩელეს ურიცხავდა თანხას. შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი თანხა რომ არ არის ზემოხსენებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში გადარიცხული, შეგებებული მოსარჩელის მტკიცების ტვირთია. მსგავსი მტკიცება შეგებებული სარჩელის ავტორს არ განუხორციელებია. პალატის მითითებით, წარმოდგენილი დოკუმენტები (ცნობები) არც სესხის ხელშეკრულების არსებობას არ ადასტურებდა, რის გამოც შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა.

15. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, მოპასუხისათვის 251 000 ლარის, 26 370 ლარისა და 105 690 ლარის დაკისრება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიაზე მითითებით:

15.1. სააპელაციო სასამართლომ მიიღო საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, მოახდინა რა კრიმინალური ქმედების ლეგიტიმაცია. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება აგებულია საქონლისა და ფულის აღურიცხავად გადატანის შე-

დეგად წარმოშობილ ვალდებულებაზე.

15.2. ამასთან, არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ პროდუქცია ან ფული გადაეცა მოსარჩელეს. სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტი დაადგინა მესამე პირის საბუღალტრო დოკუმენტაციის საფუძველზე, მაშინ, როდესაც საქმეში ისინი წარმოდგენილი არ არის. პალატამ საბუღალტრო დოკუმენტად მიიჩნია თავად მოპასუხის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით არ წარმოადგენს საბუღალტრო დოკუმენტს. საგულისხმოა, რომ თავად მოპასუხეც ადასტურებს, რომ საქონლისა და ფულის მიწოდება აღურიცხავად მოხდა.

15.3. ერთი საწარმოს მიერ მეორისათვის პროდუქციის გადასაცემად აუცილებელია სამი დოკუმენტის შედგენა: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, ხოლო თანხის გადაცემისათვის საკონტროლო საღარი აპარატის ქვითარი ან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი. შესაბამისად, საქმეზე მონმედ დაკითხული მოპასუხის ნათესავისა და საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებული პირების ჩვენება ვერ გახდება პროდუქციის მიწოდების დამადასტურებელი მტკიცებულება სსსკ-ის 102.3 მუხლიდან გამომდინარე. ამასთან, არცერთი მონმე საქონლის მიწოდებას არ დასწრებია და მათი ჩვენებები აგებული იყო ვარაუდებზე.

15.4. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ მესამე პირიდან მოსარჩელე კომპანიაში გადატანილია ფული ან პროდუქტი, სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხემ თავისი აქტივები გადაიტანა მოსარჩელე კომპანიაში, რის გამოც მას ჰქონდა უფლება, უკან დაებრუნებინა ის. გაუგებარია, რატომ მიიჩნია სასამართლომ მესამე პირის კუთვნილი საქონელი და ფული მოპასუხის აქტივად. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ გააჩნდა ფინანსური ვალდებულება, რომლის გამოც კომპანია ვალდებული იქნებოდა მისთვის 251 000 ლარი გადაეცა.

15.5. კასატორი მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებობდა ერთობლივი საქმიანობის შესახებ გარიგება (რამდენადაც მოსარჩელე და მოპასუხე ერთობლივად ყიდულობდნენ თხილს, ამუშავებდნენ და ექსპორტზე გაჰქონდათ; მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დაფუძნებაც ორივე მხარის ინტერესს წარმოადგენდა), რომლის ფარგლებშიც გადასცა მოპასუხეს თანხა, თუმცა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობა არ დადგინდა, შესაბამისად არც ვალდებულება წარმოშობილა, რის გამოც მოპასუხეს თანხა ყოველგვარი ვალდებულების გარეშე გადაეცა. სსკ-ის 981.2 მუხლის თანახმად კი, მოპასუხემ

უსაფუძვლოდ მიღებული ფულის სარგებლობის პროცენტი – 105 690 ლარი უნდა გადაიხადოს.

15.6. 26 370 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე მოსარჩელეს ისე ეთქვა უარი, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებაში ნახსენებიც არ არის. მითითებული თანხის მოპასუხის დავალებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის გადაცემის ფაქტს ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, მოპასუხის ძმისშვილის სისხლის სამართლის საქმეზე მონმედ დაკითხვის ოქმი; თავად მოპასუხის მონმედ დაკითხვის ოქმი;

15.7. საქმის მასალებით დგინდება, რომ ეს თანხა მოსარჩელე კომპანიიდან გავიდა, მოპასუხის ძმისშვილმა თანხა მიიღო მოსარჩელე კომპანიის დირექტორისაგან; ასევე დგინდება, რომ მოპასუხის ძმისშვილმა თანხა გადასცა მოპასუხის საკუთრებაში არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორს. ამდენად, თანხა, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული, მოპასუხემ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნოს.

16. მოპასუხემ შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება – მოსარჩელისათვის 26 257.5 ევროს დაკისრება მოითხოვა შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

16.1. პალატამ გაიზიარა მოსარჩელის შესაგებელი, რომლის თანახმადაც, თანხა მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა მხარეთა შორის არსებული სხვა ურთიერთობის (თხილის შესყიდვა) ფარგლებში და მიუთითა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მხარეთა შორის ამგვარი ურთიერთობის არსებობა დასტურდებოდა. კასატორის მითითებით სწორედ ამ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ჩარიცხულ 24 776 ევროსა და 1 481.5 ევროს არავითარი კავშირი არ აქვს მოსარჩელესა და შპს-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ამ უკანასკნელის მიერ მოსარჩელისათვის ჩარიცხულ 443 832.5 აშშ დოლართან და 2 306 902.3 ევროსთან. 26 257.5 ევრო წარმოადგენს უშუალოდ მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის 2 წლის ვადით უპროცენტოდ ნასესხებ თანხას.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი და შეგებებული საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ და-

საბუთებუღია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადანყვეტიღება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადანყვეტიღებით, სარჩელი ნაწიღობრიღ, ხოლო შეღებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფიღდეს შემდგმარემოღებათა გამომ:

18. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწიღის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობიღი ფაქტობრივი გარემოღებები სავალდებუღოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშეღები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომღებიც დაშეღებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხიღვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოღებების არასწორად შეფასებადადგენა, მატერიალურსამართღებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართღებრივი ნორმების გამოყენებისა და ფაქტობრივი გარემოღებების შეფასებადადგენის თვალსაზრისით, კასატორებმა ნაწიღობრივ დასაშეღები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადღინეს.

19. პალატა, პირველ რიღში, აღნიშნავს, რომ სარჩელი მოპასუხისათვის 80 000 ლარის, 13 630 ლარისა (40 000 ლარიდან) და ვალდებუღების შესრუღებამდე ყოველღღიურად ზიანის – დასაბრუნებელი თანხის 0,1%-ის დაკისრების ნაწიღში საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფიღა. ამ ნაწიღში გადანყვეტიღება არ გასაჩივრებულია და კანონიერ ძალაში შევიღა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მსჯეღობს 251 000 ლარის, 105 690 ლარისა და 26 370 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის კანონიერებაზე.

20. მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოღებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის – 251 000 ლარისა და 26 370 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების სამართღებრივი საფუძვეღია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწიღის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებუღების შესასრუღებღად რაიმე გადასცა, შეუძღია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებუღება, გარიგების ბათიღობის ან სხვა საფუძვღის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და სსკ-ის 979.1 მუხღი (უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცეღდება შეძენიღზე, მიღებულ სარგებღზე, ასევე, სხვა ყვეღაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვღო ანაზღაურების სახით).

21. შესრუღების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის

ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა, ან შემდგომ შეწყდა. შესრულების უკან მოთხოვნისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა; შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძველის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძველობა/გაუმართლებლობა.

22. 251 000 ლარის მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადაცემა მხარეთა შორის სადავო არ არის, ისინი შესრულების სამართლებრივ საფუძველზე დავობენ. სამართლებრივი საფუძველის გარეშე შესრულება სსკ-ის 102.1. მუხლიდან გამომდინარე მოსარჩელის მტკიცების ტვირთია, უფრო ზუსტად კი, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს გადაცემით სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო და რომ ეს ვალდებულება, ფაქტობრივად არ არსებობს. ვალდებულების არარსებობა კი, ნიშნავს შესრულების სამართლებრივი საფუძველის არარსებობას. ამასთან, მოპასუხემ, პოზიტიურად უნდა დაასაბუთოს საწინააღმდეგო, კერძოდ, რა არის შესრულების სამართლებრივი საფუძველი, მისი აზრით, რისთვის მიიღო შესრულება.

22.1. სარჩელის მიხედვით, მოპასუხეს ფული გადაეცა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა, რაკი მოგვიანებით კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით მხარეთა შორის არ დადგინდა ერთობლივი საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობა, კასატორი მიიჩნევს, რომ ამ თანხის გადაცემის ვალდებულება არ არსებობდა და მოპასუხეს უკან უნდა დაებრუნებინა. პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულია.

22.2. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, მას მიღებულის შენარჩუნების უფლება აქვს, ვინაიდან 251 000 ლარი მესამე პირის კუთვნილი თანხაა, რომელიც საგადასახადო შემოწმების პერიოდში სათანადო დოკუმენტების გაფორმების გარეშე დროებით გადატანილ იქნა მოსარჩელე საწარმოში. ვინაიდან მოპასუხე მესამე პირის 80% წილის მესაკუთრე და გენერალური დირექტორია, თანხის მიღებით მოპასუხე უსაფუძველოდ არ გამდიდრებულა, არამედ, მან

თანხა, ფაქტობრივად, დაიბრუნა.

22.3. მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი არ არის გამართული, რამდენადაც მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების შემთხვევაშიც კი, ის სამართლებრივად ვერ უპირისპირდება მოსარჩელის მოთხოვნას და ვალდებულების არსებობას ვერ ადასტურებს. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ მესამე პირმა შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელეს დროებით გადასცა თანხა და მიანოდა საქონელი, ამ თანხის დაბრუნების ვალდებულება მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს აქტივების საწარმოთვისვე დაბრუნების ვალდებულება ექნებოდა და არა – ფიზიკური პირისათვის, მოპასუხე რაკი საწარმოს 80% წილის მესაკუთრე და გენერალური დირექტორია, საკუთარ თავს საწარმოთან აიგივებს და მიიჩნევს, რომ საწარმოს კუთვნილი ქონება თავისი ქონებაა, რაც არასწორია. იურიდიული პირი, მოცემულ შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დამოუკიდებელი სამართალსუბიექტია, რომლის უფლება-მოვალეობები იმიჯნება მისი პარტნიორისა და დირექტორის უფლება-მოვალეობებისაგან, კერძოდ, საზოგადოებას, მისი პარტნიორების პირადი ქონებისაგან განცალკევებული, საკუთარი ქონება გააჩნია.

23. ამასთან, ასეც რომ არ იყოს, პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ მტკიცდება.

23.1. სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება, ძირითადად, დააფუძნა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, კერძოდ, სააპელაციო პალატამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დაკითხულ მონმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის დასაწყისში მოსარჩელისა და მესამე პირის შეთანხმების საფუძველზე ამ უკანასკნელისაგან მოსარჩელემ აღურიცხავად მიიღო გარკვეული რაოდენობის საქონელი (თხილი) და ფული. სადავო 251 000 ლარი კი, სწორედ მესამე პირის მიერ მოსარჩელე კომპანიაში დროებით გადატანილი თანხაა, რომელიც მოპასუხემ დაიბრუნა.

23.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცალკეულ პირთა ჩვენება, რომელიც მიცემულ იქნა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ვერ იქნება განხილული სათანადო და საკმარის მტკიცებულებად, თუკი ის არ არის გამყარებული საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. ამასთან, სააპელაციო სასამართლო არ უთითებს სისხლის სამართლის საქმეზე მიცემული მონმეთა ჩვენებები, მტკიცებულე-

ბის რომელ პროცესულურ საშუალებად მიიჩნია. თუ აღნიშნული ჩვენებები სააპელაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც მოწმეთა ჩვენებები, ამ შემთხვევაში, არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული მოწმის ჩვენების ინსტიტუტის თავისებურებები (სსკ-ის 140-ე-153-ე მუხლები). თუ სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის მასალები შეაფასა, როგორც წერილობითი მტკიცებულებები, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენებები იმ პირთა ახსნა-განმარტებებია, რომლებიც ამ სამოქალაქო საქმეში წარმოადგენენ პროცესის მხარეებს (მაგალითად, მითითებული სადავო ფაქტის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, მოპასუხის სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხვის ოქმზე) ან დაინტერესებულნი არიან საქმის შედეგით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაშიც, მათი ჩვენებები სანდოობისა და სარწმუნოების თვალსაზრისით უნდა გამოკვლეულიყო და შეფასებულიყო.

23.3. ამდენად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას მიცემული ჩვენებების გარდა არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ფაქტი, რომ მოსარჩელის ანგარიშზე არსებული თანხა, რეალურად, შპს-ს კუთვნილ თანხას წარმოადგენდა, რომელიც 2011 წლის დასაწყისიდან მოსარჩელე კომპანიაში იქნა გადატანილი. შესაბამისად, არ დგინდება, რომ ფული თუ მატერიალური აქტივები მესამე პირმა დროებით გადაიტანა მოსარჩელე კომპანიაში. ასეც რომ ყოფილიყო, როგორც აღინიშნა, მესამე პირის დამფუძნებელი – მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, კომპანიის თანხა თავად მიეღო. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ 251 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაამტკიცა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა.

24. მეორე სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის 26 370 ლარის დაკისრებაა. სარჩელის მიხედვით, 26 370 ლარი მოსარჩელის დირექტორმა გადასცა მოპასუხის რწმუნებულს, რომელმაც, მოპასუხის დავალებით, თანხა გადასცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორს.

24.1. შესაგებლის მიხედვით, თანხა იყო მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან სესხად გაცემული, კერძოდ, მოპასუხის მითითების საფუძველზე, მისოს დირექტორმა საკუთარი ქონების უზრუნველყოფით სესხად აიღო და გადასცა მოსარჩელე კომპანიის დირექტორს. მ. დირექტორმა გადაცემული თანხით რომ ეს სესხი დაფარა, დადასტურებულია საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

24.2. პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ 26 370 ლარის მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ გადაცემა ვერ დაასაბუთა. როგორც აღინიშნა (პუნქტი 22), სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულება, მოსარჩელის მტკიცების ტვირთია, მოსარჩელეს უნდა დაესაბუთებინა 26 370 ლარის გადაცემით რომელი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო და რომ ეს ვალდებულება, ფაქტობრივად არ არსებობს. მას ამის შესახებ არ მიუთითებია, ამასთან, არც მოპასუხის სანინააღმდეგო მტკიცება, რომ ამ თანხით სესხი დაიფარა, დამაჯერებლად არ უარუყვია. მოსარჩელეს საკასაციო პრეტენზიაც მხოლოდ იმ კუთხით აქვს წარმოდგენილი, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა წამდვილად გადასცა (იხ. პუნქტი 15.7).

24.3. პალატა მიუთითებს, რომ, ამ შემთხვევაშიც, თანხის – 26 370 ლარის მოპასუხისათვის გადაცემა ამ უკანასკნელს სადავოდ არ გაუხდია, თუმცა სადავოა გადაცემის სამართლებრივი საფუძველი. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შესრულება კი, მოსარჩელემ სათანადოდ ვერ დაამტკიცა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია ვერ წარმოადგინა სამართლოს მიერ დადგენილი იმ გარემოების წინააღმდეგ, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა და მოსარჩელემ მოპასუხისათვის 26 370 ლარის გადაცემით სწორედ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულება შეასრულა.

24.4. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ მოპასუხეთათვის 251 000 ლარის ვალდებულების გარეშე გადაცემა სათანადოდ დაასაბუთა, ხოლო 26 370 ლარის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემა ვერ დაადასტურა. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ გადაცემული თანხის – 251 000 ლარის დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანია, ხოლო მოთხოვნა მოპასუხისათვის 26 370 ლარის დაკისრების თაობაზე – უსაფუძვლო.

25. მოსარჩელის მოთხოვნა, უსაფუძვლოდ მიღებულ ფულზე პროცენტის – 105 690 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, სსკ-ის 981-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს (თუ მიმღებმა მიღებისას იცოდა ან, უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მისთვის უცნობი იყო სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის არსებობა და ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყო, ან გადაცემის თაობაზე მოთხოვნა მიღებულია სასამართლო წარმოებაში, მაშინ მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა ხარვეზის თაობაზე ცნობების მიღების ან სასამართლო წარმოებაში გადაცემის დროიდან – 979-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 980-ე მუხლის, ასევე, ქვემოთ მოყვანილი წესების საფუძველზე; 2. თუ მიმღები არ იღებს სარგებელს, რომელიც მას შეეძლო, მიეღო მეურნეობის სათანადოდ გაძ-

ლოლის შედეგად, მაშინ ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის. ფულად ვალზე გადახდილ უნდა იქნეს პროცენტი. საგნიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაბრუნდეს) ეფუძნება.

26. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხემ თანხის მიღებისას იცოდა სამართლებრივი საფუძვლის ნაკლის შესახებ, შესაბამისად, მას, როგორც ფულის არაკეთილსინდისიერ მიმღებს, პროცენტი თანხის გადაცემიდან 22.02.2011 წლიდან სარჩელის აღძვრამდე – 12.08.2013 წლამდე (რაკი მოსარჩელე სწორედ სარჩელის აღძვრამდე ითხოვს პროცენტის დაკისრებას) უნდა დაეკისროს. პროცენტის ოდენობა კი, უნდა განისაზღვროს საბანკო ანაზღაურების სადავო პერიოდში არსებული საშუალო საბაზრო ფასის მიხედვით (წლიური 9%) – 62 102.26 ლარით.

27. პალატის მოსაზრებით, შეგებებული საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგ გარემოებათა გამო:

27.1. პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის 26 257.50 ევროს დაკისრების თაობაზე სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და სსკ-ის 979.1 მუხლს ეფუძნება.

27.2. დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლის 19 ივნისიდან 2013 წლის 30 მაისამდე ჩაურიცხა 26 257.50 ევრო. შეგებებული სარჩელის მიხედვით, აღნიშნული თანხა შეგებებული სარჩელის მოპასუხეზე უპროცენტოდ გადაცემული სესხია. ამ უკანასკნელმა უარყო მხარეთა შორის სესხის სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ ჩარიცხული თანხა მასსა და შპს-ს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, თხილის ბიზნესის წარმოების თანხას წარმოადგენდა.

27.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა არ დასტურდება, თუმცა მიიჩნევს, რომ პალატამ არასწორად დაადგინა, რომ შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი თანხა შპს-სა და შეგებებული სარჩელით მოპასუხეს შორის არსებული ნასყიდობით სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ჩარიცხული პროდუქციის საფასურია. სააპელაციო პალატამ ეს ფაქტი კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე დაადგინა, რომლითაც მხარეთა შორის ამგვარი ურთიერთობის არსებობა დასტურდებოდა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხსენებულ დავაში შეგებებული სარჩელით მოსარჩელე მხარე არ იყო. გადაწყვეტილებით ნასყიდობით სამართლებრივი ურთიერთობა დადგინდა მოსარჩელესა და შპს-ს შორის.

რის. ამდენად, შეგებებული სარჩელის მოსარჩელე ხელშეკრულების მონაწილე არ იყო. ამასთან, რომც მივიჩნით, რომ შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ მოპასუხეს თანხა შპს-ს ნაცვლად ჩაურიცხა, პალატა იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებიდან არ გამომდინარეობს 24 776 ევროსა და 1 481.50 ევროს მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ჩარიცხვა (გადაწყვეტილებით მიწოდებულ პროდუქციასა და ჩარიცხულ თანხებს შორის სხვაობის საფუძველზე დადგინდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის ვალი შპს-ს მიმართ 410 210 ლარი და 200 200 ევრო იყო, შესაბამისად, სხვა დავალიანება ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელეს არ გააჩნდა). სხვა მტკიცებულება კი, რომელიც თანხის თხილის საფასურისათვის ჩარიცხვას დაადასტურებდა, წარმოდგენილი არ არის.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა აუქმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს ნაწილობრივ (მოპასუხისათვის 251 000 ლარისა და 62 102.26 ლარის დაკისრების ნაწილში) აკმაყოფილებს, ხოლო შეგებებულ სარჩელს სრულად აკმაყოფილებს.

29. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

30. საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით გან-

საზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 8509.36 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1491.35 ლარის გადახდა; მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 2734.65 ლარის გადახდა; მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 465.47 ლარის გადახდა;

მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 853.53 ლარის გადახდა; მოსარჩელეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 463.35 ევროს ექვივალენტი ლარის გადახდა; მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 849.65 ევროს ექვივალენტი ლარის გადახდა; მოსარჩელეს, შეგებებული სარჩელის მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 6023.65 ლარის გადახდა შეგებებული სარჩელის მოსარჩელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

31. 2017 წლის მოპასუხის წარმომადგენელმა ურთიერთმთხოვნათა გაქვითვის შესახებ შუამდგომლობა წარმოადგინა და მიუთითა, რომ თუკი მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდებოდა და მოპასუხეს თანხის გადახდა დაეკისრებოდა, ის გაქვითულიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 16.09.2014 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელის მოპასუხის მიმართ არსებულ ვალდებულებაში.

31.1. პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოში ზეპირი განხილვის შემდეგ საქმის არსებითად განხილვა დასრულდა 2017 წლის 29 მაისს და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 8 ივნისს, შესაბამისად, მოპასუხემ შუამდგომლობა წარადგინა საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდგომ, როდესაც სასამართლო გასული იყო სათათბიროდ გადაწყვეტილების გამოსატანად.

31.2. სსკ-ის 442-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთმთხოვნათა არსებობის პირობებში, სასამართლოს მიერ დასაკისრებელ ვალდებულებათა გაქვითვის წინაპირობაა აღნიშნულის თაობაზე მხარის მიერ ნების გამოვლენა. მოცემულ შემთხვევაში, მხარემ ამგვარი ნება მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის დასრულების შემდეგ გამოხატა, რის გამოც სასამართლო ველარ იმსჯელებს მხარეთა ვალდებულებების ურთიერთმთხოვნათა გაქვითვის გზით შეწყვეტაზე. შესაბამისად, შუამდგომლობა განუხილველად უნდა დარჩეს. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მხარეს უფ-

ლება აქვს, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე მოთხოვნა აღსრულების ეტაპზე წარადგინოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე
მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „კ. კ.“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-
დეს;
2. შპს „ა. ფ.“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-
დეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება და
მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „კ. კ.“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
 - 4.1. ა. რ. კ-ს, შპს „კ. კ.“ სასარგებლოდ, დაეკისროს 251 000 ლა-
რის გადახდა;
 - 4.2. ა. რ. კ-ს, შპს „კ. კ.“ სასარგებლოდ, დაეკისროს 62 102.26
ლარის გადახდა;
 - 4.3. დანარჩენ ნაწილში შპს „კ. კ.“ სარჩელი არ დაკმაყოფილ-
დეს;
5. შპს „ა. ფ.“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
 - 5.1. შპს „ა. ფ.“, შპს „ა. ფ.“ სასარგებლოდ, დაეკისროს 26 257.50
ევროს ექვივალენტი ლარის გადახდა;
 6. ა. რ. კ-ს, შპს „კ. კ.“ სასარგებლოდ, დაეკისროს 8509.36 ლარის
გადახდა მოსარჩელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზ-
ლაურებლად;
 7. შპს „კ. კ.“, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკის-
როს 1491.35 ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშ-
ზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმ-
ღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
 8. ა. რ. კ-ს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს
2734.65 ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ.
თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების
ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;
 9. შპს „კ. კ.“, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკის-
როს 465.47 ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:
ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღე-

ბის ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

10. ა. რ. კ-ს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს 853.53 ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

11. შპს „კ. კ.“, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს 463.35 ევროს ექვივალენტი ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

12. ა. რ. კ-ს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს 849.65 ევროს ექვივალენტი ლარის გადახდა. თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

13. შპს „ა. ჯ.“, შპს „ა. ფ.“ სასარგებლოდ, დაეკისროს 6023.65 ლარის გადახდა შეგებებული სარჩელის მოსარჩელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

14. ა. რ. კ-სა და შპს „ა. ფ.“ წარმომადგენლის – გ. გ-ძის შუამდგომლობა ურთიერთმოთხოვნათა გაქვეითვის თაობაზე დარჩეს გაუხილველად;

15. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვითომ კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-415-398-2016

23 აგვისტო, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს-ოს“ (შემდეგში: სანარმოს, საზოგადოების) 74% წილის

მფლობელი პარტნიორი და დირექტორი იყო გ. ქ-ძე (შემდეგში პირველი პარტნიორი, პირველი მოსარჩელე), 12%-ის – მისი მეუღლე დ. ქ-ძე (შემდეგში: მეორე პარტნიორი, მეორე მოსარჩელე) და 14%-ის – მ. ქ-ძე (შემდეგში: მესამე მოსარჩელე, მესამე პარტნიორი), რომელიც პირველი მოსარჩელის მეგობრის მეუღლეა.

2. 2006 წლის 7 დეკემბერს პირველი მოსარჩელე დააკავა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ, ხოლო ამავე წლის 9 დეკემბერს მას წაუყენეს ბრალი და მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (მოხელისათვის ქრთამის მიცემა უკანონო ქმედების ჩასადენად).

3. 2006 წლის 14 დეკემბერს ქ. ქუთაისის №2 საპრობილეში მყოფმა პირველმა მოსარჩელემ მესამე მოსარჩელეს საწარმოს უძრავი ქონების გასხვისების მინდობილობა მისცა.

4. 2006 წლის 15 დეკემბერს წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით პირველმა მოსარჩელემ თავისი კუთვნილი წილი – 74%, რომლის ნომინალური ღირებულებაც შეადგენდა 49 210 ლარს, ასევე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ... და დაბა ... მდებარე მიწის ნაკვეთები მისი აქტივებითა და პასივებით, უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

5. 2006 წლის 15 დეკემბერს, წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით, მეორე მოსარჩელემ თავისი კუთვნილი წილი – 12%, რომლის ნომინალური ღირებულებაც შეადგენდა 7 980 ლარს, უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

6. 2006 წლის 15 დეკემბერს, წილის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით, მესამე მოსარჩელემ თავისი კუთვნილი წილი – 14%, რომლის ნომინალური ღირებულებაც შეადგენდა 9 310 ლარს, უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

7. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე საწარმოს 100% წილის მფლობელი გახდა სახელმწიფო.

8. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 დეკემბრის განჩენით დამტკიცდა პირველ მოსარჩელესა და პროკურატურას შორის 2006 წლის 20 დეკემბერს დადებული საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვით, პირველი მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 339-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. საპროცესო

შეთანხმება პირველ მოსარჩელესთან დამტკიცდა ჯარიმის გარეშე.

9. საწარმოს პარტნიორმა – სახელმწიფომ, 2010 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით, საწესდებო კაპიტალიდან ამოიღო საწარმოს კუთვნილი ოზურგეთის რაიონის დაბა ... მდებარე ექვსი უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №...; №...; №...; №...; №...N...), რომელიც აღრიცხა სახელმწიფოს საკუთრებაში. სახელმწიფოს საკუთრებაში აღრიცხა საწარმოს კუთვნილი ოზურგეთის რაიონის ... (...) მდებარე უძრავი ქონებაც (ს/კ №...).

10. მითითებული უძრავი ქონებიდან ხუთი ერთეული (№...; №...; №...; №...; №...) ჩამოყალიბდა ერთ საკადასტრო ერთეულად (ს/კ №...) და 2011 წლის 1 თებერვალს, სახელმწიფოსა და სს „ს.ს-ეს“ (შემდგეში – სააქციო საზოგადოება) შორის დადებული გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე, ამ უკანასკნელს საკუთრებაში გადაეცა.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის განჩინებით, საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდა 2013 წლის 21 ნოემბრიდან და გაუქმდა საწარმოს რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში.

12. მოსარჩელებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა (შემდგეში – კასატორები) და სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ (შემდგეში – მოპასუხეები) და მოითხოვეს:

12.1 პირველ მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის 2006 წლის 15 დეკემბერს დადებული საწარმოს 74%-იანი წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სახელმწიფოსათვის 49210 ლარის (საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნომინალური ღირებულების – 66 500 ლარის 74%-ის) გადახდის დაკისრება პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

12.2. მესამე მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის 2006 წლის 15 დეკემბერს დადებული საწარმოს 12%-იანი წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სახელმწიფოსათვის 7980 ლარის (საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნომინალური ღირებულების – 66 500 ლარის 12%) გადახდის დაკისრება მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ;

12.3. მეორე მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის 2006 წლის 15 დეკემბერს დადებული საწარმოს 14%-იანი წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სახელმწიფოს სასარგებლოდ 9310 ლარის (საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნომინალური ღირებულების – 66 500 ლარის 14%) გადახდის დაკისრე-

ბა;

12.4. საწარმოს პარტნიორის – სახელმწიფოს, საზოგადოების საწესდებო კაპიტალიდან შპს „ს-ოს“ კუთვნილი უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №...; №...; №...; №...; №...; №...) ამოღების თაობაზე, 2010 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

12.5. სახელმწიფოსა და სააქციო საზოგადოებას შორის 2011 წლის პირველ თებერვალს დადებული ხელშეკრულების, რომლითაც უძრავი ქონება (ს/კ №...) გადავიდა ამ უკანასკნელის საკუთრებაში, ბათილად ცნობა;

12.6. მოსარჩელების, შპს-ში მათი წილების პროპორციულად, უძრავი ქონების (ს/კ №...) თანამესაკუთრებად ცნობა;

12.7. მოსარჩელების, საწარმოში მათი წილების პროპორციულად, უძრავი ქონების (ს/კ №...) თანამესაკუთრებად ცნობა;

12.8. მოპასუხეებისათვის, მოსარჩელეთა სასარგებლოდ, სოლიდარულად ზიანის – 1 126 101.17 ლარის დაკისრება (მოსარჩელემ აღნიშნული მოთხოვნა შემდგომ 330 549 ლარამდე შეამცირა).

13. მოსარჩელეთა მტკიცებით, პირველი მოსარჩელის მიმართ, რომელიც დაპატიმრებული იყო, ფიზიკურად და ფსიქიკურად დაზარადა, რაც გამოიხატებოდა მისი და მისი ოჯახის წევრების პასუხისგებაში მიცემასა და ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთის მუქარაში. მეორე და მესამე მოსარჩელესაც ემუქრებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, საქმეზე მონაწილე დაკითხვისას.

14. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათი მტკიცებით, გარიგების დადების მიზნით, მოსარჩელებისაკენ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ფაქტი არ დგინდებოდა. სააქციო საზოგადოება უძრავ ქონებათა კეთილსინდისიერი შემძენი იყო. ამასთან, სადავო გარიგებათა შეცილების ვადა გასული იყო.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე, 3.2, 89-ე, 183-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მოსარჩელებმა ვერ დაამტკიცეს ის გარემოება, რომ მათ საწარმოს წილები უსასყიდლოდ დათმეს სახელმწიფოს მხრიდან იძულების გამო. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგებები დაიდო კანონის მოთხოვნათა დაცვით და მათი ბათილობის საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, ასევე გამო-

რიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

17. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მოსარჩელებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

18.1. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

18.2. მოსარჩელეთა სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

18.3. ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელებსა და სახელმწიფოს შორის 2006 წლის 15 დეკემბერს დადებული სანარმოს წილების უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებები;

18.4. პირველ მოპასუხეს, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 49 210 ლარის, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ – 9 310 ლარის, ხოლო, მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ – 7 980 ლარის გადახდა;

18.5. ოზურგეთის რაიონის სოფელ ... (ს/კ №...) მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეებად ცნობილ იქნენ მოსარჩელები, პირველი მოსარჩელე უძრავი ქონების – 74% წილის მესაკუთრედ, მეორე მოსარჩელე – 12% წილის მესაკუთრედ, ხოლო მესამე მოსარჩელე – 14% წილის მესაკუთრედ.

18.6. 12.04.2010 წლის ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

18.7. 01.02.2011 წლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

18.8. უძრავი ქონების, რომლის საკადასტრო კოდია ..., თანამესაკუთრეებად მოსარჩელეთა ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

18.9. ზიანის – 330 549 ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 54-ე, 976.1, 128.3, 130-ე, 180-ე, 992-ე მუხლებით და „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტით და დაასკვნა შემდეგი:

19.1. სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო, არ გაიზიარა აპელანტების მტკიცება, სადავო გარიგებათა დადებისას, სახელმწიფოს მხრიდან იძულების თაობაზე, თუმცა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ქმედება მორალურად გაუმართლებელი იყო, რის გამოც სადავო გარიგებები სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათი-

ლი იყო. სასამართლოს მოსაზრებით, საწარმოს პარტნიორების მიერ კუთვნილი ნივთების სახელმწიფოსათვის ჩუქებიდან რამდენიმე დღეში პირველ მოსარჩელესთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და პატიმრობიდან მისი გათავისუფლება თვისთავად მეტყველებდა სადავო გარიგებების გაფორმებისას მოსარჩელეთა მიერ გამოვლენილი ნების არანამდვილობაზე. ამდენად, პარტნიორებმა გარიგებები დადეს არა თავისუფალი ნების საფუძველზე, არამედ პირველი მოსარჩელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემცირების ან/და მისგან გათავისუფლების მოლოდინით. გარდა აღნიშნულისა, ვითარებაც, რომელშიც დაიღო სადავო გარიგებები, გამორიცხავდა მოსარჩელეთა ინიციატივისა და თავისუფალი ნების არსებობას, კერძოდ, პალატამ ყურადღება გამახვილა მოსარჩელეთა მტკიცებაზე იმის შესახებ, რომ სადავო გარიგებები გაფორმდა სანოტარო ბიუროში, ქ. ზუგდიდში ღამის 01:00-02:00 საათზე, ხოლო საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ქ. ფოთში, ღამის 03:00-04:00 საათზე. მოპასუხეს კი, მოსარჩელეთა მიერ მითითებული ზემოხსენებული გარემოებების გასაქარწყლებლად სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილი ფაქტების ანალიზი მოპასუხის ქმედების არაკეთილსინდისიერად შეფასების საფუძველს ქმნიდა. სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ სახელმწიფოს პირველ მოსარჩელესთან საპროცესო შეთანხმება არ გაუფორმებია სადავო გარიგებათა დადების მიზნით, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ სადავო ხელშეკრულებების დადებით, ბრალდებულისგან, მისი ოჯახის წევრისა და ახლობლისაგან ბრალდებულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის და ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლების „სანაცვლოდ“, საბოლოოდ ძვირადღირებული საჩუქარი მიიღო. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სადავო გარიგებები არ ემსახურებოდა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და არ წარმოადგენდა პირველ მოსარჩელესთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების შემადგენელ ნაწილს ან მის თანმდევ შედეგს, ვინაიდან არც 2006 წლის 20 დეკემბრის საპროცესო შეთანხმებიდან და არც 2006 წლის 23 დეკემბრის განაჩენიდან (და არც საქმეში წარმოდგენილი რომელიმე სხვა მტკიცებულებიდან) არ დგინდებოდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ პირველი მოსარჩელის მიერ ჩადენილ დანაშაულს სახელმწიფოსათვის ან მესამე პირისათვის ზიანი მოჰყვა.

19.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნები წილის ღირე-

ბულების ანაზღაურებისა და სანარმოს კუთვნილი უძრავი ქონების დაბრუნების შესახებ გამომდინარეობდა უსაფუძვლო გამდიდრების მომწინსვრებელი ნორმებიდან. კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ კი, ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდებოდა.

19.3. რაც შეეხება მოთხოვნის წარმოშობისა და ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტს, პალატამ მიიჩნია, რომ ვადის დენა პირველი მოსარჩელის პატიმრობიდან გათავისუფლების თარიღიდან – 2006 წლის 23 დეკემბრიდან უნდა დაწყებულიყო. მოთხოვნის წარმოშობის მომენტის და სარჩელის აღძვრის თარიღის (2013 წლის 30 ოქტომბერი) გათვალისწინებით კი, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ სადავო 2006 წლის 15 დეკემბრის ხელშეკრულებათა ბათილობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ მოთხოვნები არ იყო ხანდაზმული.

19.4. სანარმოს საკუთრებაში არსებულ ექვს ერთეულ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დადგენის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, სანარმო, მისი გაკოტრებულად გამოცხადებისა და რეგისტრაციის გაუქმების გამო, აღარ არსებობდა, თუმცა მოსარჩელები, როგორც სანარმოს პარტნიორები უფლებამოსილი იყვნენ, საკუთრების დაბრუნება მოეთხოვათ „შენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, თავიანთი წილის პროპორციულად. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ექვსი უძრავი ნივთიდან სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა მხოლოდ ერთი უძრავი ნივთი (საკადასტრო კოდით №...), ხოლო დანარჩენი ხუთი (საკადასტრო კოდებით №...; №...; №...; №...; №...) სახელმწიფოს მიერ სხვა უძრავ ნივთებთან გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ერთ საკადასტრო ერთეულად (№...), რომელიც საბოლოოდ, სახელმწიფოს მიერ გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე განიკარგა და გადავიდა სააქციო საზოგადოების საკუთრებაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ სადავო ხელშეკრულებების ბათილობა ყველა სადავო უძრავ ნივთზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დადგენისათვის არ იყო საკმარისი. პალატამ მიიჩნია, რომ ოზურგეთის რაიონის სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით №...; 30 000 კვ.მ. ფართით) მიმართ მოსარჩელეთა საკუთრების უფლების დადგენის შესახებ მოთხოვნა დასაბუთებული იყო, რამდენადაც სწორედ ბათილად ცნობილი ხელშეკრულებების შედეგად სახელმწიფომ, როგორც სანარმოს ერთადერთმა პარტნიორმა, საზოგადოების კაპიტალიდან ეს მიწის ნაკვეთი ამოიღო და თავის სახელზე დაირეგისტრირა. ამასთან, ვიანიდან საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდებოდა, რომ აღნიშნუ-

ლი უძრავი ნივთი სახელმწიფოს მიერ არ განკარგულა, პალატამ ამ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნა დააკმაყოფილა.

19.5. სააპელაციო პალატამ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე მიუთითა, რომ მოსარჩელები ზიანში მესამე პირის საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ნივთში განთავსებული საშენი, მოსაპირკეთებელი და სხვადასხვა მოწყობილობების განადგურებით გამოწვეულ ზარალს გულისხმობდნენ. პალატამ მიიჩნია, რომ, რამდენადაც ზიანის მოთხოვნა გამომდინარეობდა დელიქტიდან, მოსარჩელეს უფრო დეტალურად უნდა მიეთითებინა და დაესაბუთებინა, თანამოპასუხეთა რომელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად და როდის განადგურდა საშენი, მოსაპირკეთებელი და სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობა. რადგან მოსარჩელე მხოლოდ ზოგადი ხასიათის მტკიცებით შემოიფარგლა და ვერ დაასაბუთა საქმისათვის მნიშვნელოვანი ზემოთ მითითებული გარემოებები, სასამართლომ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

20. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს კასატორებმა, რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის უარყოფა შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით მოითხოვეს:

20.1. გასაჩივრებული გადანყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ სადავო გარიგებანი ბათილად მიიჩნია არა, როგორც იძულებით დადებული გარიგება, არამედ, ზნეობის ნორმებთან შეუსაბამობის გამო, მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება, მაშინ, როდესაც მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების „ფაქტობრივ და ნორმატიულ“ საფუძველად მიუთითებდა, რომ სადავო გარიგებები მასზე ფსიქიკური ძალადობის შედეგი იყო.

20.2. სსკ-ის 54-ე მუხლი გარიგებათა ბათილობის საერთო ცნების გამომხატველი დებულებაა. ამ მხრივ იძულება, რომელიც ზოგადად არღვევს სამოქალაქო ბრუნვის ნდობისა და კეთილსინდისიერების ფუნდამენტურ პრინციპს, ეწინააღმდეგება როგორც კანონით დადგენილ წესს, ისე – საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს, თუმცა, ვინაიდან კანონმდებელმა იძულებით დადებული გარიგება ცალკე შემადგენლობად გამოყო და ნების გამოვლენის ნაკლის გამო გაითვალისწინა, როგორც გარიგების ბათილობის დამოუკიდებელი საფუძველი, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს სპეციალური (სსკ-ის 85-ე და 86-ე) მუხლების საფუძველზე უნდა შეეფასებინა და შეცილების ვადაც ერთი წელი უნდა ყოფილიყო.

20.3. სასამართლომ ისე დაასკვნა, რომ სანარმოს პარტნიორთა

კუთვნილი წილები სახელმწიფოს გადაეცა საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით, არ იმსჯელა რა ფორმით და ვინ განახორციელა მათ ნებაზე ზემოქმედება, გაელოთ „საჩუქარი“. სამინისტროს თანამშრომლისა და ნოტარიუსის გარდა, საქმეში უამრავი მტკიცებულებაა, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელებზე არც ფსიქიკურად და არც ფიზიკურად არავის უძალადია.

20.4. რაც შეეხება სასამართლოს დასკვნას, რომ პირველი მოსარჩელის დანაშაულებრივ ქმედებას სახელმწიფოსათვის ზიანი არ მოჰყოლია, მექრთამეობა, ისევე, როგორც სხვა დანაშაული, ზიანის მომტანია სახელმწიფოსათვის და ხელყოფს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესს.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

23. მოსარჩელეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნის – სანარმოს წილების ნომინალური ღირებულების მოპასუხეთათვის დაკისრების, სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა,

შეუძლია, მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება, გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში) და 979-ე მუხლის მეორე ნაწილი (თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით).

24. შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი ან ამგვარი საფუძველი, ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შემდგომ შეწყდა. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გარიგების ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი უკავშირდება გარიგების დადებაამდე არსებულ ვითარებაში დაბრუნებას, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რაც არაა გარიგებით მიიღეს მხარეებმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს.

25. შესრულების კონდიქცია გულისხმობს შემდეგი წინაპირობების არსებობას: ერთი პირის მიერ მეორისათვის სამართლებრივი სიკეთის შესრულების საფუძველზე გადაცემა; მეორე პირის მიერ შესრულების საფუძველზე სამართლებრივი სიკეთის შექმნა; შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა. შესაბამისად, კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; სამართლებრივ სიკეთეთა ამ განაცხვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

26. სარჩელის მიხედვით, პირველ მოსარჩელეს, რომელიც პატიმრობაში იმყოფებოდა, სახელმწიფომ აიძულა, მისთვის ერუქები ბინა კუთვნილი წილი სანარმოში. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ფსიქიკური ძალადობა გამოიხატებოდა ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთისა და მისი ოჯახის წევრების პასუხისგებაში მიცემის მუქარით. მეორე და მესამე მოსარჩელეც, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მუქარისა და პირველ მოსარჩელეზე ფსიქიკური ძალადობის გამო, იძულებული გახდნენ, სახელმწიფოსათვის ერუქებიანათ თავიანთი წილები სანარმოში.

27. მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ დავა უკავშირდება იძულებით დადებულ საცილო გარიგებათა ბათილობას. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 85-ე-89-ე მუხლების წინაპი-

რობები, თუმცა პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს კასატორის პირველ პრეტენზიასთან (იხ. პ. 20.1) დაკავშირებით განმარტოს შემდეგი: „იძულება“ არ არის ფაქტი, ის ფაქტის სამართლებრივი შეფასებაა. სასამართლო კი, არ არის შეზღუდული მოსარჩელის მიერ მითითებული მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძვლით. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაშია (საქმე №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი) მითითებული „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონემაზეც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ №ას-15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

28. პალატა მიიჩნევს, რომ, როდესაც პროკურატურის მუშაკი დაპატიმრებულ პირზე ფსიქიკურად ძალადობს, ხოლო მის ახლობლებს პასუხისგებაში მიცემით ემუქრება, ამგვარი ქმედება არა მხოლოდ იძულებაა, არამედ საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაც, რადგან, როდესაც სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან ილახება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, ასეთ დროს არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები ზიანდება. ამასთან, გარიგება ამორალურიცაა, რადგან პროკურატურის მუშაკი პასუხისგებაში მიცემულ პირს სთავაზობს სახელმწიფოსათვის ქონების დათმობის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, მაშინ, როდესაც ქონების დათმობა დამნაშავეს მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას არ ემსახურება. სადავო გარიგებები მართლსაწინააღმდეგოცაა, რამდენადაც ამკრძალავ კანონთან (85-ე მუხლთან, რომელიც ასეთი გარიგების დადებას დაუშვებლად მიიჩნევს)

წინააღმდეგობის გამო ბათილია, თუმცა, როდესაც გარიგება ეწინააღმდეგება კონკრეტულ კანონს, არსებობს კანონსწინააღმდეგო გარიგება და საჯარო წესრიგსა ან ზნეობის ნორმებთან მიმართებით გარიგების ნამდვილობის შემოწმებაზე უპირატესი, სპეციალური ნორმების, კონკრეტულ შემთხვევაში კი, სსკ-ის 85-ე-89-ე მუხლების გამოყენებაა.

29. სსკ-ის 85-ე მუხლის (გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან) მიხედვით, საცილო გარიგება ბათილია დადების მომენტიდან, თუ იგი დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულება კი, გულისხმობს, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ძალადობასა და მუქარას. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეები სწორედ ფსიქიკურ ძალადობასა და მუქარაზე აპელირებენ, რაც სამომავლო საფრთხის დამუქრებით გამოძალულ ნების გამოხატვას მოიაზრებს, რომლის რეალიზებასაც დამმუქრებელი საკუთარ ნება-სურვილზე დამოკიდებულად წარმოაჩენს, რათა ამგვარად ზეგავლენა მოახდინოს მუქარის ადრესატის ნებაზე და დაიყოლიოს შესაბამისი გარიგების დადებაზე.

30. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე პირველი პარტნიორის მიმართ ფსიქიკური ზეწოლა – რომ სადავო გარიგებების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მას სასჯელად ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდებოდა – იყო იმდენად რეალური, რამდენადაც საპროცესო შეთანხმების გაფორმება სწორედ დამმუქრებლის დისკრეციას წარმოადგენდა, კერძოდ, მათი პირობების შესრულების შემთხვევაში, სასჯელის სახედ, ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, მისი პირობითად ჩათვლა და გამოსაცდელი ვადის დადგენა პროკურატურის უფლებამოსილება იყო, ისევე, როგორც პირობათა შესრულებლობის შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარის თქმა. შესაბამისად, საფრთხის რეალიზება არა მხოლოდ ადრესატის თვალსაწიერიდან ჩანდა დამმუქრებლის ნებაზე დამოკიდებულად, არამედ ობიექტურადაც ასე იყო.

31. ამასთან, სასჯელის სახედ პატიმრობის მუქარა, თუ მეორე და მესამე მოსარჩელის შემთხვევაში, პასუხისგებაში მიცემის მუქარა, თავისთავად ცალკე აღებული, შესაძლოა, არც იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა ქმედებას „იძულებად“ მართლსაწინააღმდეგო მიზანი – ქონების ჩუქების გამოძალვა აქცევს. ამდენად, იძულებასა და ნების გამოხატვას შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა, მოსარ-

ჩელე ნებას გამოავლენდა და, შესაბამისად, სადავო გარიგებები დაიდებოდა თუ არა იძულების გარეშე და არა იმის – რეალურად გაფორმდებოდა თუ არა საპროცესო შეთანხმება სადავო გარიგებათა დადების გარეშეც.

32. რაც შეეხება მითითებული საკითხის კვლევისას მტკიცების სტანდარტს, პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მოსარჩელებზე არც ფსიქიკურად და არც ფიზიკურად არავის უძალადია და განმარტავს შემდეგს: მართალია, მხარემ, რომელიც აპელირებს გარიგების იძულებით დადებაზე, უნდა ამტკიცოს კიდევ მისი წინაპირობები, თუმცა, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს იმას, რომ იძულების ხასიათი საკმარისია „ნების მოდრეკისათვის“, მეორე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ნების გამოხატვა იძულების შედეგი არ იყო და, გამონაკლისის სახით, გამომხატველის თავისუფალ გადაწყვეტილებას ემყარებოდა.

33. მჩუქებლებმა მიუთითეს და დაამტკიცეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სადავო გარიგებები დაიდო პირველი მოსარჩელის დაკავებისა და მისთვის ბრალის წარდგენის შემდგომ; სადავო გარიგებების დადებიდან ხუთ დღეში მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; სადავო გარიგებათა დადებიდან მერვე დღეს კი, პირველი მოსარჩელე გათავისუფლდა პატიმრობიდან. ამასთან, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო გარიგებები ღამის საათებში, არასამუშაო დროს გაფორმდა და დარეგისტრირდა, რასთან დაკავშირებითაც კასატორს შედავება არ წარმოუდგენია. ასეთ ვითარებაში მოპასუხე სახელმწიფოს უნდა ემტკიცებინა, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო ამგვარი საჩუქრის საფუძველი, თუ არა – მუქარა. ამგვარ მტკიცებას არ შეიცავს არც მოპასუხეთა შესაგებელი და არც წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

34. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ დგინდება მოპასუხეთა მხრიდან ნების გამოძალვის მიზნით ნების თავისუფლების ხელყოფა. მოსარჩელეთა მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მათ ნამდვილ შინაგან ნებას, რამდენადაც იგი გამოვლენილი იყო არა ჩუქების, არამედ პირველი მოსარჩელის შემთხვევაში, მოსალოდნელი სასჯელის – ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთისა და ოჯახის წევრისა (მეორე მოსარჩელის) და ახლობლის (მესამე მოსარჩელის) სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შიშით, ხოლო მეორე და მესამე მოსარჩელის შემთხვევაში, მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისა და პირველი მოსარჩელის ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთის შიშით. აქე-

დან გამომდინარე, სწორედ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული დევნა, შესაბამისად, პატიმრობის შეფარდების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელმაც პარტნიორები აიძულა უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფოსათვის მათი კუთვნილი ნიღები. მუქარა ნების გამოვლენის გამომწვევი რომ არ იყო, მოპასუხემ ვერ დაამტკიცა.

35. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაც ამგვარია, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოება შეიძლება იყოს“ (Case of Gusinskiy v. Russia). სახელმწიფოს ეკრძალება საჯარო ფუნქციების შესრულება, დაუკავშიროს ეკონომიკური ხანიათის საპირისპირო შესრულებას, თუ ეს არ ემსახურება დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთ დროს ირღვევა მხარეთა თანასწორობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.

36. კასატორებს მიაჩნიათ, რომ მოსარჩევეებმა გაუშვეს შეცილებისათვის სსკ-ის 89-ე მუხლით (იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან) დადგენილი სპეციალური ვადა, რაც, მათი მტკიცებით, გამორიცხავს სადავო გარიგებებით მიღებული იურიდიული შედეგის უკუქცევას. პალატა განმარტავს, რომ ერთნაირი უფლების გამომრიცხველი ვადა აითვლება არა იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლების არსებობის შესახებ, არამედ იძულების დამთავრების მომენტიდან, რომელიც ავტომატურად არ წყვეტს არსებობას გარიგების დადებასთან ერთად. ამდენად, ასეთ შემთხვევაში ათვლის წერტილია იძულების დასრულება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შეტყობის ანუ გარიგების დასრულების მომენტს არ ემთხვევა. შესაბამისად, შეცილების ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულს შეეძლო, თავისუფლად განეცხადებინა ზეწოლის შესახებ.

37. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დაუდებლობის მუქარა ვერ გაქარწყლდებოდა არათუ გარიგების დადებისთანავე, არამედ ვერც საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან ერთად, რადგან იმ სახელმწიფო ორგანოს

მხრიდან, რომელმაც მანამდე მართლსაწინააღმდეგო მუქარას მიმართა, ამის შემდეგაც არსებობდა საპროცესო შეთანხმების გაუქმებისა თუ მოსარჩელისათვის სხვაგვარად ვნების მიყენების შესაძლებლობა, ამ უკანასკნელისათვის დადგენილი ხუთწლიანი გამოსაცდელი ვადის გათვალისწინებით. ამდენად, გასაზიარებელია მოსარჩელეთა აპელირება, რომ სადავო გარიგებების ნამდვილობას სარჩელით შეეცილენ 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. შეცილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი აწევს შეცილების ადრესატს, რომელმაც ის სათანადოდ ვერ უზრუნველყო.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვლინდება სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინაპირობები და არ არსებობს მოთხოვნის გამომრიცხველი გარემოებები.

39. შესრულების კონდიციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კანონისმიერი ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. მოცემულ შემთხვევაში, უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლებს სსკ-ის 979.2 მუხლი განსაზღვრავს. ღირებულება, რომელიც უნდა ანაზღაურდეს მითითებული ნორმის მიხედვით, გულისხმობს მიღებული საგნის საბაზრო ღირებულებას, მაგრამ, ვინაიდან მოსარჩელეებმა მოითხოვეს წილის ნომინალური და არა – საბაზრო ღირებულება, სასამართლო ვერ გასცდება ამ მოთხოვნის ფარგლებს (სსკ-ის 248-ე მუხლი).

40. რაც შეეხება უძრვ ნივთზე მესაკუთრედ ცნობას, პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. პირველ რიგში, პალატა ყურადღებას მიაქცევს გარემოებას, რომ სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა საწარმოს და არა – პარტნიორებს. შესაბამისად, პარტნიორთა მოთხოვნა, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, დაუსაბუთებელია.

41. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდა, პარტნიორები უფლებამოსილი იყვნენ ხელშეკრულებათა ბათილობის გამო სადავო მიწის ნაკვეთზე პრეტენზია განეცხადებინათ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.9 მუხლიდან (თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი

დაკმაყოფილება მოხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეკონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეკონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი) გამომდინარე, რასაც პალატა არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა მითითებული ნორმა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, არ ვლინდება ამ ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები. მითითებული მუხლის გამოყენება უმართებულოა იმიტომაც, რომ საწარმოს ლიკვიდაცია არ მომხდარა, არამედ იგი გაკოტრებულად გამოცხადდა „გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 20.9 მუხლის (თუ მე-20 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორი ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ გადახდისუნარიანობის შესახებ განცხადებას არ შეიტანს სასამართლოში, სასამართლო მოვალეს გაკოტრებულად აცხადებს, რაც მოვალის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. სასამართლო ამ ინფორმაციას არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა აქვეყნებს ელექტრონულ სისტემაში) მიხედვით. შესაბამისად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.9 მუხლს, რომელიც სპეციალურია, ანალოგიად გაკოტრების შემთხვევაზე ვერ გამოვიყენებთ (სსკ-ის 5.3 მუხლი).

42. უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ვერც სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებული სსკ-ის 976 მუხლის პირველი ნაწილი ვერ იქნება, ვინაიდან ამ ნორმის მიხედვით, მხოლოდ უფლებამოსილ პირს შეუძლია „ნატურით დაბრუნების“ მოთხოვნა დააყენოს. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეები მოსარჩელები არ იყვნენ, ისინი იმ საზოგადოების პარტნიორები იყვნენ, რომელსაც სადავო მიწა ეკუთვნოდა. შესაბამისად, პარტნიორების კუთვნილი საწარმოს წილის ღირებულებაში ამ სადავო მიწის ნაკვეთის ღირებულება შედიოდა, თუმცა მოსარჩელებმა წილის ნომინალური და არა – საბაზრო ღირებულება მოითხოვეს, რის გამოც მიწის ნაკვეთი მათ ვერც ნატურით ვერ დაუბრუნდებათ და ვერც მისი ღირებულება ვერ აუნაზღაურდებათ.

43. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა

განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უძრავი ქონების (მისამართი: ოზურგეთის მინიციპალიტეტი, ... (...), ს/კ№...) თანამესაკუთრებებზე ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

44. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, პირველ მოპასუხეს უნდა დაეკისროს 392.00 ლარის გადახდა პირველი მოსარჩელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ, – 56.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; ხოლო მესამე მოსარჩელის სასარგებლოდ – 72.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 53-ე, 199¹-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 3.2, მე-4, 4.1 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

2.1. გ. ქ-ძის, დ. ქ-ძისა და მ. ქ-ძის სარჩელი უძრავი ქონების (მისამართი: ოზურგეთის მინიციპალიტეტი, ... (...), ს/კ № ...) თანამესაკუთრებად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2.2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გ. ქ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს 392.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

2.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მ. ქ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს 72.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

2.4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, დ. ქ-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს 56.00 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც: ა) სახელმწიფოს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ოზურგეთის მინიციპალიტეტი, ... (...), ს/კ № ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა; ბ) სს „ს.ს-ეს“ (ს/კ ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ოზურგეთის მინიციპალიტეტი, დაბა ..., ს/კ № ...) გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირობა კრედიტორისგან მოთხოვნის საფუძველზე

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1136-1056-2017

17 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა,
უძრავი ქონების სანარმოს საკუთრებად აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. ბათუმში, ... მდებარე 51.25 კვ.მ. ფართის მქონე უძრავი ქონების (ს/კ №...) (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება) მესაკუთრე იყო შპს „თ.“ (შემდეგში: მოსარჩელე, შპს, კომპანია ან გამყიდველი).

2. სადავო უძრავი ქონებაზე 28.12.2007 წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო სს „ბ. ბ-ის“ (ბათუმის ფილიალი) სანივთო უფლება.

3. შპს-ს, რომელსაც წარმოადგენდა დირექტორი გ. შ-ა (შემდეგში: დირექტორი) და დ. ჯ-ს (შემდეგში: ან გარდაცვლილი ან მყიდველი) შორის 2011 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ, საჯარო რეესტრში, მყიდველი აღირიცხა.

4. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 51 935 აშშ დოლარით, რომელიც მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი.

5. ხელშეკრულების გაფორმების დროს, კომპანიის დირექტორს, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება შეზღუდული ჰქონდა, რაც რეგისტრირებული იყო მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

6. დირექტორის უფლებამოსილება შეზღუდული იყო 01.05.2007 წლის წესდების მე-6 მუხლით (სანოტარო აქტი №1-...), რომლის თანახმადაც უძრავი ქონების შეძენის, გასხვისებისა და დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო პარტნიორთა კრებას და დირექტორს. დირექტორს, როგორც კომპანიის 18.80000% მფლობელ პარტნიორს არ გააჩნდა ერთპიროვნულად ქონების გასხვისების შესახებ გარიგების დადების უფლებამოსილება.

7. ამ პერიოდისათვის დირექტორთან ერთად, შპს-ს პარტნიორები იყვნენ მ. ა-ა (24.8000%), ბ. გ-ი (18.8000%), თ. ჩ-ძე (18.8000%) და მ. მ-ძე (18.8000%).

8. 2013 წლის 4 ივლისის მდგომარეობით შპს-ის დირექტორია რ. მ-ძე, პარტნიორები არ შეცვლილან.

9. სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე – მყიდველი გარდაიცვალა 2013 წლის 17 ივნისს.

10. ე. კ-ა (შემდეგში: მყიდველის მეუღლე, პირველი მოპასუხე ან პირველი აპელანტი) არის ან გარდაცვლილის მეუღლე, ქ. ჯ-ი (შემდეგში: მყიდველის დედა) – დედა, ხოლო გ. ჯ-ი (შემდეგში: მყიდველის შვილი, მეორე მოპასუხე, მეორე აპელანტი ან კასატორი) – შვილი.

11. სადავო გარიგების გაფორმებისას, შპს-ს პარტნიორებს სადავო უძრავი ქონების გასხვისების ნება არ გამოუვლენიათ.

12. მყიდველის დედის გარდაცვალების შემდეგ მის უფლებამოსილებად მყიდველის შვილი დადგინდა.

13. სარჩელის საფუძვლები

13.1. მოსარჩელემ 2013 წლის 5 დეკემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს მყიდველის მეუღლის, დედისა და შვილის წინააღმდეგ, სადავო უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მოსარჩელის უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღრიცხვა მოითხოვა.

13.2. მოსარჩელის განმარტებით, კომპანიის დირექტორმა წესდება დაარღვია, რადგან არ გააჩნდა პარტნიორთა გადაწყვეტილება 2011 წლის 18 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. დირექტორმა კანონით დადგენილი წესების დარღვევით, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა – აჭარის კუდ-ის მაღალჩინოსნების მხრიდან იძულების და უკანონო მითითებების საფუძველზე, საკუთარი ნება-სურვილის გარეშე, მართლსაწინააღმდეგო და მოჩვენებითი ნასყიდობა გააფორმა ან გარდაცვლილთან.

14. მოპასუხეთა შესაგებელი

14.1. მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ გარიგება ნასყიდობის თაობაზე გაფორმდა კანონით დადგენილი წესით, გარიგება შეესაბამებოდა გარიგების დამდებ პირთა სურვილს, რომლის გაფორმების დროსაც დაცული იყო კანონის მოთხოვნები. საჯარო რეესტრის დანიშნულებათა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ის წარმოადგენს კეთილსინდისიერი პარტნიორის უფლების დაცვის გარანტს. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეთა მიმართ ნდობასა და კეთილსინდისიერებას, რაც უზრუნველყოფილია საჯარო რეესტრის

ჩანაწერების სისწორისა და სისრულის პრეზუმფციით. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, მყიდველი აღნიშნული ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, შესაბამისად, არ არსებობს სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

14.2. მოპასუხეებმა, ასევე, მიუთითეს, რომ სარჩელი ხანდაზმულია.

15. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

15.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ მოსარჩელე აღირიცხა.

15.2. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმული არ არის. სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელემ კი სასამართლოს განცხადებით 2013 წლის 18 ნოემბერს მიმართა, რაც გამორიცხავს სარჩელის ხანდაზმულობას.

15.3. სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 477-ე მუხლსა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 9.4 მუხლზე.

16. მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი

16.1. მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

17.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

17.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-6 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ საქმეში განთავსებულია აჭარის ა/რ პროკურატურის ანტიკორუფციული საგამომიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის მიერ, მოწმის სახით, სადავო უძრავი ქონების მყიდველის დაკითხვის ოქმი, დათარიღებული 2013 წლის 12 იანვრით, სადაც ან გარდაცვლილი დაწვრილებით აღწერს კომპანიის დირექტორთან ხელშეკრულების გაფორმების დეტალებს. კერძოდ, მოწმის ჩვენების თანახმად: „2011 წლის ნოემბრის თვეში მე დამიკავშირდა ჩემი სიძე მ. მ-ძე, რომელიც არის საკაბელო ტელევიზიის მფლობელი და მითხრა, რომ აპირებდა უძრავი ქონების ჩემს სახელზე გადმოფორ-

მებას და მკითხა ვიყავი თუ არა თანახმა. მე ვკითხე თუ რა ქონებაზე იყო საუბარი და ვის უნდა გადაეფორმებინა ის, რაზეც მ. მ-ქმე მითხრა, რომ შპს-ს დირექტორს უნდა გადმოეფორმებია ჩემზე ობიექტი. აქვე გიჩვენებთ, რომ მე მანამდე ვიცნობდი კომპანიის დირექტორს მასაც ჰქონდა საკაბელო ტელევიზია და საქმიანობდა მ. მ-ქესთან ერთად. ვინაიდან მე ვენდობოდი მ. მ-ქს ზ/ხსენებულზე თანხმობა განუცხადე, მ-მა მითხრა, რომ დირექტორი მე გადმომიფორმებდა ქონებას და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მე რაიმე პრობლემა ხსენებული ოპერაციით არ შემიქმნებოდა. თუ რატომ სჭირდებოდა მ-ს ქონების ჩემს სახელზე გადმოფორმება მე მ-თვის არ მიკითხავს, ან ვის უნდა ესარგებლა ამ ქონებით არც ეს უთქვამს მ. მ-ქს ჩემთვის. მას შემდეგ, რაც მე თანხმობა განუცხადე მ. მ-ქს ქონების გადაფორმებაზე, მე დედაჩემთან ერთად მივედი ქ. ბათუმში, ყოფილ ... ქუჩაზე მდებარე ს. ბ-სი, სადაც დამხვდა მ. მ-ქე და კომპანიის დირექტორი. მე მ-მა გადმომცა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც გავეცანი და ხელი მოვანერეთ მე და შპს-ს დირექტორმა. ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულება გადავეცი მ. მ-ქს და შპს-ს დირექტორს. ამის შემდეგ მე დავტოვე ს. ბ-ის შენობა. მე გავეცანი წარმოდგენილ ხელშეკრულებას და გიჩვენებთ, რომ სწორედ წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე მოვანერეთ ხელი მე და დირექტორმა ს. ბ-სი, ხელშეკრულებაზე შესრულებულია ჩემი ხელმოწერა. არც მე, არც მ. მ-ქეს და არც სხვა ვინმეს გამყიდველისათვის (დირექტორისათვის) ნასყიდობის ფასი 51 935 აშშ დოლარი არ გადაუხდია. მე ხსენებულ ფართში რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი, როგორც ვიცი ამჟამად ხსენებულ ფართში განთავსებულია საკაბელო ტელევიზია. შპს-სგან 2011 წლის 18 ნოემბერს ჩემზე გადმოფორმებული უძრავი ქონება დღემდე ირიცხება ჩემს საკუთრებად და მისი გასხვისება ჩემს მიერ არ მომხდარა. თუ ვინ სარგებლობს ხსენებული ფართით დღეისათვის მე არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ხსენებულ ფართში განთავსებულია საკაბელო ტელევიზიის ოფისი, ხოლო თუ კონკრეტულად რომელი საკაბელო ტელევიზიის ჩემთვის უცნობია“.

17.3. სააპელაციო სასამართლომ შეაფასა სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მყიდველის ჩვენება, როგორც ერთ-ერთი წერილობით მტკიცებულება, ასევე – საქმეში შეკრებილი სხვა მტკიცებულებები და განმარტა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას, ორივე მხარე მოქმედებდა იმ განზრახვის გარეშე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყოლოდა. ნასყიდობის საფასური მყიდველს არ გადაუხდია, ქონება მხოლოდ რეესტრის ჩანაწერით გადაეცა მყიდველს, ფაქტობრივად მას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება

არ წარმოშობია, ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებით ქონების გამსხვივებელი პირი შპს-ის დირექტორი წარმოადგენდა არაუფლებამოსილ პირს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

17.4. სპეციალური კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია). ამავე ნორმის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილია, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში სანარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს სანარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17.5. „მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 7.4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად იურიდიული პირის შემთხვევაში, ამონაწერში აისახება ინფორმაცია წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ, ასევე მათი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში.

17.6. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანიის 01.05.2007 წლის წესდების მე-6 მუხლის (სანოტარო აქტი №1-...) თანახმად, უძრავი ქონების შეძენის, გასხვივებისა და დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო პარტნიორთა კრებას. აღნიშნული შეზღუდვა რეგისტრირებული იყო მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის ორგანოში. შესაბამისად უტყუარადაა დადგენილი, რომ კომპანიის დირექტორს, სადავო ხელშეკრულების გაფორმების დროს, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება შეზღუდული ჰქონდა, რაც რეგისტრირებული იყო მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, შესაბამისად, ის არ იყო უფლებამოსილი პირი დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება.

17.7. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 50-ე, 56-ე, 99-ე, 59.1, 61-ე, 187-ე, 312-ე მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ კომპანიის პარტნიორთა კრებას არც შემდგომში მოუწონებია და არ გამოუთქვამს თანხმობა მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ხელშემკვრელი მხარის – მყიდველის უფლებამონაცვლეთა მითითება იმის შე-

სახებ, რომ ან გარდაცვლილი, როგორც ქონების მყიდველი იყო კეთილსინდისიერი და მან არ იცოდა იმის შესახებ, რომ კომპანიის დირექტორი არ იყო უფლებამოსილი შპს-ის ქონების გასხვისებისა. სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან, დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მონაცემები რეგისტრირებული იყო მენარმეთა რეესტრში, მყიდველს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა აღნიშნული შეზღუდვის შესახებ, რაც გამორიცხავდა კეთილსინდისიერ შემძენად მის აღიარებას.

18. მეორე აპელანტის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

18.1. მეორე აპელანტმა (მყიდველის შვილმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

18.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ ეფუძნება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, დარღვეულია შეჯიბრებითობის პრინციპი, გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და იგი უნდა გაუქმდეს.

18.3. კასატორის განმარტებით საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა, სწორად ასახოს საკუთრების უფლება და მისი მდგომარეობა. საჯაროობის პრინციპის შესაბამისად რეგისტრაციის მომენტიდან იძენს საკუთრების უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმციის მიხედვით კი, რეესტრის ჩანაწერი ითვლება მესამე პირებისათვის სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. შესაბამისად, საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, სრულ კონსესუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებთან. როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების შინაარსს, ხოლო მესამე პირებისათვის ამის შესახებ უცნობია, უნდა გამოვიყენოთ სსკ-ის 185-ე მუხლი, რომელიც ხაზს უსვამს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმციას, უშვებს საჯარო რეესტრის ჩანაწერში ხარვეზის შესაძლებლობას და ასეთ შემთხვევაში იცავს შემძენს, რომელიც ამ ფაქტის (რეგისტრაციის ჩანაწერის ხარვეზი) მიმართ კეთილსინდისიერი იყო. შემძენს იცავს ასევე სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ პირი სხვა პირისაგან იძენს უფლებას, რომელიც გამსხვისებლის სახელზეა რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ჩანაწერის სასარგებლოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. მესაკუთრეს აქვს უფლება, შესაბამისი საზღაური მოითხო-

ვოს არამართლზომიერი გამსხვისებლისგან, შემძენს კი უნარჩუნდება საკუთრების უფლება. საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ცოდნა ნიშნავს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემების ცოდნას, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა მოიაზრებს იმ გარემოებების ცოდნასაც, რომელთა გამოც ჩანაწერი უზუსტოა, შესაბამისად, შემძენს არ ევალება იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.

18.4. კასატორი ხაზს უსვამს ასევე სპეციალური კანონის მე-9 მუხლს და სსკ-ის 56-ე, 86-ე, 87-ე, 88-ე, 89-ე მუხლებს და განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობისათვის, საჭიროა ნების გამომვლენი და ნების მიძლენი მოქმედებდნენ შეთანხმებით და აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგებისას მხარეებს გათვიცნობიერებული აქვთ, რომ მათი ნების გამოვლენას არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგი. მოჩვენებითი გარიგებას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: 1) ის დადებულია მოსაჩვენებლად და 2) მხარეებს არ აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომის განზრახვა. მოჩვენებითი გარიგების მიზანი, როგორც წესი, მესამე პირის (კრედიტორის ან სახელმწიფოს) მოტყუებაა. შეთანხმების მოჩვენებითი გარიგებად „დაკვალიფიცირებისათვის“ გადამწყვეტია, რომ მხარეებს არ ჰქონდეთ გარიგებაში მითითებული შედეგის დადგომის განზრახვა. მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გადახდა. კასატორის მტკიცებით, იგივე წესი უნდა მოქმედებდეს მაშინაც, როცა მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე მოჩვენებითი გამყიდველი რეგისტრირებულია რეესტრში და ის გაასხვისებს მიწის ნაკვეთს მესამე პირზე. ამ შემთხვევაშიც სსკ-ის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე უნდა ჩაითვალოს კეთილსინდისიერად.

18.5. კასატორის აზრით, მტკიცების ტვირთი, როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგებების დროს, აწევს პირს, რომელიც ამტკიცებს მათ არსებობას, ანუ მას, ვინც თვლის, რომ მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგებით მისი უფლებები შეილახა.

18.6. კასატორი აღნიშნავს, რომ ან გარდაცვლილის ჩვენება არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას, რადგან სისხლის სამართლის საქმე, რომელზედაც დაიკითხა მყიდველი, არ არის დასრულებული და შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმის დასრულების შემდეგ გამოძიების მიერ, როგორც ამ ჩვენების, ისე ზოგადად საქმის შესახებ, სხვა შედეგები დადგეს. აქედან გამომდინარე, მყიდველის ჩვენება არ უნდა გამოეყენებინა სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებად და მხოლოდ მასზე დაყრდნობით არ უნ-

და მიეღო გადაწყვეტილება.

18.7. კასატორის მტკიცებით, სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნებს და დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი – მოსარჩელე ითხოვდა ხელშეკრულების ბათილობას იძულების გამო, სასამართლომ კი დაადგინა ნების გამოვლენის ნაკლი, რაც, ასევე, მხოლოდ იმ საქმეში არსებულჩვენებას დააფუძნა რომელზეც გამოიძიება არ დასრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მეორე მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

19. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

22. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ ის შესაბამის დასაბუთებას არ შეიცავს.

23. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილდგრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

24. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა და ამის შემდეგ შეამოწმებს სარჩელის ფაქტობრივ საფუძველებს.

25. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ მოსარჩელის აღრიცხვა, სპეციალური კანონის 9.4 მუხლიდან, სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან და 979.1 მუხლიდან გამომდინარეობს.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები მოცემულია სსკ-ის 180-ე მუხლში. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხ-

დეს. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ მომავალში დარღვევის ვარაუდი, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათისაა და იურიდიული ინტერესის არსებობა გამოირიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა. ამდენად, თუ აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე სასამართლო გამოარკვევს, რომ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა შესაძლებელია, სასამართლომ აღიარებითი სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიიღოს და არ უნდა განიხილოს. განსახილველ შემთხვევაში, გამყიდველს მიკუთვნებითი სარჩელი აქვს წარმოადგენილი, ვინაიდან მოსარჩელე სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნებას ითხოვს.

27. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ მოთხოვნის მიმართ პირის იურიდიული ინტერესის არსებობა სამართლის საკითხს წარმოადგენს და შედეგების მიუხედავად, ის ყოველთვის ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან შემოწმებას. იურიდიული ინტერესის არსებობის შემთხვევაში კი, მისი ნამდვილობა განსაზღვრავს სარჩელის წარმატებულობას (იხ. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017 წელი, ასევე, სუსგ-ებები: №ას-937-887-2015, 10.11.2015; №ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; №ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; №ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; №ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; №ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; №ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; №ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; №ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; №ას-375-359-2016, 17.06.2016წ., ასევე, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები: *Apostol v. Georgia*; *Hornsby v. Greece*). სარჩელის ფორმალური საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნება.

28. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო გარიგება ბათილია, ვინაიდან ეს გარიგება დაიდო საწარმოს პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე, რაც გათვალისწინებულია საწარმოს წესდებით და, ამასთან, ამ გარიგების დადებისას მყიდველმა იცოდა (უნდა სცოდნოდა) მენარმე სუბიექტის დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ.

29. მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლით გარიგების შე-

ცილებისა და, აქედან გამომდინარე, ამ გარიგების გაბათილების შესაძლებლობას ითვალისწინებს სპეციალური კანონის (ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი 19.11.2009 წლის რედაქციის) მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტი (თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაპენტისათვის ცნობილი იყო მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მენარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მენარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით).

30. ზემოხსენებული ნორმის გამოყენებისათვის, უპირველესად, უნდა განიმარტოს, თუ რა იგულისხმება მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვაში. სპეციალური კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. მითითებული ნორმის მესამე ნაწილი კი, ადგენს, რომ ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამდენად, შპს-ში დირექტორი ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობას, რაც გულისხმობს საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ასევე, საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის კომპეტენცია, ანუ ხელმძღვანელობის უფლებამოსილების (მათ შორის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების) ფარგლები, განისაზღვრება კანონით ან საწარმოს წესდებით (სპეციალური კანონის 47.3 მუხლი), შესაბამისად, სწორედ მათ საფუძველზეა შესაძლებელი საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, სპეციალური კანონის 9.4 მუხლში მითითებული მენარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვა გულისხმობს კანონით ან საწარმოს წესდებით საწარმოს დირექტორისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვას (იხ. სუსგ №ას-653-620-2014, 24.09.15 წ.).

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოსა და მის

ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა კორპორაციის წინაშე ხელმძღვანელთა მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოვალებებს მოიცავს. კორპორაციული მართვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობაზე პარტნიორთა მხრიდან კონტროლის გამართული სისტემის არსებობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხეც რეალურია. კორპორაციული მართვა წარმოადგენს სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას და იგი კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევაზე ხელმძღვანელი ორგანოების შესაბამისი პასუხისმგებლობის ელემენტებსაც მოიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარი მიზანი საწარმოს ქონების დაცვა, ზიანის თავიდან აცილებაა. სპეციალური კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების მიხედვით, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაცია ხდება სამეწარმეო რეესტრში. აღნიშნული ემსახურება მესამე პირების ინფორმირებულობას. მესამე პირებს, კონტრაქტენტებს, შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია ამა თუ იმ მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ (შდრ. სუსგ №ას-1412-1332-2017, 14.11.18 წ.).

32. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვაქვს აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება (სკ-ის 99-ე მუხლი), რის თაობაზე ინფორმირებული იყო მყიდველი და ეს ფაქტი გარიგების ბათილობაზე მეტყველებს, თანახმად, სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილისა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ი იცნობს შემდგომი მოწონების ინსტიტუტს, რომელიც, მსგავსად ბათილი გარიგების დადასტურებისას (სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გამოვლენილ ნებას იურიდიული ძალმოსილებით აღჭურავს, თუმცა, განსხვავებით დადასტურებისაგან, რომელიც სამართლებრივ შედეგებს დადასტურების მომენტიდან იძენს (სსკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მოწონებას უკუქცევითი ძალა აქვს და გარიგება ნების გამოვლენის მომენტიდანვე ნამდვილია (უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების დადასტურებისა და მოწონების სუბიექტებიც განსხვავებულია: პირველ შემთხვევაში, ამგვარად გარიგების მხარე გვევლინება, ხოლო, მეორე შემთხვევაში – მესამე პირი, რომლის ნებაზეცაა დამოკიდებული გარიგების ნამდვილობა) რამდენადაც, ამავე კოდექსის 101-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო, არაუფლებამოსილი პირის მიერ

საგნის განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს (შდრ. სუსგ №ას-1412-1332-2017, 14.11.18 წ.).

33. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კომპანიის დირექტორს შეზღუდული ჰქონდა ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც რეგისტრირებული იყო მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამონაწერში მითითებული იყო, რომ შეზღუდვა ეხებოდა შპს-ს წესდების მე-6 მუხლს, ხოლო წესდების მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ უძრავი ქონების შექმნა/გასხვისება/დატვირთვის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე კომპანიის დირექტორს სადავო უძრავი ქონების გასხვისების უფლება არ ჰქონდა (სპეციალური კანონის 9.4 მუხლი). საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე პარტნიორთა კრებას არც ნებართვა გაუცია და არც შემდგომ მოუწონებია გარიგება. რაც შეეხება მყიდველის ვალდებულებას, სცოდნოდა დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ, გამომდინარეობს იქედან, რომ აღნიშნულის თაობაზე მითითებული იყო სამენარმეო პირების ამონაწერში, რაც პუბლიცირებულ უფლებას ნიშნავს და გონივრული წინდახედულობის პირობებში, მყიდველმა იურიდიულ პირთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა შეამოწმოს იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება. თუ მყიდველი ამგვარად მოიქცეოდა, ის შეიტყობდა კიდევ კომპანიის დირექტორის შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.

34. ზემოთ მოხმობილი შეფასებებისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ხოლო ბათილი განკარგვის საფუძველზე გადაცემული ქონება უნდა დაბრუნდეს.

35. რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას სადავო უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებაში დაბრუნების თაობაზე, აღნიშნულის დაკმაყოფილება შესაძლებელია, რადგან განხორციელებულია სსკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979.1 მუხლის წინაპირობები. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე“... უსაფუძვლო გამ-

დიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გაამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას, (შდრ. სუსგ-ები №ას-1193-1122-2015, 31.05.2016 წ.; №ას-74-71-2016, 25.05.2016 წ.; №ას-225-215-2016, 25.05.2016 წ., №ას-184-171-2015, 20.05.2016 წ.).

36. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, სარჩელი დაუსაბუთებლად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

37. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის განჩინება;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსკვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-505-473-2017

3 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,
ნაგებობის დემონტაჟი, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. სს „ს-ამ“ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის მონინაალმდეგე მხარე, მეიჯარე ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინაალმდეგე მხარე, კასატორი, ქვემოიჯარე ან მოვალე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ №...) ნაწილზე განთავსებული ბაქნის დასავლეთის მხარეს არსებული ტერიტორიის გამოთხოვა, მის მიმდებარედ მოწყობილი ავტოპარკირებისა და მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...) განთავსებული ფასიანი ავტოპარკირების გამონთავისუფლება, უკანონო ნაგებობის დემონტაჟის დავალდებულება და მიყენებული ზიანის – 133 553.92 ლარის, ასევე, ყოველდღიურად, 2015 წლის 1 ივლისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე 464.04 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე ბორჯომის ვაგზლის ბაქნები და მისი მიმდებარე ტერიტორია (ს/კ №...; ს/კ №... და ს/კ №...). 2006 წლის 15 მაისს მოსარჩელესა და სს „თ-ს“ (შემდგომში – მოიჯარე) შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოიჯარეს დროებით სარგებლობაში, გრძელვადიანი იჯარის ფორმით გადაეცა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ბაქნის ნაწილი (ს/კ №...) ქვემოიჯარის უფლებით. მოიჯარის ამჟამინდელ ქვემოიჯარეს წარმოადგენს მოპასუ-

ხე. მეიჯარის კუთვნილ ბორჯომის ბაქნების მიმდებარედ არსებულ იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც არ არის გამოყენებული იჯარა (ს/კ №... , ს/კ №... და ს/კ №...) ქვემოიჯარემ ნებართვის გარეშე მოაწყო სავაჭრო ობიექტები და ფასიანი ავტოპარკინგი. სხვადასხვა დროს მოსარჩელის მიერ გაგზავნილი წერილების მეშვეობით ქვემოიჯარეს მოეთხოვა კომერციული საქმიანობის შეწყვეტა და მოსარჩელის კუთვნილი, უნებართვოდ დაკავებული ფართების გამოთავისუფლება, ამასთან, გაფრთხილებულ იქნა დავალიანების – 105 247.23 ლარისა და ზიანის სახით ყოველდღიურად 464.04 ლარის დარიცხვის თაობაზე. 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით მოპასუხის დავალიანებამ შეადგინა 133 553.92 ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. შესაგებლის თანახმად, სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელესა და მოიჯარეს შორის მართლაც არსებობდა იჯარის სამართლებრივი ურთიერთობა, ასევე არ შედავებია იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის კუთვნილ ბორჯომის ბაქნის ტერიტორიას ფლობს ქვეიჯარის საფუძველზე, თუმცა, მისი განმარტებით, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 1175 კვ.მ ფართზე კომერციულ საქმიანობას ახორციელებენ გარე მოვაჭრეები, რომლებთანაც რაიმე ურთიერთობა მოპასუხეს არ გააჩნია. ბორჯომის ბაქნის მიმდებარე 14531 კვ.მ მიწის ნაკვეთი ემიჯნება გარე ვაჭრობის მიზნით დაკავებულ ფართს და მასზე უცნობი პირების მიერ მონყობილია ავტოპარკირების ადგილი. ხსენებული კომერციული საქმიანობიდან ქვემოიჯარე რაიმე ეკონომიურ სარგებელს არ ღებულობს. ვინაიდან, მითითებულ ტერიტორიაზე არსებობდა ანტისანიტარიული მდგომარეობა, მოპასუხეს კი ხელი ეშლებოდა ქვეიჯარით დაკავებული ფართით სარგებლობაში, დასუფთავების მიზნით გაატარა შესაბამისი ღონისძიებები. მოპასუხეს სხვისი უძრავი ნივთი არ მიუთვისებია, რაც ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დაევალა მოპასუხეს მეიჯარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალის მიმდებარედ) განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის დემონტაჟი, ამავე გადაწყვეტილებით სს „ს-ის“ სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ზი-

ანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის თანხის დაკისრება (2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 133 553,92 ლარის და მის შემდეგ ყოველდღიურად 464.04 ლარის 2016 წლის 20 ოქტომბრამდე, ანუ იმ პერიოდამდე, სანამ აღნიშნული ფართების მესაკუთრე გახდებოდა სახელმწიფო, იხ. დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი).

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კრედიტორის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ქვემოიჯარეს, მეიჯარის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისრა 102 788 ლარის გადახდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქვემოიჯარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მეიჯარის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო მსჯელობის ფარგლები:

1.1.1. განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ნაგებობის დემონტაჟი, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა და ნივთით არამართლზომიერი სარგებლობის გამო თანხის დაკისრება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში დააკმაყოფილა.

ფილა, ხოლო სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა მოსარჩელეს. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების, ასევე, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაწილში არ გასაჩივრებულა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში. რაც შეეხება თანხის დაკისრებაზე უარის თქმას, ამ ნაწილში მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო პრეტენზია ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, კერძოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა მოპასუხის მხრიდან 2016 წლის 20 ოქტომბრამდე სადავო ფართის ნაწილის არამართლობიერად ფლობის ფაქტი, რაც თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას განაპირობებდა. სწორედ თანხის დაკისრების წინაპირობების არსებობას ხდის სადავოდ ქვემოთხარე საკასაციო საჩივრით და მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები (სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება კასატორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის ფარგლებში (სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ).

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

1.2.1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერების თანახმად, ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალზე მდებარე უძრავი ქონება (ს/კ №... (01.08.2014წ. ამონაწერი); №... (26.06.2015წ. ამონაწერი); №... (28.07.2014წ. ამონაწერი); №... (05.10.2012წ. ამონაწერი)) რეგისტრირებულია მოსარჩელის საკუთრებად. აღნიშნული ტერიტორიების ნაწილი სს „თ-ძე“ გაცემულია იჯარით. ამავე მისამართზე მდებარე 402.00კვ.მ №... (წინა ნომერი: ...) უძრავი ქონების მე-

საკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო;

1.2.2. 2014 წლის 1 მაისს მოიჯარესა და მოპასუხეს შორის 2019 წლის 1 მაისამდე გაფორმდა ქვეიჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქვემოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაეცა ქ. თბილისში, ვ-ის №...-ში მდებარე 6 000 კვ.მ კომერციული ფართი (ბორჯომის ვაგზლის შენობის ზედა ნაწილი და ბაქნები). ქვეიჯარა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;

1.2.3. ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიები (№... (წინა ნომერი ...), №... და №...) 2016 წლის 20 ოქტომბრიდან აღარ წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას;

1.2.4. მოპასუხე ფაქტობრივად დაეუფლა ქვეიჯარის საფუძველზე მფლობელობაში გადაცემული ფართის გაყოლებაზე 1175 კვ.მ გაუიჯარებელ ტერიტორიასაც;

1.2.5. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ქვემოიჯარის მიერ ქ. თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიებზე (ს/კ: №... (წინა ნომერი ...), №...) ავტოპარკირების მოწყობისა და სარგებლის მიღების ფაქტი;

1.2.6. აუდიტორული დასკვნისა და დავალიანების გაანგარიშების გრაფიკის თანახმად (რომლის საპირისპირო მტკიცებულებაც მოპასუხეს არ წარუდგენია), 2014 წლის 20 სექტემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბორჯომის ვაგზლის ბაქნის მიტაცებული ნაწილის – 1175 კვ.მ ფართის ყოველდღიური საიჯარო ქირა შეადგენს 135.21 (ყოველთვიური ქირა – 4 113 (1 175 X 3.5)) ლარს დღე-ს ჩათვლით, ხოლო მთლიანი პერიოდის – 38 398.36 ლარს.

1.2.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.8. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), შესაბამისად, არ იზიარებს საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება სადავო მისამართზე მდებარე, გაუიჯარებელი 1175 კვ.მ ფართის მოპასუხის მხრიდან ფაქტობრივად დაუფლების

ფაქტი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტს (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად) და სწორედ ამ სტანდარტის დაცვით საქმის მასალების კვლევის შედეგად დადგენილ ფაქტებს ენიჭებათ იურიდიული სანდოობა გადაწყვეტილების მიღებისას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს პრეიუდიციის ცნებას და მხარეს ათავისუფლებს იმ ფაქტების მტკიცებისაგან, რომლებიც ამავე მხარეებს შორის გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაა დადგენილი (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ კონსტრუქციის დემონტაჟის ნაწილში დააკმაყოფილა რა სარჩელი, დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადავო ტერიტორიას ფლობდა ქვემოიჯარე. გადაწყვეტილება ამ ნაწილში, როგორც ზემოთ ითქვა, არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, ამ ფაქტს წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია. გარდა ამისა, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას საქმეში წარმოდგენილი შპს „ბ-ის“ წერილებზე, რომელთა ნამდვილობაც შედავებული არ არის და მათი შინაარსის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს იმისა, რომ მოპასუხე მართლაც ფლობდა სადავო გაუიჯარებელ ფართს (ამ მტკიცებულებების თანახმად, 2014 წლის 1 მაისის ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობაში გადაცემულ 6000 კვ.მ ტერიტორიაზე მოპასუხემ ჩაატარა კეთილმოწყობის სამუშაოები და განათავსა აგრარული ბაზარი. ვინაიდან ბაზარი არ იყო გამიჯნული რკინიგზის საკუთრებაში არსებული ტერიტორიიდან, გარე მოვაჭრეებმა თვითნებურად დაიკავეს მიმდებარე ტერიტორია. გარემოვაჭრეების რკინიგზის ტერიტორიიდან გაყვანა აღემატებოდა შპს „ბ-ის“ კომპეტენციასა და ძალებს. ამასთან, გარემოვაჭრეების საქმიანობა იწვევდა ანტისანიტარიასა და სხვა პრობლემებს, რის გამოც ქვემოიჯარე იძულებული გახდა, საკუთარი ძალებით უზრუნველყო სისუფთავისა და ელემენტარული ნესრიგის დამყარება. აღნიშნული წერილით შპს „ბ-ი“ ტერიტორიის გამონთავისუფლების მოთხოვნის პასუხად სს „ს-ას“ სთხოვს აღნიშნული ტერიტორია 6 თვით გადაეცეს იჯარით ან სხვა ალტერნატიული პირობით, ხოლო გარემოვაჭრეებს გამოეყოთ ალტერნატიული ფართი, რის შემდეგაც შპს „ბ-ი“ უმტკიცებულოდ შეძლებდა მოსარჩელის ტერიტორიიდან გარემოვაჭრეების გაყვანის უზრუნველყოფას. 2015 წლის 22 მაისის განცხადებით კასატორი მიმართავს მოსარჩელეს და აღნიშნავს, რომ გაურკვევლობის გამო, 2014 წლის აგვისტოში მან კეთილმოაწყო სს „ს-ის“ ტერიტორია, მსუბუქი კონსტრუქცი-

ით გადახურა სადგურის ბაქნის გაგრძელება, დაასუფთავა და გაანათა ეზო, მოუარა ნარგავებს, აკრძალა ბაღში ალკოჰოლური სასმელის მომხმარება, მიუჩინა დაცვა მიმდებარე ტერიტორიას. 2014 წლის ოქტომბერში შპს „ბ-მა“ ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის უფროსისაგან რკინიგზის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე უნებართვო კომერციული საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე მიიღო გაფრთხილება, რის შემდეგაც შეაჩერა ყველანაირი კომერციული საქმიანობა და სს „ს-ას“ მიმართა თხოვნით აღნიშნული ტერიტორიის იჯარით გადაცემის თაობაზე. განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ 2015 წლის 20 მაისის სს „ს-ის“ №2935 წერილის პასუხად ამ უკანასკნელს განემარტება, რომ შპს „ბ-მა“ გაფრთხილებისთანავე შეაჩერა გაუიჯარებელ ტერიტორიაზე კომერციული საქმიანობა).

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 411-ე, 412-ე და 414-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, რასაც არ იზიარებს საკასაციო სასამართლო და მიიჩნევს, რომ სამართლებრივი ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 194-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ამ თვალსაზრისით პალატა განმარტავს, რომ სადავო პერიოდში მოპასუხის მიერ არამართლზომიერად დაკავებული ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა მოსარჩელე. ის რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში მოპასუხესთან არ იმყოფებოდა, არამედ, მას და სს „თ-ს“ შორის არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობა. თავის მხრივ, სახელშეკრულები ურთიერთობა არსებობდა მოიჯარესა და მოპასუხეს შორის (სკ-ის 587-ე მუხლი), რომელიც ეკონომიკურად დამოკიდებული, თუმცა, სამართლებრივად დამოუკიდებელი გარეგნაა, შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის მოტივით სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხებულია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სხვისი ქონების არამართლზომიერი სარგებლობა ვერც დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნად ვერ იქნება განხილული, რადგანაც მხოლოდ სარგებლობის ფაქტი და შესაძლო ქონებრივი დანაკლისის არსებობა არ ქმნის დელიქტური ვალდებულების გენერალური დათქმის შემადგენლობის არსებობას (სკ-ის 992-ე მუხლი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც მხარეები სამართლებრივ ურთიერთობაში არმყოფი პირები არიან და მოპასუხე ყოველგვარი საფუძვლის გარე-

შე ფლობს მოსარჩელის კომერციულ ფართს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების კონკურენცია, კონდიქციური ვალდებულების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

1.3.2. სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. დასახელებული ნორმა წარმოადგენს არა სხვისი სამართლებრივი სიკეთის უსაფუძვლო ხელყოფით გამოწვეული კლასიკური გაგებით ზიანის ანაზღაურებას, არამედ, იგი არეგულირებს ე.წ გამდიდრების გათანაბრებას და მიზნად ისახავს ქონებრივი ნონასწორობის იმგვარად აღდგენას, როდესაც ხელყოფს ეკისრება მის მიერ დაზოგილი სიკეთის (რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, სწორედ ამ ფართის იჯარით გაცემისათვის გადასახდელი საიჯარო ქირით განსაზღვრულიყო) უფლების მქონე პირისათვის გადაცემა (დამატებით, იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 5 დეკემბერი, 2013 წელი).

1.3.3. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, მიუხედავად მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არასწორად განსაზღვრისა, საქმეზე უკანონო გადაწყვეტილება არ მიღებულა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), პალატა უცვლელად ტოვებს მას.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი, არ არსებობს მის მიერ გაღებული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები, რაც შეეხება კასატორის მიერ გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, იგი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ს ვ ი ს ი ს ა მ ა რ თ ლ ა ბ რ ი ვ ი ს ი კ ე თ ი ს ხ ე ლ ყ ო ვ ი ს შ ე დ ე ბ ა ჯ ი

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ა ლ ი თ

№ას-811-778-2016

21 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ზ. ნ-იმ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) 2009 წლის 9 თებერვალს 117 000 აშშ დოლარად შეიძინა უძრავი ქონება, ქ. თბილისში, კ. (ყოფილი კ.) №...-ში (ნაკვ. .../...), მე-... სართულზე, 157.34 კვ.მ ბინა №... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო უძრავი ქონება).

2. 2009 წლის 10 სექტემბერს მოსარჩელის მინდობილ პირს ნ. კ-ქესა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მინდობილი პირი, მოსარჩელის წარმომადგენელი) და რ. მ-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მყიდველი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდეგში სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება), რომლითაც მყიდველს, 80 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა.

3. მყიდველმა 2009 წლის 15 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის

ხელშეკრულების საფუძველზე, 35 000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად, სადავო უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთა ა. კ-ის სასარგებლოდ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც იპოთეკარი).

4. შპს „ს. ს. თ. მ. ა.“ 2009 წლის 31 დეკემბრის გადანყვეტილებით (შემდეგში – საარბიტრაჟო გადანყვეტილება), იპოთეკარის საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდა; მყიდველს დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის 35 000 აშშ დოლარისა და პროცენტის – 5 250 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა იპოთეკარის სასარგებლოდ. გადანყვეტილების აღსრულება დადგინდა მყიდველის სახელზე რიცხვული სადავო უძრავი ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადაცემით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, საარბიტრაჟო გადანყვეტილებაში იპოთეკარის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა თ. ბ-ი (შემდეგში მოხსენიებული, როგორც პირველი მოპასუხე, პირველი მონინააღმდეგე მხარე, იპოთეკარის უფლებამონაცვლედ).

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 დეკემბრის განაჩენით მინდობილი პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ მოსარჩელის სახელით მინდობილობის გაყალბების ფაქტზე. ამავე განაჩენით დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი და მინდობილ პირს 1017 000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადანყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება. ამავე გადანყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა 15.09.2009 წლის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.2012 წლის გადანყვეტილების საფუძველზე მოსარჩელემ სადავო ქონება თავის საკუთრებად აღრიცხა.

9. პირველი მოპასუხის ნებართვით, სადავო უძრავი ქონებით სარგებლობს გ. ს-ქე (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მეორე მოპასუხე, მეორე მონინააღმდეგე მხარე).

10. 31.12.2009 წლის საარბიტრაჟო გადანყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 19.11.2010 წლის განჩინება პირველმა მოპასუხემ ვერ აღასრულა, ვინაიდან სადავო უძრავი ქონებაზე 2009 წლის 18 დეკემბერსა და 2010 წლის 15 თებერვალს ორი ყადაღა რეგისტრირებული.

11. 2014 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა ნინააღმდეგ 50 100 აშშ დოლარისა და გადანყვეტილების

აღსრულებამდე ყოველთვიურად 950 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, 2010 წლის დასაწყისში მოპასუხეები თვითნებურად შეიჭრნენ სადავო ბინაში და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობენ ხუთი წლის განმავლობაში, რითაც დაზოგეს საკუთარი ფულადი სახსრები. უძრავი ქონების ქირავნობის საფასური 2010 წლის 5 თებერვლიდან სარჩელის წარდგენამდე 50 100 აშშ დოლარია, რომელიც უნდა დაეკისროთ მოპასუხეებს, როგორც მოსარჩელის ქონების ხარჯზე მათ მიერ უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხა.

12. მოპასუხეებმა მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მყიდველი 2009 წლიდან 2013 წლის 6 ნოემბრამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო, როგორც ქონების მესაკუთრე. ამასთან, სასამართლომ მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის განხილვისას ყველა ინსტანციაში დაადასტურა, რომ იპოთეკარი იყო კეთილსინდისიერი და არ არსებობდა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. უფრო მეტიც, იპოთეკარს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება, თუმცა იპოთეკარის უფლებამონაცვლე სადავო ქონებას საკუთრებაში ვერ ირეგისტრირებდა ქონებაზე რეგისტრირებული ყადაღის გამო. მეორე მოპასუხე კი, იპოთეკარის ნებართვის საფუძველზე სარგებლობდა სადავო უძრავი ქონებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეები მიიჩნევენ, რომ ისინი მოსარჩელის ხარჯზე უსაფუძვლოდ არ გამდიდრებულან და სარჩელი დაუსაბუთებელი იყო.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 170.1, 982.1, 991-ე მუხლები.

13.1. სასამართლომ მიუთითა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით სადავო უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა იპოთეკარს. უდავოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუქმებულა და მის აღსასრულებლად გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, ასევე, დადგენილია, რომ იპოთეკარის უფლებამონაცვლეა პირველი მოპასუხე.

13.2. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ, ვინაიდან სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში თვითონ არის რეგისტრირებული, მოპასუხეებს არ გააჩნიათ ქონებით სარგებლობის უფლება. სასამართლომ განმარტა, რომ პირის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში მისი სანივთო უფლების რეალიზე-

ბას, რაც არ შეიძლება, მოპასუხეთა არამართლზომიერ მფლობე-
ლად მიჩნევის საფუძველი გახდეს. საქმის მასალებით დასტურ-
დება, რომ უძრავი ქონება, რომელიც მოსარჩელის სახელზეა რე-
გისტრირებული, პირველი მოპასუხის საკუთრებაა. ამ უკანასკნე-
ლის მიერ თავისი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დაუ-
რეგისტრირებლობა კი, ქონებაზე არსებული უფლებრივი შეზღუდ-
ვის გამო, ვერ მიიჩნევა საკუთრების უფლების გამაქარწყლებლად.
ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ
მეორე მოპასუხე ქონებას ფლობს მესაკუთრის ნებართვის საფუძ-
ველზე.

13.3. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა
იმ გარემოებებზე, რაც დაადასტურებდა მოპასუხეთა მიერ უძრავ-
ი ქონების არამართლზომიერ ფლობას. ამ გარემოებათა არარსე-
ბობა კი, გამორიცხავდა მათზე უსაფუძვლო გამდიდრებით მიღე-
ბული შემოსავლის დაკისრების შესაძლებლობას.

14. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმნა ფილიპის მოთხოვნით, შემდეგ საფუძველზე მითითებით:

14.1 აპელანტმა მიუთითა რეესტრის მონაცემების მიმართ არსე-
ბული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე და განმარტა,
რომ მოსარჩელე უძრავი ქონების მესაკუთრეა, ვინაიდან იგი ასე-
თად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. აქედან გამომდი-
ნარე, სასამართლოს მითითება, თითქოს, უძრავი ქონება პირველი
მოსარჩელის საკუთრებაა, იურიდიულად გაუმართავი და დაუსაბუ-
თებელია. არბიტრაჟის გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული და
დამოკიდებულია ამ პირობაზე – აღსრულებაზე. აღსრულებამდე კი,
ბინის მესაკუთრე არის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პირი
– მოსარჩელე. სწორედ ამ უკანასკნელს აქვს მათლზომიერი მფლო-
ბელობის უფლება სადავო ბინაზე. მით უფრო, რომ ამ საკითხზე
კვლავაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება.

14.2. აპელანტის განმარტებით, სასამართლოს უნდა შეეფასე-
ბინა გარემოებები, არსებობს თუ არა მოსარჩელის საკუთრების უფ-
ლება ნივთზე და იმყოფება თუ არა ეს ნივთი სხვა პირთა არამარ-
თლზომიერ მფლობელობაში. საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი
გარემოება, რომ მოპასუხეები 2010 წლის 5 თებერვლიდან ფლო-
ბენ სადავო ბინას, მაშინ, როდესაც 2010 წლის თებერვალში პირ-
ველი მოპასუხე ჯერ კიდევ არ იყო იპოთეკარის სამართალმემკვიდ-
რედ ცნობილი (იგი მემკვიდრედ 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყ-
ვეტილებით იქნა ცნობილი), ხოლო იპოთეკარს სესხისა და იპო-

თეკის ხელშეკრულების საფუძველზე არ ენიჭებოდა აღნიშნული ბინით სარგებლობის უფლება.

14.3. აპელანტის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე (გაყალბებული მინდობილობით) 2009 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება დადების მომენტიდანვე ბათილად იქნა მიჩნეული, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ ნივთზე ამ პერიოდშიც (2009 წლის თებერვლიდან – დღემდე) ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება.

14.4. აპელანტმა სააპელაციო საჩივრით სადავოდ გახადა თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.04.2015 წლის საოქმო განჩინებაც იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის შუამდგომლობა, მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

15.1 სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება (წინამდებარე განჩინების 12.1 – 12.3 პუნქტები) და დამატებით მიუთითა მტკიცების ტვირთის სამართლიან და ობიექტურ განაწილებაზე, კერძოდ, მოსარჩელე აპელირებდა მოპასუხეთა სადავო ბინაში თვითნებურად შეჭრის ფაქტზე, მაგრამ ამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარუდგენია. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მიერ სადავო ბინის მფლობელობის არამართლზომიერება სწორედ აპელანტის სამტკიცებელი იყო, რაც, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის საფუძველზე, ვერ დაადასტურა.

15.2. პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება, ვინაიდან 2009 წლის 10 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება დადების მომენტიდანვე ბათილი იყო, ამ დროიდან მოყოლებული უძრავ ქონებაზე ვრცელდებოდა მხოლოდ მოსარჩელის საკუთრების უფლება და მასზე რაიმე სახის გარიგება არ შეიძლებოდა ნამდვილად მიჩნეულიყო.

15.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, სადავო უძრავი ქონება ამჟამად მოსარჩელის სახელზე იყო რეგისტრირებული, თუმცა ეს არ ქმნიდა სადავო ქონებაზე პირველი მოპასუხის საკუთრების უფლების არსებობის ეჭვის ქვეშ დაყენების საფუძველს. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეები მართლზომიერ მფლობელებს წარმოადგენენ. სსკ-ის 162-ე მუხლის თანახმად კი, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მო-

ეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

15.4. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.04.2015 წლის საოქმო განჩინებას, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მინდობილი პირის დაკითხვის ოქმის, ი. ბ-ასა და თ. გ-ძის განცხადებების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებებით ვერ დადასტურდებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

5.5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სადავო გარემოება, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელისაგან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღეს სარჩელით მოთხოვნილი თანხა, 50 100 აშშ დოლარი, რის შედეგადაც ისინი უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ საკასაციო საჩივარი წარადგინა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16.1. კასატორმა სააპელაციო საჩივრის იდენტურ პრეტენზიებზე მიუთითა (წინამდებარე განჩინების 13.1 – 13.4 პუნქტები), კვლავ სადავოდ გახადა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი და სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ფაქტი, რომ ბინის მესაკუთრე 2010 წლის 5 თებერვლიდან პირველი მოპასუხეა. ამასთან, დამატებით მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულება, შედეგად ბინა მოსარჩელეს დაუბრუნდა. ამ დროისათვის სასამართლოსთვის ცნობილი იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსი. ამიტომ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ მიუჩნევია, რომ ბინის მესაკუთრე არა მოსარჩელე, არამედ სხვა იყო, ან თუნდაც სარგებლობის მართლზომიერი უფლება სხვას ჰქონდა.

16.2. კასატორის განმარტებით, მოპასუხეები სოლიდარული მოვალეები არიან, რადგან ისინი ერთობლივად სარგებლობდნენ სადავო ბინით, რაც დასტურდება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყო-

ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთათვის თანხის დაკისრების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 982-ე (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა, აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია, ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლები (შდრ სუსგ №ას-197-186-2017; 30 მაისი, 2017 წელი).

20. სსკ-ის 982-ე მუხლით მოთხოვნა წარმოიშობა სხვის სამართლებრივ სივრცეში უნებართვო ჩარევითა და ამით ქონებრივი სარგებლის მიღებით. ჩარევა გამოიხატება სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის ეკონომიკურ გამოყენებაში, რომელიც მართლწესრიგის მიხედვით ეკუთვნის მხოლოდ მის მფლობელს. ამასთან, ხელყოფის კონდიქციისას მოთხოვნის უფლება მიმართულია ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ღირებულების ანაზღაურებაზე და არა დაზარალებული პირის სრული ფინანსური ზიანის ანაზღაურებაზე. შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმატებული იქნებოდა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებდა, რომ მისი სამართლებრივი სიკეთე მოპასუხემ სამართლებრივი სა-

ფუძვლის გარეშე გამოიყენა; ამას შედეგად მოჰყვა მოპასუხის გამდიდრება და მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი. დაცული სამართლებრივი სიკეთე, მოცემულ შემთხვევაში, საკუთრებაა, კერძოდ, მისით სარგებლობა. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების პირველი წინაპირობა სადავო უძრავი ქონების მოსარჩელისადმი კუთვნილებაა.

21. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო უძრავ ქონებაზე მის საკუთრებას ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეესტრის ჩანაწერი სადავო ბინის მოსარჩელისადმი კუთვნილების თაობაზე.

21.1. პალატა არ იზიარებს მოსარჩელის არგუმენტს, რომ, 31.10.2012 წლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს სადავო ქონება საკუთრებაში გადაეცა. მითითებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მართალია, ბათილად იქნა ცნობილი 10.09.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა არ გადაწყვეტილა ქონების მოსარჩელისათვის დაბრუნების საკითხი. პალატა მიიჩნევს, რომ, სადავო უძრავ ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობა ვერ გახდებოდა, ვინაიდან, მას სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მისი მიკუთვნება არ მოუთხოვია, ხოლო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით მხარისათვის მიეკუთვნებინა ის, რაც მას არ მოუთხოვია (სსსკ-ის 248-ე მუხლი).

აღნიშნულთან დაკავშირებით, კასატორის არგუმენტი ისაა, რომ იმ დროს არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღიარებითი სარჩელის წარდგენით ის სამართლებრივი შედეგი მიიღწეოდა, რაც მხარეს სურდა – სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში დაბრუნება და მიკუთვნებითი მოთხოვნის დაყენება აუცილებელი არ იყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ არგუმენტი სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაშიც კი, ის არ იქნებოდა დაკმაყოფილებადი, კერძოდ, იმ დროისათვის უკვე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება სადავო ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რაც სასამართლოსათვის ცნობილი იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს 31.10.2012 წლის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა 15.09.2009 წლის იპოთეკის

ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ იპოთეკარი კეთილსინდისიერ შემძენად მიიჩნია. კეთილსინდისიერ შემძენს კი, ისევე არ ეკისრება თავდაპირველი უფლებამოსილი პირის წინაშე უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კომპენსაცია, როგორც – მის მიმართ სავინდიკაციო მოთხოვნა რომ წარდგენილიყო.

21.2. რაც შეეხება საჯარო რეესტრის ჩანაწერსა და კასატორის აპელირებას რეესტრის მონაცემთა მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეციაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 31.10.2012 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე საჯარო რეესტრში სადავო უძრავი ქონების მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრაცია დაუშვებელი იყო, კერძოდ, გარდა იმისა, რომ, როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილება ასეთ მითითებას არ შეიცავდა, რეგისტრაციის საფუძველი ვერც „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.1 (ბ) მუხლი (რეგისტრაცია ძალდაკარგულად უნდა გამოცხადდეს, თუ ძალდაკარგულად, ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის საფუძველად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი) ვერ იქნებოდა, ვინაიდან ეს ნორმა ადგენს რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის საფუძველად მითითებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ცნობილ იქნა ძალდაკარგულად, ბათილად ან არარა აქტად. ნორმა არ მოიაზრებს სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებებს, რამდენადაც რეგისტრაციის ჩანაწერი არ შეიძლება, გაუქმდეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩანაწერის საფუძველად არსებული სამოქალაქოსამართლებრივი გარიგება ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იქიდანაც, რომ რეგისტრაციის გაუქმებას შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს გაუქმებულ რეგისტრაციამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენა, რასაც სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების ბათილობა ყოველთვის არ იწვევს (მაგალითად, როდესაც გარიგებათა ჯაჭვში ბათილ განკარგვასთან ერთად არსებობს სამართლებრივი ძალის მქონე განკარგვა). გარიგების ბათილობა, ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდენს გავლენას ჩანაწერის ნამდვილობაზე, თუ ჩანაწერის უსწორობა სასამართლო გადაწყვეტილებით პირდაპირ დადგინდება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხოლოდ გარიგების ბათილად ცნობით კი, რეესტრის უტყუარობის შედეგად წარმოშობილი უფლებები ეჭვქვეშ ვერ დადგება. აღნიშნული მსჯელობა შეესაბამება ამ მიმართულებით დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელების სამართლებრივი შედეგების თაობაზე იხ. შუსგ №ას-664-635-2016, 02.03.2017 წელი, №ას-323-308-2016, 03.06.2016 წელი,

№ას-838-802-2014, 19.03.2015 წელი).

ამგვარად, ზემოხსენებული საჯაროსამართლებრივი ნორმის ჩანაწერი რეგისტრაციის საფუძველად არსებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ბათილობის შესახებ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მასში სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების ბათილობა არ იგულისხმებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა კერძო და საჯარო კანონმდებლობას შორის არსებული ბალანსიც, ვინაიდან იმ შედეგს, რომელსაც სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების ბათილობა იწვევს, საჯარო კანონმდებლობა განსხვავებულად ვერ მოაწესრიგებს. მართალია, მარეგისტრირებული ორგანო რეგისტრაციისა და მისი გაუქმების შესახებ გადანყვეტილებას, პირველ რიგში, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე იღებს, თუმცა სარეგისტრაციო მოქმედებების განხორციელების მატერიალურსამართლებრივი საფუძველი, სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების შემთხვევაში, კერძო სამართლიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, მარეგისტრირებულმა ორგანომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26.1 (ბ) მუხლი სამოქალაქო სამართლის პრინციპების შესაბამისად უნდა განმარტოს.

ამრიგად, საჯარო რეესტრში მოსარჩელე არასწორადაა რეგისტრირებული სადავო ნივთის მესაკუთრედ.

22. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის აპელირებას, რომ საკუთრების უფლების პრეზუმფცია გადანონის კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას და განმარტავს, რომ კასატორი რეესტრის მონაცემთა მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას საერთოდ ვერ დაეყრდნობა, რამდენადაც ეს პრეზუმფცია, პირველ რიგში, გულისხმობს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტისადმი ნდობას, რომელიც სუბიექტურ ფაქტორსაც მოიაზრებს, კერძოდ, სუბიექტურ დამოკიდებულებას ნამდვილი მესაკუთრის ვინაობისადმი. იცოდა რა მოსარჩელემ უფლების ნამდვილობის ხარვეზის შესახებ, კერძოდ, კანონიერ ძალაში მყოფი საარბიტრაჟო გადანყვეტილების არსებობის თაობაზე, საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ არსებული უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია მის ინტერესებს ვერ დაიცავს.

23. უსაფუძველოდ მიღებულის უკუქცევისას მთავარი ფაქტორი გამდიდრების სამართლებრივი საფუძველის გარეშე მიღებაა. მოცემულ შემთხვევაში კი, არსებობს კანონიერ ძალაში შესული 2009 წლის 31 დეკემბრის საარბიტრაჟო გადანყვეტილება, რომლითაც სადავო უძრავი ქონება იპოთეკარს საკუთრებაში გადაეცა, ასევე, კანონიერ ძალაში შესული განჩინებით იპოთეკარის უფლებამონაცვლედ პირველი მოპასუხე განისაზღვრა (მითითებულ გადანყვე-

ტილებათა აღსრულებას მხოლოდ სადავო უძრავ ქონებაზე არსებული ყადაღა უშლის ხელს). მისი ნებართვის საფუძველზე სადავო ქონებით მეორე მოპასუხე სარგებლობს. ამდენად, რაკი იპოთეკარმა კეთილსინდისიერად შეიძინა სადავო ბინაზე საკუთრება, სამართლებრივი გარიგება – იპოთეკის ხელშეკრულება წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს იმისთვის, რომ საკუთრება დარჩეს შემძენთან (იპოთეკართან).

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ქონებით მოპასუხეთა სარგებლობას სამართლებრივი საფუძველი აქვს, რომლის გასაქარწყლებლად მოსარჩელემ სათანადო არგუმენტი ვერ წარმოადგინა. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის არარსებობა მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს გამოიწვავს. ამრიგად, რადგანაც მოსარჩელემ სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით ვერ დაამტკიცა მოპასუხეთა მიერ მისი საკუთრებით უსაფუძვლო სარგებლობა, მისი მოთხოვნა, თანხის დაკისრების თაობაზე, უსაფუძველოა.

25. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელის მოთხოვნა წარუმატებელია იმიტომაც, რომ საქმეზე დართული მტკიცებულებებით (მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით) დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 დეკემბრის განაჩენით მინდობილ პირზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 1017 000 აშშ დოლარი მოცავდა სადავო ბინის ღირებულებასაც.

რადგან ნატურით რესტიტუციასა და ფულად კომპენსაციაზე კრედიტორის უფლება ალტერნატიულია და არა კუმულაციური, დაუშვებელია მოსარჩელემ მიიღოს როგორც საკომპენსაციო თანხა, ისე – ის ქონება, რის სანაცვლოდაც მოითხოვა საკომპენსაციო ზიანი. ვინაიდან მოსარჩელის სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ბინის დაბრუნებას და, შესაბამისად, სარგებლის დაბრუნების მოთხოვნას საფუძველი გამოეცალა.

26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამარ-

თლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ზ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დელიქტური ვალდებულება

სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-769-737-2016

20 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ლ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მსესხებელი, მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) და ფ. ს-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გამსესხებელი, იპოთეკარი, კრედიტორი), რომელსაც კ. თ-ძე წარმოადგენდა (შემდეგში: პირველი მოპასუხე ან გამსესხებლის წარმომადგენელი), 2009 წლის 15 ივლისს დადეს სესხის ხელშეკრულება (დამონმებულია სანოტარო წესით), რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელმა მოსარჩელეს 35 000 აშშ დოლარი ყოველთვიური 5%-იანი სარგებლით, სამი თვის ვადით – 2009 წლის 15 ოქტომბრამდე გადასცა. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... მდებარე ... ბინა.

2. შპს „ქ.მ.ა-ის“ 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გამსესხებელსა და მსესხებელს შორის დამტკიცებული მორიგების თანახმად, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, 2009 წლის 15 ოქტომბრამდე გადაეხადა სარგებელი და პირგასამტეხლო – 4988 აშშ დოლარი, კონტრაქტის ერთი თვით (2009 წლის 9 ნოემბრამდე) გაგრძელებისათვის კი – 2 625 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული ბინა იპოთეკარის საკუთრებაში აღიკვეთებოდა.

3. მსესხებელმა გამსესხებელს 2009 წლის 10 სექტემბერს – 1969 აშშ დოლარი, 2009 წლის 16 ოქტომბერს – 4000 აშშ დოლარი, 2009 წლის 16 ნოემბერს – 2000 აშშ დოლარი, 2010 წლის 16 იანვარს –

1500 აშშ დოლარი, ხოლო 2010 წლის 3 და 10 თებერვალს – 6000 აშშ დოლარი გადაუხადა.

4. 2009 წლის 20 ოქტომბერს მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა, 09.10.2009 წლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე, კრედიტორის სასარგებლოდ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც იპოთეკის საგანი იპოთეკარის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღირიცხა 2010 წლის პირველ თებერვალს.

5. 2010 წლის 17 მაისს გამსესხებელს, რომელსაც პირველი მოპასუხე წარმოადგენდა, და დ. რ-ძეს (შემდეგში – მყიდველი) შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება ამ უკანასკნელის საკუთრებად აღირიცხა, 2012 წლის პირველი ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე კი – ი. გ-ას საკუთრებად.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის პირველი მარტის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, პირველი მოპასუხე და ზ. გ. (მეორე მოპასუხე, ასევე, ერთობლივად მოხსენიებული როგორც მოპასუხეები) ცნობილ იქნენ დამნაშავედ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობის) ჩადენისათვის. განაჩენის მიხედვით, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებით მათ დაზარალებულ გ. ლ-ს მიაყენეს 6000 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და მიიღეს ქონებრივი უფლება ამ უკანასკნელის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე.

7. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სარჩელი პირველი და მეორე მოპასუხის, გამსესხებლისა და მყიდველის მიმართ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უძრავი ქონების გამოთხოვისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და პირველ და მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 6000 აშშ დოლარის გადახდა.

8. მოპასუხეებმა მოსარჩელეს გადაუხადეს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 81 000 აშშ დოლარისა და 29 800 აშშ დოლარის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის – 8000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

9.1. მოსარჩელის მითითებით, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მოპასუხეთა ბრალეული ქმედების შედეგად, ჯერ

გამსესხებლის სახელზე აღირიცხა, შემდეგ კი, რამდენიმეჯერ გას-
ხვისდა. განაჩენით დგინდება, რომ მოპასუხეებმა თალლითური
გზით მიიღეს ქონებრივი უფლება მის კუთვნილ საცხოვრებელ ბი-
ნაზე, რომლის ღირებულება 81 000 აშშ დოლარია. განაჩენისვე მი-
ხედვით, მოპასუხეები მოტყუებით დაეუფლნენ მოსარჩელის კუთ-
ვნილ 6000 აშშ დოლარს. სადავო ბინის იპოთეკარის სახელზე აღ-
რიცხვის შესახებ მოსარჩელისათვის არ იყო ცნობილი და იგი, მო-
პასუხეთა მითითებით, 09.10.2009 წლის მორიგების აქტის შესაბა-
მისად, აგრძელებდა თანხის ჩარიცხვას.

9.2. საცხოვრებელი ბინის დაკარგვით მოსარჩელეს მიადგა უმ-
ძიმესი მატერიალური და მორალური ზიანი. საცხოვრებელი ბინი-
დან გამოტანილი ავეჯის, ინვენტარის, მოწყობილობების, წიგნე-
ბისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების საბაზრო ღირებულება
შემცირდა 12 900 აშშ დოლარით. ბინიდან გამოსახლების შემდეგ,
მოსარჩელის მიერ გადახდილი ქირა 16 900 აშშ დოლარია.

9.3. მორალური ზიანი გამოიხატა მოსარჩელის მეუღლის ჯან-
მრთელობის უკიდურესად გაუარესებით, ოჯახის დანგრევით, მი-
სი სიმაძრის მოულოდნელი გარდაცვალებით, მოსარჩელის ქალიშ-
ვილის, პირველი კურსის სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტითა
და ოჯახის დასახმარებლად გერმანიაში სამუშაოდ გამგზავრებით.

10. მოპასუხეებმა წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს
და მიუთითეს, რომ სასამართლომ უკვე იმსჯელა ზიანის ანაზღაურ-
ების თაობაზე და გამოიტანა გადაწყვეტილება. რაც შეეხება ბი-
ნის ღირებულებას, საარბიტრაჟო პროცესზე მხარე თანახმა იყო
თანხის გადახდასა და ვალდებულების შესრულებაზე, რის შედე-
გადაც მხარეებს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის პი-
რობებიც მოსარჩელემ დაარღვია. ამასთან, სარჩელი ხანდაზმუ-
ლიცაა – განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 3 წელი.
მოსარჩელემ იცოდა ქონების აუქციონზე გასხვისების თაობაზე,
ამ თარიღიდანაც გასულია სარჩელის აღძვრის ვადა.

**11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 სექ-
ტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სა-
სამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართვე-
ლოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 992-ე, 413-ე, მე-
18 მუხლები და დაასკვნა:**

11.1. მოსარჩელემ ვერ წარადგინა იმ გარემოების დამადასტურ-
ებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხეთა მართლსაწინააღმდე-
გო მოქმედების შედეგად გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელ-
შეკრულება და ამ გარემოებამ გამოიწვია მოსარჩელისთვის ზია-
ნის მიყენება – ქონების გასხვისება. მოსარჩელის ქონება იპოთე-
კით დაიტვირთა მისივე თავისუფალი ნების საფუძველზე. სადავო

ქონების იპოთეკარის სახელზე აღრიცხვა განაპირობა მოსარჩელის მიერ დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობამ.

11.2. მითითება იმაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 01.03.2011წ. განაჩენით დგინდება მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება. მოსარჩელის კუთვნილი ქონება გასხვისდა მესამე პირებზე და ამ ქონების გასხვისებით მოპასუხეების მიერ სარგებლის მიღების ფაქტი არ დადგინდა.

11.3 სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა მითითება სარჩელის ხანდაზმულობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის პირველი მარტის განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 8 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით. სარჩელი აღძრულია 2014 წლის 12 ნოემბერს. შესაბამისად, ხანდაზმულობის სამართლიანი ვადა არ გასულა.

12. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

12.1. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება და მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადასტურება. მოსარჩელემ ზუსტად გამოკვეთა მოპასუხეთა მიზანი და მართლსაწინააღმდეგო მიზნით სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადება. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა ისიც, რომ ფინანსურ სარგებელს იღებდნენ მოპასუხეები და არა იპოთეკარი.

12.2. სასამართლომ გადასინჯა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილია მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედება.

12.3 სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ არბიტრაჟის მიერ დამტკიცებული მორიგების აქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევით გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რაც საფუძვლად დაედო აპელანტის ქონებრივი უფლების დარღვევას. მას 2009 წლის 15 ნოემბრამდე ჰქონდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა, თუმცა სააღსრულებო ფურცელი გამოიწერა 2009 წლის 20 ოქტომბერს. ამასთან, მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი გარიგება, რომლითაც მსესხებელს გაუგრძელდა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს მოსარჩელის მიერ ბინის გამსესხებლის სახელზე აღრიც-

ხვის შემდგომაც შეთანხმებულ საბანკო ანგარიშზე რამდენიმე ეტაპად – ჯამში 6000 აშშ დოლარის ჩარიცხვა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

13.1. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, მორიგების მიხედვით, მოსარჩელეს 7613 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება გამსესხებლისათვის 2009 წლის 15 ოქტომბრამდე ეკისრებოდა. ამ ვადაში თანხის გადახდის შემთხვევაში, მოსარჩელეს დარჩენილი თანხის გადახდის ვალდებულება 2009 წლის 9 ნოემბრამდე გადაუვადდებოდა. მოსარჩელეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ვადაში ვალდებულება არ შეუსრულებია. მართალია, მან ვადის მცირედი დარღვევით გარკვეული თანხა გადაიხადა, თუმცა ეს ვერ განიხილება ვალდებულების შესრულებად და კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად. გამომდინარე იქიდან, რომ მსესხებელმა დაარღვია ვალდებულება 15.10.2009 წლამდე 7613 აშშ დოლარის გადახდის შესახებ, არ არსებობდა ვალდებულების შესრულების ვადის 2009 წლის 9 ნოემბრამდე გადავადების შესახებ პირობის ამოქმედების საფუძველი.

13.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მხარეებს შორის ზეპირი გარიგება არსებობდა, რომლითაც მოსარჩელეს გაუგრძელდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა. აღნიშნულის დასადასტურებლად აპელანტი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ იპოთეკის საგნის იპოთეკარის სახელზე აღრიცხვის შემდგომ, რაც აპელანტისთვის არ იყო ცნობილი, იგი კვლავ ასრულებდა ვალდებულებას. გარდა ამისა, აპელანტის მოსაზრებით, ზეპირი გარიგების დადების ფაქტი დადასტურდებოდა მონმეთა ჩვენებებით, თუმცა საოქმო განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა მონმეთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

13.3. სააპელაციო პალატის განმარტებით, სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია, რომ იპოთეკარის სახელზე უძრავი ნივთის რეგისტრაციის მომენტიდან მოსარჩელის მიმართ ყოველგვარი მოთხოვნის უფლება შეწყდა, რადგან არ დადასტურდა მხარეთა შორის გარიგების არსებობის ფაქტი. გადარიცხვები კი, მიჩნეულ იქნა კანონიერი საფუძვლის გარეშე გადახდილად. ამასთან, ამ გადარიცხვის ფარგლებში მიღებული თანხა მოპასუხებმა აპელანტს აუნაზღაურეს. იმ პირობებში, როდესაც ამ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქ-

ტები პრედიციული მნიშვნელობისაა წინამდებარე დავაში, პალატამ დაასკვნა, რომ მოწმეთა ჩვენება მხარეთა შორის ზეპირი გარიგების დასადასტურებლად არაარსებითი მტკიცებულება იყო. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს, გასაჩივრებული საოქმო განჩინების გამოტანისას, საპროცესო სამართლის ნორმები არ დაურღვევია.

13.4. პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება მოპასუხეების საკუთრებაში არასდროს აღრიცხულა. ის ჯერ კრედიტორის საკუთრებად აღირიცხა, მოგვიანებით კი, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესამე პირზე გასხვისდა, რომლის კეთილსინდისიერება დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის ქონების დაუფლების ფაქტი.

13.5. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვის მიზეზი არა მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არამედ მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლოში დამტკიცებული მორიგების პირობების შეუსრულებლობა გახდა. რაც შეეხება მოსარჩელისათვის მოპასუხეების მიერ დანაშაულის მიყენებული ზიანის ოდენობას, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ის 6000 აშშ დოლარი იყო, რაც აპელანტმა აანაზღაურა.

14. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

14.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ გაგრძელებულა. მოსარჩელე ქონების იპოთეკარის საკუთრებაში აღრიცხვის შემდგომაც აგრძელებდა 15.07.2009 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას – რიცხავდა თანხას ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე. ამ ფაქტით დგინდება ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება.

14.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რომლითაც უტყუარად დგინდება მოპასუხეთა და არა – კრედიტორის განზრახვი ქმედება, რაც გამოიხატა მოსარჩელის ბინაზე საკუთრების უფლების არამართლზომიერად მიღებასა და 6000 აშშ დოლარის მითვისების ფაქტში. მოსარჩელემ რომ, სწორედ, მოპასუხეთა ქმედებით განიცადა ზიანი და არა – იპოთეკარის, ადასტურებს კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც იპოთეკარი სოლიდარულ მოვალეთა

სიიდან ამოირიცხა.

14.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ მიღებული განაჩენი, რომელშიც ცალსახადაა მითითებული, რომ მოპასუხებმა მოსარჩელის მიმართ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, რის შედეგადაც კანონის დარღვევით მიისაკუთრეს მისი უძრავი ქონება და ფული. ამასთან, არც თვითონ გამოიკვლია ეს ფაქტი, რადგან არ დააკმაყოფილა საჩივარი საოქმო განჩინებაზე, რომლითაც მოსარჩელეს მოწმეთა დაკითხვაზე უარი ეთქვა. მოწმეები ფლობდნენ ინფორმაციას ზეპირი ფორმით გარიგების ვადის გაგრძელების შესახებ. ამდენად, სასამართლომ უარი თქვა, გამოეკვლია მტკიცებულებანი, რომელზეც მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებდა, რითაც დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

16. საკასაციო სასამართლო, საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზ-

ლაუროს მას ეს ზიანი), 998.1 (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება), 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება, მიეცეს ფულადი ანაზღაურება) და 413.1 (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით) მუხლები.

19. სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი).

20. მოსარჩელემ სარჩელი წარადგინა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელსაც დაურთო სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები პრეიუდიციული მნიშვნელობისაა სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის (ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით) შესაბამისად. ნორმის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დადგენილად მიიჩნევა და მტკიცებას აღარ საჭიროებს განაჩენით დადგენილი ზიანის მიყენების ფაქტი.

21. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ განაჩენით დგინდება მოსარჩელისათვის 6 000 აშშ დოლარის ზიანის მიყენების ფაქტი, რაც, მისივე განმარტებით, აუნაზღაურეს კიდევ მოპასუხეებმა. რაც შეეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების დაკარგვით გამოწვეულ ზიანს, ეს ფაქტი განაჩენით არ დადგენილა.

22. პალატა მიიჩნევს, რომ განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მოპასუხეთა დანაშაულებრივ ქმედებას ადასტურებს, არ გამხდარა მოსარჩელის მიერ სადავო ბინაზე საკუთრების დაკარგვის საფუძველი. არც განაჩე-

ნით დადგენილი ფაქტობრივი გარემომეხებიდან, არც 10.04.2012 წლის კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით (რომლითაც დადგენილი ფაქტები განსახილველ დავასთან მიმართებით პრეიუდიციული მნიშვნელობისაა) დადგენილი ფაქტებიდან და არც საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის მოტყუების გარეშე შედეგი ამ კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის შეცდომაში შეყვანის მიუხედავად, ეს უკანასკნელი სადავო ბინაზე საკუთრებას დაკარგავდა შემდეგ გარემოებათა გამო:

22.1. შპს „ქ.მ.ა-ის“ 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გამსესხებელსა და მსესხებელს შორის დამტკიცებული მორიგების თანახმად, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, 2009 წლის 15 ოქტომბრამდე გადაეხადა სარგებელი და პირგასამტეხლო – 4988 აშშ დოლარი, კონტრაქტის ერთი თვით გაგრძელებისათვის კი – 2625 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთული ბინა იპოთეკარის საკუთრებად აღირიცხებოდა.

22.2. მოსარჩელე სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ 15 ოქტომბრამდე სარგებელი და პირგასამტეხლო – 4988 აშშ დოლარი არ გადაუხდია, არც 2625 აშშ დოლარი არ გადაუხდია 15 ოქტომბრამდე გადაუხდელი 4988 აშშ დოლარის 2009 წლის 9 ნოემბრამდე გადასავადებლად. ამდენად, მოსარჩელემ მორიგების პირობა არ შეასრულა. პირობის შეუსრულებლობის შედეგი კი, იპოთეკით დატვირთული ბინის იპოთეკარის სახელზე აღირიცხვა იყო. 10.04.2012 წლის კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადგენილია, რომ იპოთეკარის სახელზე ქონება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე აღირიცხა, რომლითაც მხარეთა დისპოზიციური ნების შესაბამისად, დამტკიცდა მორიგება.

22.3. თავად იპოთეკარის სახელზე უძრავი ქონების აღრიცხვის საფუძველი – საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შედავებული არ არის. მოსარჩელის ერთადერთი პრეტენზია, ამასთან დაკავშირებით, ის იყო, რომ მორიგების აქტის იმ ნაწილის აღსრულების ვადა არ იყო მოსული, რომლითაც იპოთეკის საგანი კრედიტორის საკუთრებაში უნდა გადასულიყო, ანუ იგი სააღსრულებო ფურცლის დარღვევით გამოწერაზე აპელირებდა. პირველ რიგში, სადავო არ არის, რომ მოსარჩელეს 15 ოქტომბრამდე გადასახდელი თანხა არ გადაუხდია. შესაბამისად, 2009 წლის 20 ოქტომბერს სააღსრულებო ფურცელი მართლზომიერად გამოიწერა და, მეორეც, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება 2010 წლის იანვარში აღსრულდა, როდესაც

მსესხებელს ვალდებულება კვლავ არ ჰქონდა შესრულებული.

22.4. დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ. სასამართლომ შეთანხმება ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ ნამდვილად რომ მიიჩნიოს, მისი ფორმა უნდა იყოს დაცული. იმგვარი არსებითი პირობის შეცვლა, როგორც ვალის დაბრუნების ვადის გაგრძელებაა, მოითხოვს იმავე ფორმას, როგორი ფორმითაც ძირითადი ხელშეკრულებაა დადებული, მოცემულ შემთხვევაში, სანოტარო დადასტურებას. ამიტომ ზეპირი შეთანხმება, ფორმალუცველობის გამო, ბათილია (სსკ-ის 59.1 მუხლი). აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია კასატორის ის პრეტენზიაც, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას უკავშირდება სასამართლოს მიერ მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის გამო, რამდენადაც მოწმეებს სწორედ ხელშეკრულების ვადის ზეპირი ფორმით გაგრძელება უნდა დაედასტურებინათ.

22.5. პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ, ვინაიდან ის თანხის ჩარიცხვას აგრძელებდა, ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა. ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას ან მონაწილეებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თანხის ჩარიცხვა ფორმის ნაკლს იმიტომაც ვერ ასწორებს, რომ ჩარიცხვას სამართლებრივი საფუძველი აღარ გააჩნდა, რამდენადაც ამ დროს უძრავი ნივთი (იპოთეკის საგანი) უკვე გადასული იყო კრედიტორის საკუთრებაში, შესაბამისად, თანხის გადახდის ვალდებულება აღარ არსებობდა. ამასთან, 10.04.2012 წლის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაც, დადგენილია, რომ ხელშეკრულების ვადა არ გაგრძელებულა.

23. დაუსაბუთებელია, ასევე, კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სასამართლომ არ გაიზიარა განაჩენით დადგენილი ფაქტი, რომ მოპასუხეებმა განზრახი დანაშაულებრივი ქმედებით მიიღეს ქონებრივი უფლება მოსარჩელის უძრავ ქონებაზე. ჯერ ერთი, განაჩენიდანვე გამომდინარეობს, რომ „ქონებრივი უფლება“ მოპასუხეებს არ მიუღიათ და სადავო ქონება საკუთრების უფლებით იპოთეკარზე აღირიცხა, მეორეც, ფორმალურადაც რომ მიეუდგეთ მითითებულ ჩანაწერს, განაჩენში განვითარებული მსჯელობა, ქონებრივი უფლების მიღების თაობაზე, არის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნა, შეფასება მის მიერ დადგენილი ფაქტებისა. პრეიუდიციული ძალა კი, სწორედ სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს გააჩნიათ და არა სამართლებრივ შეფასებას. მო-

ცემულ შემთხვევაში, როგორც ითქვა, განაჩენით დადგენილი ფაქტებიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელის უძრავ ქონებაზე რაიმე ქონებრივი უფლება მიიღეს. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები პრეიუდიციული მნიშვნელობისაა მხოლოდ განაჩენითვე დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას და არა ნებისმიერ დელიქტურ ქმედებასთან მიმართებით. მოცემულ შემთხვევაში, განაჩენიდან არ გამომდინარეობს, რომ მოსარჩელის მიერ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვის საფუძველი მოპასუხეთა დანაშაულებრივი ქმედება გახდა. ამასთან, მოსარჩელემ ვერც წარდგენილი სარჩელით ვერ დაამტკიცა სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი წინაპირობები, კერძოდ, ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეთა ქმედებასა და მოსარჩელის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვას შორის, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

24. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე
მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება.

ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-934-2020

25 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. კ-ძემ (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა შპს „ს.ჯ.პ-მის“ (შემდეგში: მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ 67 341 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

2. სარჩელის საფუძვლად მითითებულია, რომ 2018 წლის 04 ივლისს მოპასუხის კუთვნილ ავტოგასამართ სადგურზე, სამტრედი-აში, სოფელ ..., მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტომობილში, რომელსაც ი. კ-ძე მართავდა, დიზელის სანავის ნაცვლად ბენზინი ჩაუსხეს, რის შედეგად, მანქანის ძრავი ავარიულად გაითიშა. ი. კ-ძემ შესაბამისი სამსახურის დახმარებით მანქანა საკუთარ ავტოფარეხში გადაიყვანა. მხარეთა სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, მანქანის შეკეთებაზე პასუხისმგებლობა მოპასუხემ აიღო. მოპასუხემ ავტომანქანა ევაკუატორით „მ. მ-ის“ ქუთაისის სერვის ცენტრში გადაიყვანა, სადაც მანქანას მხოლოდ პირველადი პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა.

3. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიერ მანქანის შეკეთების მცდელობის შემდგომ, ძრავს ხმა შეეცვალა, ისმოდა სავარაუდოდ „კლაპანის“ ხმა და ჰქონდა ვიბრაცია-დეტონაცია. მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა ევაკუატორით მანქანის თბილისში, თავის პროვაიდერ „თ. მ-სი“ გადაყვანა, სადაც თუ დადგინდებოდა, რომ ბენზინმა ნამდვილად დააზიანა ძრავი, მხარეები გააგრძელებდნენ მოლაპარაკებას, რასაც მოსარჩელე დათანხმდა იმ პირობით, რომ მოპასუხისგან მანქანას ჩაიბარებდა მხოლოდ კომპეტენტური ორგანიზაციის დასკვნისა და გარანტიის არსებობის პირობებში. მიუხედავად ძრავის შეკეთების მცდელობისა, „თ. მ-ის“ თბილისის სერვის ცენტრში ძრავის მდგომარეობა გაუარესდა.

მოპასუხემ მანქანის მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური დასკვნა არ გასცა. ფაქტიურად, ავტომანქანის ძრავა გამოსულია მწყობრიდან და მისი შეკეთება შეუძლებელია, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მერსედესის ცენტრის მიერ გაცემული დასკვნით დასტურდება, რომ ავტომანქანის აღდგენის ღირებულება 67 341 ლარს შეადგენს.

4. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ავტომობილში მოსარჩელემ გადაიხადა 3 200 ევრო. ჩამოყვანის შემდეგ უცვლიდა ფილტრს, ზეთს და საბურავებს, ავტომობილი იყო 100%-ით ვარგისი, რაც დასტურდება ტექდათვალიერების გავლითაც. 2018 წელს, ავტომობილის დაზიანებამდე მისი ღირებულება 19 200 ლარს შეადგენდა.

5. მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შემდეგ გარემოებებზე მიუთითა: დაუდასტურებელია გარემოება, რომ ძრავის გაუმართაობა დიზელის ნაცვლად ბენზინის ჩასხმამ გამოიწვია. ასევე, სინამდვილეს არ შეესაბამება ის გარემოება, რომ თითქოსდა დღეის მდგომარეობით ძრავი გაუმართავია, ისევე როგორც – ფაქტი, თითქოს, აღნიშნულ შემთხვევამდე ძრავა იდეალურ მდგომარეობაში იყო. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მანქანა არ გაყავს სერვისცენტრიდან, არ ქმნის ძრავის გაუმართაობის პრეზუმფციას. რაც შეეხება მოსარჩელის პრეტენზიას, თითქოსდა, მოპასუხე ცდილობდა მოსარჩელისთვის ნაკლიანი ნივთის გადაცემას, უსაფუძვლოა, რადგან თავად მიუთითებს, რომ მანქანა არ გაუყვანია.

6. მოპასუხის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის პრეტენზიის საფუძვლიანობა ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდებოდა, კომპანიამ გამოიჩინა კეთილი ნება და ავტომანქანას ჩაუტარა ტექნიკური დათვალიერება, პროვაიდერი კომპანიის საშუალებით მოახდინა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, რაზეც დაიხარჯა 1104.84 ლარი (ევაკუაციის თანხასთან ერთად). ასევე, მოპასუხემ გამოთქვა მზადყოფნა, აუცილებლობის შემთხვევაში, აენაზღაურებინა 2 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, მოპასუხის განმარტებით, ზიანის ფაქტის დადასტურება არ შეესაბამება ზოგადად საქმის წარმოების მინიმალურ სტანდარტსაც კი. მოსარჩელე ვერ ადასტურებს ფაქტს, რომ ავტომანქანის ძრავი იყო იდეალურ მდგომარეობაში და მისი პრობლემა გამოწვეულია უშუალოდ მოპასუხის ქმედებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ სარჩელზე წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტსა და დამდგარ შედეგს შორის. ერთადერთი მტკიცებულება, რაზეც მოსარჩელე აფუძნებს მოთხოვნას,

ნას არის გაურკვეველი წარმომავლობის ინვოისი და ამ დოკუმენტით, კონკრეტული გარემოების დადასტურება არარელევანტურია, მით უფრო, როდესაც ამ დოკუმენტის წარმომავლობაც გარკვეულწილად ინვეს ეჭვს, მასში მითითებული გაანგარიშების გათვალისწინებით. შესაბამისად, მხოლოდ ინვოისი, რომელიც გაცემულია სხვა პირის სახელზე, არ არის საკმარისი იურიდიული შემადგენლობის მისაღებად, რასაც უკავშირდება მოთხოვნილი სამართლებრივი შედეგი. მოსარჩელემ თავისივე სურვილით და გადანყვებილებით მიმართა მერსედესის ცენტრს, რომელმაც მხოლოდ სათადარიგო ნაწილების ღირებულება და ხარჯები განწერა ინვოისით, ისიც ასმაგად გაზრდილი ფასებით და ნამდვილად არ დაუდგენია ძრავის გამოცვლის აუცილებლობა და ვერც დაადგენდა, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციას ცდება. მოპასუხის განმარტებით, ძრავას შემთხვევამდეც უნდა ჰქონოდა დაზიანებები, ვინაიდან, მსგავსი შემთხვევა სხვა ავტომობილებთან მიმართებითაც ყოფილა და ძრავის წმენდა საკმარისია იმისათვის, რომ ავტომობილი მწყობრში მოვიდეს, თუმცა, ამ კონკრეტული ავტომობილისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ავტომობილს ამ დრომდეც გააჩნდა დაზიანება. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა, რომ ძრავის შეცვლა განხორციელდეს ნულოვანი გარბენით, საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით დ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევდა მოპასუხისათვის ეკონომიკური ზიანის მიყენებას და დელიქტის მთავარი პრინციპის დარღვევას, რაც დელიქტის შედეგად გამდიდრების დაუშვებლობაში გამოიხატება. იმ პირობებში, როდესაც ავტომობილის ღირებულება 9 500 ლარს შეადგენდა, შეუძლებელია, გონივრულად მიჩნეულიყო მანქანის აღდგენითი სამუშაოების ღირებულებისათვის 67 341 ლარის ანაზღაურება. სასამართლოს საეჭვოდ არ გაუხდია შპს „ა-ს“ მიერ გაცემული ცნობა, თუმცა, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კომპანია ავტომობილების შეკეთებას მხოლოდ ახალი ნაწილებით ახდენდა; ამასთან, განსხვავებულია მათი მომსახურების ღირებულებაც. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც გადამწყვეტი იყო მხოლოდ აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება და დაზარალებულს ამ სიტუაციაში ანაზღაურების სხვადასხვა ვარიანტებს შორის ყველაზე ნაკლები დანახარჯებით განხორციელებადი უნდა აერჩია, მოსარჩელეს არ

გამოუხატია ინტერესი მოპასუხის შეთავაზების მიღებაზე. მან ასევე უარი განაცხადა ავტომანქანის ღირებულების მიღებაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 409-ე, 992-ე მუხლები გამოიყენა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით დ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლომ მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება 9 500.00 ლარის ოდენობით; მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საკუთრების უფლებით გადაეცა მოპასუხეს.

10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11. 2018 წლის 04 ივლისის მოპასუხის კუთვნილ ავტოგასამართ სადგურზე, ოპერატორმა, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტომობილში („MERCEDES BENZ C 200 CDI“ (სახელმწიფო ნომრით ...), დიზელის სანავის ნაცვლად ბენზინი ჩაასხა, რამაც ავტომანქანის ძრავის დაზიანება გამოიწვია. მხარეთა შეთანხმებით, დაზიანებული ავტომანქანა ევაკუატორით ჯერ „მ. მ-ის“ ქუთაისის სერვის ცენტრში, შემდეგში კი, თბილისში, მოპასუხის პროვადერ „თ. მ-სი“ გადაიყვანეს შესაკეთებლად.

12. 2018 წლის 25 ივლისის წერილით დგინდება, რომ მოპასუხემ დაზიანებული ავტომობილის შესაკეთებლად 2 000 აშშ დოლარის გამოყოფის მზადყოფნა გამოხატა, თუმცა, მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა.

13. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2014 წელს მოსარჩელემ ხსენებული ავტომანქანა 3 200 ევროდ შეიძინა გერმანიაში.

14. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 05 ნოემბრის დასკვნის თა-

ნახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილი, 2001 წელს დამზადებული, მსუბუქი ავტომობილის „MERCEDES BENZ C 200 CDI“ (სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ...), საბაზრო ღირებულება დაზიანებამდე საორიენტაციოდ 9 500 ლარს შეადგენდა.

15. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობის შესახებ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) 105-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, არავითარ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლომ შეიძლება უარყოს და/ან პირიქით, მიიღოს, თუ მტკიცებულების ობიექტური შინაარსი შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. საპროცესო კანონმდებლობით თითოეულ მხარეს ევალება წარადგინოს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის შესატყვისად, აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტული გარემოება თუ ფაქტი დაადასტუროს. სასამართლო ერთობლივად აანალიზებს მტკიცებულებებს და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღის დასკვნამდე მხარის მოსაზრების დასამტკიცებლად თითოეულის ვარგისიანობისა და სამართლებრივი წონადობის თაობაზე.

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტის თანახმად, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისთვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 05 ნოემბრის დასკვნის საპირისპირო მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია, რაც მის სააპელაციო პრეტენზიას ავტომანქანის საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებლად აქცევდა.

18. დადგენილი იქნა, რომ შპს „ა.ჯ-ის“ მიერ გაცემული ინვოისის თანახმად, ავტომობილისთვის (მარკა/მოდელი MERCEDES-BENZ C 200 CDI) გასანევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 1

770 ლარს, საიდანაც ძრავის ამოღება-ჩადგმის ღირებულება შეადგენს 300 ლარს, ძრავის გოლის ღირებულება შეადგენს 1 200 ლარს, მომსახურება – 300 ლარს.

19. ამასთან, სს „ნ-ას“ მიერ გაცემული ინვოისის მიხედვით, ავტომობილისთვის (მარკა/მოდელი MERCEDES-BENZ C 200 CDI) გასანევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 2 232.10 ლარს, საიდანაც ძრავის ღირებულებაა – 1682.1 ლარი, ძრავის შეცვლის ხარჯი – 400 ლარი, ძრავის გადანყოფის საფასური – 150 ლარი.

20. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 29 იანვრის დასკვნის თანახმად, 2001 წელს დამზადებული, მსუბუქი ავტომობილი „MERCEDES BENZ C KLAS“-ის დიზელის ძრავის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 1350 ლარს, ხოლო მისი მონტაჟის ღირებულება – 300 ლარს.

21. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის სახით მოპასუხისათვის 67 341 ლარის დაკისრების შესახებ, თავის მხრივ, ეფუძნება შპს „ა-ს“ მიერ 2018 წლის 02 აგვისტოს გაცემულ ინვოისს, რომლის თანახმად, ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI სარემონტო მომსახურების ღირებულება შეადგენს 67 341 ლარს, საიდანაც სამუშაოს ღირებულებაა – 1 691 ლარი, ხოლო სათადარიგო ნაწილების ღირებულება – 65 650 ლარი. ამასთან, შპს „ა-ს“ 2019 წლის 11 თებერვლის წერილის თანახმად, შპს „ა“ ავტომობილების შეკეთებას ახდენს მხოლოდ ახალი სათადარიგო ნაწილებით, რადგან ქარხანა დამამზადებლის ნორმატივების შესაბამისად, საექსპლუატაციო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს მეორადი ნაწილების და კვანძების გამოყენებას.

22. მოსარჩელე ავტომანქანის აღსადგენად 67 341 ლარის ანაზღაურებას ითხოვდა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ავტომანქანის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის სარჩელით მოთხოვნილი თანხა არათანაზომიერად დიდი იყო, კერძოდ, პალატამ განმარტა, რომ ქონებრივი ზიანის შემთხვევაში, თანაზომიერების დადგენისას უმნიშვნელოა, უძნელდება თუ არა დამზადებელს ნივთის ნატურით აღდგენა, გადამწყვეტია მხოლოდ აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ერთიანი თანაზომიერების პრინციპის განსაზღვრა და ეს საბოლოო ჯამში, დაზიანებულის შენარჩუნების ინტერესზე დამოკიდებული. ავტომანქანის დაზიანების შემთხვევაში, არათანაზომიერ ხარჯებს წარმოადგენს გერმანულ დოქტრინაში აღიარებული ე.წ. ტოტალური ეკონომიკური ზიანი, როდესაც, მაგალითად, დაზიანებული ძველი

ავტომანქანის რემონტის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებს მის ღირებულებას. მართალია, დაზარალებულს შეიძლება ჰქონდეს მანქანის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების სურვილი, რის გამოც, დამზიანებელმა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ითმინოს ეს არათანაზომიერება, მაგრამ ეკონომიკური ტოტალური ზიანი სახეზეა, როდესაც რემონტის ხარჯები მანქანის რეალურ ღირებულებას 30%-ით აღემატება (იხ: სამოქალაქო კოდექსის კომენტარები GCCC.GE).

23. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 05 ნოემბრის დასკვნის თანახმად, სადავო ავტომანქანის საბაზრო ღირებულება დაზიანებამდე, საორიენტაციოდ, 9 500 ლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის 02 აგვისტოს შპს „ა-ს“ მიერ გაცემული ინვოისის თანახმად, ამავე ავტომანქანის სარემონტო მომსახურების ღირებულება 67 341 ლარს შეადგენს, რაც, ავტომანქანის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, უდავოდ არათანაზომიერ ხარჯს წარმოადგენს.

24. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ ნორმის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი. სამართალში დამკვიდრებულია პრინციპი – „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომელიც დავის გადანყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს.

25. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა (შდრ. სუსგ-ები №ას-1843-2018, 5 მარტი, 2019 წელი, პ-14.2; №ას-167-163-2016,

01.07.2016).

26. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება პირს დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადი. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ხოლო ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა (შდრ. სუსგ №ას-191-183-2016, 19.04.16). განსახილველ შემთხვევაში, უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილის, MERCEDES-BENZ C 200 CDI ძრავის დაზიანება გამოწვეულია მოპასუხის თანამშრომლის ბრალეულობით. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი იქნა, რომ, მართალია, მოპასუხემ ნებაყოფლობით იკისრა მისივე თანამშრომლის მოქმედებით დაზიანებული მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის აღსადგენად საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩატარება, თუმცა, ეს სამუშაოები განხორციელდა დადგენილი ნორმატივების დარღვევით. სადავო ავტომანქანა ვერ იქნა სათანადოდ აღდგენილი და იგი კვლავ ხარვეზებით მუშაობს. სწორედ ამ გარემოების გამო, მოსარჩელემ უარი განაცხადა ავტომანქანის ჩაბარებაზე და იგი დღეის მდგომარეობითაც გაჩერებულია „თ. მ-ის“ ავტოსადგომზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხის ინიციატივით ჩატარებული აღდგენითი სამუშაოები შეესაბამება ამ მარკის ავტომობილებისათვის დადგენილ ნორმატივებს და ამ სამუშაოების შედეგად მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა გამართულად მუშაობს, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ ზიდა და სასამართლოში ვერ წარადგინა სადავო გარემოების დამადასტურებელი იურიდიულად სარწმუნო მტკიცებულებები (სსკ-ის 102-ე მუხლი).

27. უფრო მეტიც, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 ნოემბრის ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში, რომლის კვლევის სა-

განსაც წარმოადგენდა სადავო ავტომანქანაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შესაბამისობა ქარხანა დამამზადებლის SI47.10-P0004A ნორმატივებთან, მითითებულია შემდეგი: შპს „ა-ს“ მიერ გაცემული №SI47.10-P-004A ნორმატივის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ავტომობილში სხვა სანვავის გამოყენება ჩართულ ძრავაზე (ძრავის მოდელი 611, რომლითაც აღჭურვილია დაზიანებული ავტომობილი), სერვისმა უნდა იხელმძღვანელოს ამავე ნორმატივის მე-6 პუნქტის მიხედვით, რომლის თანახმადაც, თუ ძრავთან არსებული სანვავის სისტემის განკომპლექტებისას სანვავში, ან აღნიშნულ დეტალებში აღმოჩნდა უცხო ფრაქციები, გამოყენებული უნდა იქნეს მე-16 პუნქტი, რაც გულისხმობს სანვავის სისტემის ამავე პუნქტში ჩამოთვლილი დეტალების შეცვლას. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სანვავის სისტემის განმენდითი სამუშაოები შპს „M.M“-ის მიერ შესრულდა, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად ავტომობილს მაინც დასჭირდა შპს „თ. მ-ში“ გადაყვანა, ხელახლა მფრქვევანების დემონტაჟი და განმენდა, ექსპერტი მივიდა დასკვნამდე, რომ ავტომობილის სანვავის მიწოდების სისტემა დაზიანებული იყო და აქედან გამომდინარე, სერვისის ცენტრს უნდა ეხელმძღვანელა შპს „ა-ს“ მიერ გაცემული SI47.10-P-0004A ნორმატივის მე-16 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია. დასკვნის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, შპს „თ.მ-ისა“ და შპს „M.M“-ის მიერ ჩატარებული სამუშაოები შესაბამისობაში არ მოდის შპს „ა-ს“ მიერ გაცემულ NSI47.10-P-0004A ნორმატივის მოთხოვნებთან.

28. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 409-ე მუხლით, რომლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. სსკ-ის 409-ე მუხლით მონესრიგებული ფულადი ანაზღაურების ფორმით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება განსხვავდება 408-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების მიხედვით, ფულადი კომპენსაციის გადახდისაგან, რადგან აქ საქმე ეხება არა დაზარალებულის მიერ საკუთარი ძალებით განხორციელებული ნატურით რესტიტუციის ხარჯების კომპენსირებას, არამედ, ე.წ. ღირებულების ინტერესის ანაზღაურებას, როგორც ნატურით რესტიტუციის ალტერნატივას; ღირებულების ინტერესი გამოითვლება დაზარალებულის ჰიპოთეტური (ზიანის მომტანი მოვლენის გარეშე) და არსებული ქონებრივი მდგომარეობის შეპირისპირებით. თუ დამზიანებელმა ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული და ამგვარად შეუცვლელი ნივთი გაანადგურა, ფულადი ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრე-

ბა მსგავსი ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით. ანაზღაურების ოდენობა მეორადი ნივთების შემთხვევაში, რომელთა საბაზრო ფასიც დაუდგენადია, განისაზღვრება ამ ტიპის ახალი ნივთის საბაზრო ფასისათვის ცვეთით შემცირებული ღირებულების გამოკლებით.

29. სააპელაციო სასამართლოს მითითებით სსკ-ის 409-ე მუხლის მიხედვით ღირებულების ანაზღაურების თითოეულ ვარიანტს – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობას და რესტიტუციისათვის არათანაზომიერი ხარჯების აუცილებლობას – განსხვავებული ფუნქცია და მიზანი აქვს. პირველი ანესრიგებს ნატურით რესტიტუციის ნაცვლად (ან მასთან ერთად დამატებით) დაზარალებულის მიერ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, მაშინ როდესაც მეორე ვარიანტი ითვალისწინებს უკვე დამზიანებლის უფლებას შესთავაზოს მეორე მხარეს ფული ნატურით რესტიტუციის მაგივრად. სსკ-ის 409-ე მუხლი დაზარალებულს უზღუდავს სსკ-ის 408-ე მუხლის მიხედვით ნატურით რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას, თუ ეს მხოლოდ არათანაზომიერი დანახარჯებით არის შესაძლებელი. დამზიანებელს ამ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას ნატურით რესტიტუციაზე და დაზარალებულს სასადავოდ ფულადი კომპენსაცია შესთავაზოს. დაზარალებულს ამ შემთხვევაში, უნაზღაურდება არა შენარჩუნება-აღდგენის, არამედ მხოლოდ ღირებულების ინტერესი. ქონებრივი ზიანის შემთხვევაში თანაზომიერების დადგენისას უმნიშვნელოა, უძნელდება თუ არა დამზიანებელს ნივთის ნატურით აღდგენა, გადამწყვეტია მხოლოდ აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ერთიანი თანაზომიერების პრინციპის განსაზღვრა და ეს საბოლოო ჯამში დაზიანებულის შენარჩუნების ინტერესზეა დამოკიდებული. გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამ კონკურენციას ნატურით რესტიტუციის სასარგებლოდ წყვეტს, იმ დათქმით, რომ დაზარალებულმა ამ სიტუაციაში ანაზღაურების სხვადასხვა ვარიანტებს შორის ყველაზე ნაკლები დანახარჯებით განხორციელება უნდა აირჩიოს.

30. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ოდენობას ამყარებს შპს „ა-ს“ მიერ გაცემულ ინვოისზე, რომლის მიხედვით, სადავო ავტომანქანის აღსადგენად საჭირო სამუშაოს და მასალების საერთო ღირებულება ჯამში, 67 341 ლარს შეადგენს. (მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ამავე კომპანიის ცნობით დგინდება, რომ ავტომობილების შეკეთებას კომპანია აწარმოებს მხოლოდ ახალი სათადარიგო ნაწილებით, რადგან ქარხანა დამამზადებლის ნორმატივების შესაბამის-

სად, საექსპლუატაციო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს მეორადი ნაწილების და კვანძების გამოყენებას).

31. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, თავად სადავო ავტომობილის საბაზრო ღირებულება დაზიანებამდე შეადგენდა 9 500 ლარს; დიზელის ძრავის საბაზრო ღირებულება – 1 350 ლარს, ხოლო მისი მონტაჟის ღირებულება – 300 ლარს. მოპასუხემ ასევე წარმოადგინა არაერთი კომპანიის მიერ გაცემული ინვოისი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების ღირებულების შესახებ და მასში მითითებული ფასები არ აღემატება 2 300 ლარს. მოპასუხემ გამოხატა მზადყოფნა დამატებით 2 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ, თუმცა მოსარჩელემ თანხის მიღებაზე უარი განაცხადა.

32. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც თავად ავტომობილი დაზიანებამდე 9 500 ლარად არის შეფასებული და გადამწყვეტია, აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება, შეუძლებელია გონივრულად იქნეს მიჩნეული მანქანის ნაწილის (ძრავის) აღდგენითი სამუშაოებისათვის 67 341 ლარის განსაზღვრა. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს მოპასუხისათვის არათანაზომიერად დიდი დანახარჯების დაკისრებას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის დანაწესს და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების წინაპირობას გამოორიცხავს.

33. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 409-ე მუხლიდან გამომდინარე, ფულადი კომპენსაციის გონივრულ ოდენობად ავტომანქანის საბაზრო ღირებულება – 9 500 ლარი მიიჩნია. შესაბამისად, სწორედ ამ სახით უნდა დაკმაყოფილებულიყო სარჩელი.

34. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება დაზიანებული ავტომანქანის სრული საბაზრო ღირებულების ანაზღაურება, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული დაზიანებული ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., რომელსაც, რა თქმა უნდა, გააჩნია „ნარჩენი ღირებულება“, საკუთრების უფლებით უნდა გადაეცეს მოპასუხეს. საკითხის ამგვარად გადაწყვეტით, თავიდან იქნება აცილებული მოპასუხის ხარჯზე მოსარჩელის უსაფუძვლოდ გამდიდრება (სკ-ის 991-ე მუხლი)

35. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აპელანტმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი

საფუძვლებით:

36. საკასაციო საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, თვითნებურად შეასწორა სასარჩელო მოთხოვნის ტექსტი, გასცა და დავის საგნის მოთხოვნებს, არასწორად განმარტა და წარმოადგინა რიგი ფაქტობრივი გარემოებანი, რითაც დაირღვა არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით მინიჭებული უფლებები, არამედ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი. სსსკ-ის 248-ე მუხლით, სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხრეს, ის რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ფულის გადახდევინება და არა დელიქტური ვალდებულება. სასარჩელო მოთხოვნა და დავის საგანი არ არის მანქანა, სასარჩელო მოთხოვნა არის თანხის დაკისრება, ხოლო დავის საგანია ვალდებულებით ნაკისრი შესრულების საგნის მოცულობა და მისი ფასი. შესაბამისად, მანქანის საკუთრება არ არის სადავო სარჩელით. სააპელაციო სასამართლომ კი, გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ჩამოართვა კერძო საკუთრება - ავტომობილი, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, ამიტომ არსებობს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველი სსსკ-ის 393.1 მუხლის მიხედვით.

37. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში სარჩელის აღმძვრელად არასწორად მიუთითა დ. კ-ძე (გადაწყვეტილების პუნქტი 1). სარჩელი აღძრა ი. კ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

38. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა და არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის მიერ თვითნებურად იყო შეცვლილი სასარჩელო მოთხოვნის ტექსტი. კერძოდ სასარჩელო მოთხოვნის ტექსტში აღნიშნულია „ზიანის თანხა“ და არა „ზიანის სახით“, რითაც დაარღვია სსსკ-ის 248-ე მუხლი.

39. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე და 409-ე მუხლები, ვინიდან ვალდებულებითი სამართლის დელიქტურ ჭრილში განხილვა არსს უკარგავს სახელშეკრულებო სამართლის, გარიგების, ვალდებულების არსებობას. მონინააღმდეგე მხარე ვალდებულია შეასრულოს ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე აღებული ვალდებულება. სსკ-ის 361-ე 362-ე 653-ე და 411-ე მუხლებიდან გამომდინარე მოვალის პასუხისმგებლობა მისი თავშეკავებიდანაც გამომდინარეობს, ის გარემოება რომ საგარანტიო პირობების მიუხედავად არ

იცავს კრედიტორის ინტერესებს მონინალმდევე მხარე სსკ-ის 397-ე და 394-ე მუხლის შესაბამისად ძირითადი ვალდებულების გარდა სხვა მეორადი ვალდებულების ფარგლებშიც კი იგივე სარემონტო სამუშაოების მოცულობის ფასის ანაზღაურება ეკისრება, რაც იარსებებდა საგარანტიო პირობების შესრულების შემთხვევაში. კანონის სწორი განმარტების პირობებში ზიანის თანხა უნდა აენაზღაურებინა სასარჩელო მოთხოვნის სრული მოცულობით 67341 ლარი (სხდომის ოქმი 16.01.2020 დრო 47:45-50:40) მაგრამ ვინაიდან მხარეს არ აქვს დასრულებული 477-ე მუხლიდან გამომდინარე არაძირითადი ვალდებულება და ავტომობილი არ დაუბრუნებია ჩაბარების ადგილას, მეორადი ვალდებულება ვერ განიხილება და სასამართლოს უნდა ემსჯელა ვალდებულებითი სამართლის შესაბამისად.

40. კასატორი აღნიშნავს, რომ დავა არ გამომდინარეობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან. დავა მოიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების და ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს. ერთმნიშვნელოვნადაა დადასტურებული, რომ სსკ-ის 477-ე მუხლის დანაწესის, ასევე სსკ-ის 487-ე მუხლის შესაბამისად, ძირითად ვალდებულებასთან ერთად მხარეს ეკისრება არაძირითადი ვალდებულება სსკ-ის 316.1 მუხლის საფუძველზე, რაზეც კასატორს გააჩნია მოთხოვნის უფლება. ბრალის მავალდებულებელი გარემოებაა სსკ-ის 316.1 629-ე 361-ე მუხლი მასზედ, რომ მონინალმდევე მხარის მიერ შესრულებული მომსახურება (ავზის შევსება) სსკ-ის 488-ე მუხლის შესაბამისად, არ არის უნაკლოდ შესრულებული. მონინალმდევე მხარის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურზე, სოფ. ... მიმდებარე ტერიტორიაზე 2018 წ-ს 04 ივლისს, ი. კ-ქმ იყიდა ს.ჯ.პ-მისაგან სერვის მომსახურება. შესრულების საგანი იყო, მონინალმდევე მხარის ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, ი. კ-ძის მფლობელობაში მყოფი ავტომანქანისათვის უნდა გაენია სერვის მომსახურება, ავზი უნდა გაემართა სანვავით. რისთვისაც მყიდველმა ი. კ-ქმ გადაუხადა 70 ლარი. მონინარმდევე მხარემ ვალდებულება შეასრულა ნაკლით და დიზელის ნაცვლად ჩაუხსა ბენზინი. დიზელის სანვავის სისტემით აღჭურვილი ავტომობილის, ბენზინით გამართვით დაირღვა ექსპლუატაციის წესი, საქსპლუატაციო მოქმედების წესი მოქმედებს ყველა იმ ნაწილზე სადაც უნდა გაეარა დიზელს და გაიარა ბენზინმა. ესაა ის მოლოდინი ყველა იმ ნაწილებზეც, რომლებზედაც შეიძლებოდა დარღვეულიყო საექსპლუატაციო წესი ბენზინის ჩასხმის შემთხვევაში.

41. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ნასყიდობის ნაკლის გამოსასწორებელი სარემონტო სამუშაოებისათვის კასატორის მოთხოვნის უფლების ფარ-

გლებში მხარეებს შორის შედგა ზეპირსიტყვიერი გარიგება. სსკ-ის 316.1 69-ე 361-ე და 629-ე მუხლების შესაბამისად მონინალმდეგე მხარემ აიღო ვალდებულება ავზის არასწორად გამართვის შემთხვევაში, საჭირო სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე. მონინალმდეგე მხარემ ავტომობილი ჩაიბარა ქ. ქუთაისში, საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხიდან. ვალდებულების შესასრულებლად გამოიყენა სერვისი საწარმო და სარემონტო სამუშაოები აწარმოა „მგა„ მოტორსში. სსკ-ის 362-ე მუხლების შესაბამისად, ვალდებულების დასრულების ადგილიც ავტოფარეხია. ეს იყო სამართლიანი დათქმა, რამეთუ პირველი შესრულების უფლება გააჩნდა მონინალმდეგე მხარეს. სარემონტო სამუშაოები უნდა ეწარმოებინა კომპეტენტურ ორგანოს და გაეცა დასკვნა იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში, მანქანას მხარე ვერ ჩაიბარებდა, რადგან ჯეროვნების შეფასებას ვერ შეძლებდა. სერვისი საწარმო ვალდებულია იცოდეს და პირდაპირ პასუხისმგებელია ჯეროვანი სარემონტო სამუშაოების ექსპლუატაციის ნების ცოდნაზე, რომელიც დროულად უნდა შეატყობინოს შემკვეთს. გარიგების შესაბამისად, სერვისი სამუშაოები მხარემ შეუკვეთა „მ.“ მოტორსში, სადაც აღმოჩნდა ნაკლი. ჩატარებული სამუშაოები არ იყო ჯეროვნად შესრულებული, რასაც დასტურებს ექსპერტიზის დასკვნა წუნის ნამდვილობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ „მ.“ მოტორსში წარმოებული ნაკეთობის ნაკლის გამო სსკ-ის 316.1, 643.1 შესაბამისად, დამატებითი შესრულებისთვის მონინალმდეგე მხარემ ძირითადი ვალდებულების შესასრულებლად ნაკლის გამოსწორებისათვის გამოიყენა სხვა სერვისი საწარმო და ავტომობილი გადაიყვანა ქ. თბილისის „თ-ა“ მ-ის სერვისი ცენტრში, სადაც შეუკვეთა ნაკლის გამოსწორებისათვის სარემონტო სამუშაოები. დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა. მონინალმდეგე მხარემ არ ჩამოიყვანა ავტომანქანა ავტოფარეხში, საიდანაც წაიყვანა. სსკ-ის 362-ე მუხლის შესაბამისად, მონინალმდეგე მხარე კასატორს უზღუდავს სსკ-ის 653-ე მუხლის შესაბამისად, ახალი მოთხოვნის უფლების მიღებას.

42. კასატორი აღნიშნავს, რომ „ო-ა“ მოტორსის მიერ ნაკლით შესრულებული სამუშაოების გამოსწორება, მხარემ ივალდებულა სხვა სახელოსნოში. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მნიშვნელობის მქონე უდავო ფაქტობრივი გარემოება და არ გაითვალისწინა, რომ სსკ-ის 643.3 მუხლის შესაბამისად ავანსის თანხის გადახდა ივალდებულა მონინალმდეგე მხარემ. კასატორის ინტერესია ავანსის თანხამ უზრუნველყოს შესრულების საგნის მოცულობის ფასი, ეს არის დავის საგანი და სწორედ ამიტომ მიმართა სასამართლოს, რომ ჩაერიოს ავანსის თანხის განსაზღვრაში და დაიცვას

მისი ინტერესები

43. კასატორი აღნიშნავს, რომ ვალდებულების ძალით მოთხოვნილი ნაკლიანი ნივთის გამოსწორებითი სამუშაოების უშედეგოდ შესრულების გამო ოფიციალურად იქნა მიმართული მონინალმდეგე მხარისადმი 17.07.2018 წლის წერილით სსკ-ის 652-ე მუხლის შესაბამისად. ავანსის გადახდის შესახებ შემოთავაზებულ თანხაში არ არის განსაზღვრული შესრულების საგნის მოცულობა 25.07.2018 წლის წერილი ს.ფ (31) შესაბამისად არასაკმარისი თანხის გამო მიემართა პრეტენზიის სახით 28.07.2018 წლის წერილით. მხარემ მოითხოვა საჭირო სამუშაოების დადგენისათვის მიემართა სერვის ცენტრისათვის. რაზეც მოპასუხემ პასუხი არ გასცა მხარეს და ეს გახლდათ სარჩელის აღძვრის მიზეზი. შესაბამისად კასატორი სასამართლოს სთხოვს ავანსის სახით ფულადი ოდენობის დაკისრებას იმ მოცულობის მიხედვით, რასაც მოიცავს ძირითადი ვალდებულება, რადგან მოცულობის გათვალისწინების გარეშე იყო არასწორად განსაზღვრული მონინალმდეგე მხარის მხრიდან შემოთავაზებული 2000 დოლარი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და არ გაითვალისწინა შესრულების საგნის მოცულობა, შემკვეთის მიერ ნაკლის გამოსწორებისათვის სსკ-ის 316.1 და 643.3 მუხლების მიხედვით. სარემონტო სამუშაოების მოცულობა, მერსედესის ცენტრის მიერ გაცემული ინვოისისში სწორად არის განსაზღვრული, რომელიც აკმაყოფილებს სსკ-ის 641-ე მუხლის დანაწესს.

44. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და არ გაითვალისწინა დავის საგნის შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნა ფულადი გადახდევინების შესახებ, რასაც არ ითხოვს შემკვეთი. შემკვეთს აკისრია ძირითადი ვალდებულება არაკეთილსინდისიერი შესრულების ფარგლებში. სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად მიუღებელი მომსახურების ფასი არა 2000 დოლარი, არამედ დავის საგნის მოცულობის შესაბამისად 67341 ლარია, რაზეც მონინალმდეგე მხარეს რელევანტური მტკიცებულება არ წარმოუდგენია (იხ., საკასაციო საჩივარის საფუძვლები).

სამოტივაციო ნაწილი:

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

46. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგი გარემოებების გამო:

47. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო ამონიებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო შეამონმებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლითაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის 9 500.00 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ. ამავ ე გადაწყვეტილებით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით, ... საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საკუთრების უფლებით გადაეცა მოპასუხეს.

48. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

49. განსახილველ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ 2018 წლის 04 ივლისს მოპასუხის კუთვნილ ავტოგასამართ სადგურზე, ოპე-

რატორმა, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტომობილში („MERCEDES BENZ C 200 CDI“ (სახელმწიფო ნომრით ...), დიზელის სანავის ნაცვლად ბენზინი ჩაასხა, რამაც ავტომანქანის ძრავის დაზიანება გამოიწვია. მოპასუხემ დაზიანებული ავტომობილის შესაკეთებლად 2 000 აშშ დოლარის გამოყოფის მზადყოფნა გამოხატა, თუმცა, მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა. მოსარჩელემ სარჩელით მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის სახით – 67 341 ლარის ანაზღაურება და თავისი სასარჩელო მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ ავტომანქანის აღდგენის ღირებულება 67 341 ლარს შეადგენს. ზიანის ოდენობის დასადასტურებლად კი, მოსარჩელე ეყრდნობა შპს „ა-ს“ მიერ 2018 წლის 02 აგვისტოს გაცემულ ინვოისს, რომლის თანახმად, ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI სარემონტო მომსახურების ღირებულება შეადგენს 67 341 ლარს, საიდანაც სამუშაოს ღირებულებაა – 1 691 ლარი, ხოლო სათადარიგო ნაწილების ღირებულება – 65 650 ლარი.

50. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, მანქანის აღდგენის ღირებულების (მიყენებული ზიანი) ანაზღაურება სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), სსკ-ის 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და სსკ-ის 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დელიქტიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრება ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, 2) სახეზე უნდა იყოს ზიანი, 3) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის, 4) ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეუ-

ლი, არამედ ზიანის გამომწვევიც. თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა (შდრ. სუსგ-ები №ას-72-72-2018, 15.02.2018; №ას-749-2020, 12 ოქტომბერი, 2020 წელი).

52. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზია შეეხება დავის სამართლებრივ შეფასებასაც, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემული დავა არ უნდა მოწესრიგებულიყო დელიქტური ვალდებულების ფარგლებში, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურზე, სოფ. ... მიმდებარე ტერიტორიაზე 2018წ-ს 04 ივლისს, ი. კ-ქმ (დ. კ-ძის მამა), რომელიც მართავდა დ. კ-ძის ავტომობილს, იყიდა ს.ჯ.პ-მისაგან სერვისის მოსახურება. შესრულების საგანი იყო, მოწინააღმდეგე მხარის ბიზნესსაქმიანობის ფარგლებში, ი. კ-ძის მფლობელობაში მყოფ ავტომანქანისათვის სერვისის მომსახურების გაწევა, კერძოდ, ავზი უნდა გაემართა საწვავით, რისთვისაც მყიდველმა ი. კ-ქმ გადაუხადა 70 ლარი. მოწინააღმდეგე მხარემ ვალდებულება შეასრულა ნაკლით და დიზელის ნაცვლად ჩაუსხა ბენზინი. დიზელის საწვავის სისტემით აღჭურვილი ავტომობილის, ბენზინით გამართვით დაირღვა ექსპლუატაციის წესი. საექსპლუატაციო მოქმედების წესი მოქმედებს ყველა იმ ნაწილზე, სადაც უნდა გაეარა დიზელს და გაიარა ბენზინმა. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, როგორც ნასყიდობის, ასევე ნარდობის სახელშეკრულებო ნორმები.

53. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განსაზღვრა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება და სადავო სამართალურთიერთობისადმი მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა და ის შეზღუდული არ არის მხოლოდ მხარის მიერ მითითებული სამართლის ნორმებით (შდრ. სუსგ ას-№1522-2018, 28 მაისი, 2019 წელი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

54. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

55. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

56. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეზღუდული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება (შეადრ: სუსგ №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი).

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების ნაწილში, რომც იქნეს გაზიარებული კასატორის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების 3.52-ში მითითებული პრეტენზია, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა, როგორც ნასყიდობის, ასევე, ნარდობის სახელშეკრულებო ნორმები, მოცემული დავის იურიდული შედეგი მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის კუთხით, მაინც ვერ შეიცვლება შემდეგი გარემოებების გამო:

58. როგორც საქმეზე დადგენილია, მოსარჩელე სადავოდ ხდის მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას (მანქანის აღდგენის ღირებულება). მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას უნდა აუნაზღაურდეს ავტომანქანის აღდგენის ღირებულება 67 341 ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატა იმსჯელებს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის მართლზომიერად განსაზღვრის საკითხზე.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის სა-

ფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება. ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებათა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა. (იხ. დამატებით: ლ. ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2011 წ., გვ.132; ჰ. ბიოლინგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი“, თბილისი-ბრემენი, 2004-2009 წ., გვ.14; ქ. ქოჩაშვილი, „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას“, თბ, 2012წ, გვ.280; ს. ჩაჩავა, „მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში“, სად. ნაშრ., თსუ, 2010, გვ.39; ს. ჰენშელი, „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა“, თბ., 2009, გვ.84).

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს. კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძველის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას. მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

62. მოცემული დავის ფარგლებში, ზიანის ოდენობის (მანქანის აღდგენის ღირებულება) დადგენისათვის კასატორის მითითების გაზიარების შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სსკ-ის 394 I, 408 I, 409-ე, 340-ე (შერეული ხელშეკრულება) მუხლების დანაწესები.

63. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით.

64. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს და იწვევს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას. (შდრ. ჰ. ბოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ.33). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა, მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულებისას ჩნდება პრობლემა. პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს ვალდე-

ბულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში. ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.

65. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხატება სამართალდამრღვევისათვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ – ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით, რომლებიც ითვალისწინებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებითი მოქმედების შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ევალებოდა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაქტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ზოგადთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

66. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებული პირისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდარღვევის ბრალი.

67. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზოგადეს ნორმას წარმოადგენს სსსკ-ის 394 I მუხლი, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს (შდრ. გიორგი ვაშაყიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი

394-ე, ველი 2, თბილისი, 2019). აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენების წინაპირობებია: 1) ზიანი; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა 3) მიზეზობრივი კავშირი 4) ბრალი.

68. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამონვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს. კონტინენტური ევროპის კერძო სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით, როგორც დამატებითი ხასიათის და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია ანდა კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ასეთი შესრულების მიმართ. საერთო სამართალი კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განიხილავს, როგორც კრედიტორის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას და მას ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ვალდებულების შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში.

69. ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებდა. დოქტრინაში ასეთ მიდგომას უწოდებენ დადებით სახელშეკრულებო ინტერესების დაცვას, განსხვავებით უარყოფითი სახელშეკრულებო ინტერესების დაცვისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კრედიტორის იმ მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა და რომლის დაცვაც, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ბათილად იქნება აღიარებული.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-

ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც (შდრ. გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 408-ე, ველი 9, თბილისი, 2019).

71. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში ანუ ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. (შდრ. გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 408-ე, ველი 10, თბილისი, 2019).

72. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. (შდრ. გიორგი რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 408-ე, ველი 14, თბილისი, 2019). ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი. ვალდებულების დარღვევის ხასიათის მიხედვით, დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განასხვავებენ საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს. საკომპენსაციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას. ის ცვლის შესრულებას. ამიტომაც, კრედიტორს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 409-ე მუხლი).

73. მორატორული ზიანი მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილების შედეგია. მოვალის მიერ ვადის გადაცილება ვალდებულების დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს. კანონით გათვალის-

წინეულ ასეთ მოქმედებას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს (სსკ-ის მე-400 მუხლი) (შდრ. გიორგი ვაშაქიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 394-ე, ველი 9, თბილისი, 2019). მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. განსხვავება საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს შორის იმაში მდგომარეობს, რომ საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების ნატურით შესრულება, ხოლო მორატორული ზიანის დროს ვალდებულება სრულდება, მაგრამ ვადის გადაცილებით.

74. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექვატურობა; სავარაუდოობა.

75. საკასაციო პალატა განმარტავს, ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

76. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და

მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლსაწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ეკვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას. ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახე-

დიდან დასტურდება. სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო (მდრ. ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 48). მასასადამე, უშუალო ანუ ადექვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

78. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული სახელმშეკრულებო სამართალში (მდრ. გიორგი ვაშაქიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 1, თბილისი, 2019). ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რაც განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლებისადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი, როგორც სახელმშეკრულებო პასუხისმგებლობის უზოგადესი წინაპირობა, მნიშვნელობას იძენს გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებული შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელმშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმომობაზე, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება. (მდრ. ნ. ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელმშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 143.).

79. სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფ-

როხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს“. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. (მდრ. გიორგი ვაშაყიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 20, თბილისი, 2019).

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახვი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“. განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორცაა ნებელობითობა, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახვი ბრალის სახეებად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.

81. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ-ი არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას. კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად

განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. «გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებია-ნობას», რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედუ-ლების დაცვა. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და მარტივი გაუფრთხი-ლებლობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავი-სი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცი-ლებელი ყურადღებია-ნობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მა-ღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებ-ლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხი-ლებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებია-ნობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხე-ში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის სა-ჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარის-ხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, რო-ცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი.

82. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელსაც იყე-ნებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მო-ცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქ-მედების დროს“. აღნიშნული ნორმის დანაწესი პასუხისმგებლო-ბის სუბიექტური შერაცხვის საფუძველია. ის არის დამხმარე ნორ-მა და არა მოთხოვნის საფუძველი. ამ ფუნქციის ფარგლებში სსკ-ის 396-ე მუხლი ავსებს სსკ-ის 395-ე მუხლს და აფართოვებს მოვა-ლის პასუხისმგებლობის სფეროს (შდრ: ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინ-გჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხო-ვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ.60). მო-ვალის პასუხისმგებლობა დამხმარე პირთა ქმედებისათვის მკაც-რი პასუხისმგებლობის ფორმაა. ნორმის მიზანია დაიცვას კრედი-ტორის ლეგიტიმური ინტერესები (შდრ. გიორგი ვაშაკიძე, საქარ-თველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 396-ე, ველი 2, თბილისი, 2019).

83. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვე-ვაში, უდავოდაა დადგენილი მოწინააღმდეგე მხარის (მის მიერ სა-კუთარი ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული პირის ქმედებით – სსკ-ის 396-ე მუხლი,) მიერ მოსარჩელისათვის ქონებ-რივი ზიანის მიყენების ფაქტი.

84. საკასაციო პალატა განამარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ზიანის დადგომის შემთხვევაში (სსკ-ის 326-ე მუხლი), განმტკიცებულია სსკ-ის 408.1 მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ უპირველესად, უნდა შეაფასოს ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა (შდრ. სუსგ-ები №ას-1843-2018, 5 მარტი, 2019 წელი, პ-14.2; №ას-167-163-2016, 01.07.2016).

85. მაშასადამე, ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

86. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ როგორც ფაქტების მითითების, აგრეთვე, მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა. გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით, უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოე-

ბის სიტყვაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

87. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადანყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადანყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადანყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, §59; *Perez v. France*, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21).

88. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სა-

სამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

89. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგეობით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

90. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

91. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება

გამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

92. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებები ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

93. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას. სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

94. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოე-

ბაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

95. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ შემდეგი დასკვნის გაკეთება: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

96. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლელი: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და

პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადანყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2004, გვ.64).

97. სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს.

98. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ოდენობას ამყარებს შპს „ა-ს“ მიერ გაცემულ ინვოისზე, რომლის მიხედვით, სადავო ავტომანქანის აღსადგენად საჭირო სამუშაოს და მასალების საერთო ღირებულება ჯამში, 67 341 ლარს შეადგენს. (მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ამავე კომპანიის ცნობით დგინდება, რომ ავტომობილების შეკეთებას კომპანია აწარმოებს მხოლოდ ახალი სათადარიგო ნაწილებით, რადგან ქარხანა დამამზადებლის ნორმატივების შესაბამისად, საექსპლუატაციო დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს მეორადი ნაწილების და კვანძების გამოყენებას).

99. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, თავად სადავო ავტომობილის საბაზრო ღირებულება დაზიანებამდე შეადგენდა 9 500 ლარს. დიზელის ძრავის საბაზრო ღირებულება – 1 350 ლარს, ხოლო მისი მონტაჟის ღირებულება – 300 ლარს. მოპასუხემ ასევე წარმოადგინა არაერთი კომპანიის მიერ გაცემული ინვოისი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების ღირებულების შესახებ და მასში მითითებული ფასები არ აღემატება 2 300 ლარს. მოპასუხემ გამოხატა მზადყოფნა დამატებით 2 000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ,

თუმცა მოსარჩელემ თანხის მიღებაზე უარი განაცხადა.

100. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც თავად ავტომანქანა დაზიანებამდე 2018 წლის 05 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით 9 500 ლარად არის შეფასებული, ხოლო ამის სანინა-აღმდგომ მტკიცებულება კი მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი, უფრო მეტიც, მოსარჩელისვე განმარტებით, მან 2001 წელს გამოშვებული ავტომანქანა 2014 წელს გერმანიაში შეიძინა 3200 ევროდ, (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.13,14) და გადამწყვეტია, აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება, შეუძლებელია გონივრულად იქნეს მიჩნეული მანქანის აღდგენითი სამუშაოებისათვის 67 341 ლარის განსაზღვრა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება გამოიწვევს მოპასუხისათვის არათანაზომიერად დიდი დანახარჯების დაკისრებას, რაც ეწინააღმდეგება ისეთ სამართლებრივ პრინციპს, როგორიცაა უსაფუძვლო გამდიდრების არდაშეება. ზიანის ანაზღაურების (მანქანის აღდგენის ღირებულება) ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად გაცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს, რადგან ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

101. ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ვალდებულ პირს ამ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას ნატურით რესტიტუციაზე და დაზარალებულს სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია შესთავაზოს. დაზარალებულს ამ შემთხვევაში, უნაზღაურდება არა შენარჩუნება-აღდგენის, არამედ მხოლოდ ღირებულების ინტერესი. ქონებრივი ზიანის შემთხვევაში თანაზომიერების დადგენისას უმნიშვნელოა, უძნელდება თუ არა ზიანის მიმყენებელს ნივთის ნატურით აღდგენა, გადამწყვეტია მხოლოდ აღდგენის ღირებულებისა და ნივთის (თავდაპირველი) ღირებულების შეპირისპირება, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ერთიანი თანაზომიერების პრინციპის განსაზღვრა და ეს საბოლოო ჯამში დაზიანებულის შენარჩუნების ინტერესზეა დამოკიდებული.

102. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, კასატორმა დასაშვები

(დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია ვერ წარმოადგინა.

103. კასატორის პრეტენზია შეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევასაც, კერძოდ, რომ სააპელაციო სასამართლომ თვითნებურად შეასწორა სასარჩელო მოთხოვნის ტექსტი, გასცდა დავის საგნის მოთხოვნებს, რითაც დაირღვა სსსკ-ის 248-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არ აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხრეს, ის რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ დავაში მანქანის საკუთრება არ არის სადავო სარჩელით. სააპელაციო სასამართლომ კი, გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ჩამოართვა კერძო საკუთრება – ავტომანქანა, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი, (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

104. საკასაციო პალატა განამარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

105. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების

თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 178-ე მუხლის „გ“, „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტებში, რომლის თანახმად, მოსარჩელე უთითებს დავის საგანს და სარჩელის მოთხოვნას, ასევე, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლომ დავის განხილვისა და საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა დაიცვას სარჩელის მოთხოვნის ფარგლები. ერთ-ერთ საქმეში საკასაციო პალატამ განმარტა: „... სსსკ-ის 248-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული ნორმის დანაწესი არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ, სააპელაციო და საკასაციო განხილვის წესებზეც ვრცელდება, რამდენადაც, ამავე კოდექსის 384-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მოთხოვნის ფარგლებში შეცვალოს, ხოლო საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვისას დავის საგნის გადინდება დაუშვებელია (სსსკ-ის 381-ე და 406-ე მუხლები) (შდრ: სუსგ №ას-863-813-2015, 17 დეკემბერი, 2015, პ-1.4). სხვა საქმეშიც აქვს ნამსჯელი საკასაციო პალატას მოთხოვნის ფარგლებში სასამართლოს მოქმედების ვალდებულებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ „... დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ (სსსკ 3.1), ამდენად, როგორც სასამართლოში დავის დაწყება, ისე მოთხოვნის ჩამოყალიბება თუ დავის საგნის განსაზღვრა მხოლოდ მხარის პრეროგატივაა, სასამართლოს როლი, სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, განისაზღვრება მხარეთა მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში გამოკვლევასა და სამართლებრივ შეფასებაში. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (შდრ: სუსგ №ას-395-374-2013, 23 სექტემბერი, 2013 წელი; №ას-1851-

2018, 2 მაისი, 2019).

106. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიმართ წარდგენილ სარჩელით მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის სახით – 67 341 ლარის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა. დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მიერ და მოსარჩელის მიერ წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე მსჯელობისას მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის ანაზღაურება (9500 ლარი), ხოლო მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საკუთრების უფლებით გადაეცა მოპასუხეს, მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლოში იხილებოდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი. როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს მოთხოვნის ფარგლების დაცულობისა და დავის საგნის სასამართლოს მხრიდან ფორმირების შეუძლებლობის თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გაცდენოდა სასარჩელო მოთხოვნას და თუნდაც, იმ პირობებში, თუკი ჩათვლიდა, რომ არსებობდა სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი – მოპასუხისათვის ზიანის სახით თანხის დაკისრების წინაპირობა, მას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ემსჯელა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე (სსსკ-ის 377-ე მუხლი) და მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საკუთრების უფლებით არ უნდა გადაეცა მოპასუხისათვის. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

107. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ვინაიდან არ იკვეთება საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი), ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, თავად იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს არ გააჩნდა რაიმე მოთხოვნა მოსარჩელის მიმართ, სააპე-

ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის MERCEDES-BENZ C 200 CDI, სახელმწიფო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო ნომრით ..., საკუთრების უფლებით მოპასუხისათვის გადაცემის ნაწილში, უნდა გაუქმდეს.

108. რაც შეეხება კასატორის შედავებას, რომ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრა ი. კ-ძემ, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში სარჩელის აღმძვრელად არასწორად მიუთითა დ. კ-ძე (გადაწყვეტილების პუნქტი 1). აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგი გარემოების გამო: საქმეზე დადგენილია, რომ სარჩელი აღძრულია დ. კ-ძის სახელით დ. კ-ძის წარმომადგენლის – ტ. კ-ის მიერ. ამასთან, იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დადებულია და მინდობილია ტ. კ-ძე გაცემულია თავად დ. კ-ძის მიერ. სსსკ-ის 93-ე-98-ე მუხლების შესაბამისად, განხორციელდა დ. კ-ძის საპროცესო უფლებების დაცვა მისი წარმომადგენლის მიერ. ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, საპროცესო დარღვევას ადგილი არ აქვს.

109. რაც შეეხება კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურებას, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე კასატორს მონინალმდეგე მხარემ უნდა აუნაზღაუროს დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რაც შეადგენს 475 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი. სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. შპს „ს.ჯ.პ-მს“ დ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 475 ლარის ოდენობით;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად
დამდგარი ზიანის ანაზღაურება**

ბანჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-717-717-2018

14 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისში, ხ-ის მიმდებარედ, დაახლოებით 00:40 წუთზე, ერთმანეთს შეეჯახნენ ავტომობილი ფ., სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით E-..., რომელსაც შპს „ს-ს“ მძღოლი ლ. ხ-ი მართავდა და ავტომობილი ფ-ო, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით W-..., რომელსაც ნ. კ-ი (შემდგომში – „მოპასუხე“, „საჩივრის ავტორი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) მართავდა.

2. საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის 2014 წლის 18 მარტის ელექტრონული საჯარიმო ქვეთრითე-... მოპასუხე ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენად და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ადმინისტრაციული ჯარიმა 250 ლარის ოდენობით. მოპასუხეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ გაუსაჩივრებია. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2014 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში მითითებულია, რომ მოპასუხემ დაარღვია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები. ავტომობილების შეჯახების შედეგად დაზიანდა ორივე ავტომობილი.

3. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2014 წლის 3 თებერვლის №111/ს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ვიზუალური დათვალიერებითა და შემოწმებით დადგინდა, რომ ფ-ს, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით E-..., დაზიანებული და გამოსაცვლელი აქვს: მარჯვენა წინა მაშუ-

ქის პლასტმასის მოპირკეთება. სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს: წინა ბამპერის მარჯვენა მხარე, ძრავის სახურავი, მარჯვენა წინა ფრთა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედებს თავისუფალი (საბაზრო) ფასები. დაზიანებული და გამოსაცვლელი ნაწილების ღირებულება განისაზღვრა თბილისის კომერციულ სტრუქტურებში ანალოგიურ, ექსპლუატაციაში ნამყოფ ნაწილებზე არსებული საცალო-სარეალიზაციო ფასების შეჯერებით და დადგინდა მარჯვენა წინა მამუქის პლასტმასის მოპირკეთება – 100 ლარი. სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების (რაც ითვალისწინებს გამოსაცვლელი ნაწილის მოხსნა-დაყენებას, სათუნუქე, საფითხ-სამღებრო სამუშაოებს) ღირებულება განისაზღვრა ავტო-სარემონტო სახელოსნოებში ანალოგიური სახის და მოცულობის სამუშაოებზე არსებული ფასების გათვალისწინებით, რაც მოცემულ შემთხვევაში შეესაბამება 800 ლარს. ამდენად, აღდგენითი სამუშაოების ღირებულება იქნება 900 ლარი, რასაც ემატება გათვალისწინებული სამუშაო ხარჯი 10% და მიიღება 990 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ავტომანქანის აღდგენისათვის საჭირო თანხის საორიენტაციო ოდენობა შეადგენს 990 ლარს.

4. შპს „ს-ს“ 2014 წლის 23 იანვრის ინვოისით ფ-ს, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით E-..., აღდგენისათვის საჭიროა: ფარი წინა მარჯვენა – 480 ლარი, ფარის შეცვლა – 50 ლარი, ფარის კანტი მარჯვენა – 150 ლარი, ფარის კანტის შეცვლა – 15 ლარი, გიტარა მარჯვენა – 305 ლარი, გიტარა მარჯვენას შეცვლა – 70 ლარი, ინტერქულერის მილი – 312 ლარი, ინტერქულერის მილის შეცვლა – 90 ლარი, მტვერდამცავი მარჯვენა – 75 ლარი, მტვერდამცავის დემონტაჟი-მონტაჟი – 50 ლარი, კალპაკი – 105 ლარი, აბლიცოვკა – 802 ლარი, აბლიცოვკის დემონტაჟი-მონტაჟი – 40 ლარი, წყლის რადიატორი – 980 ლარი, წყლის რადიატორის შეცვლა – 140 ლარი, გამაგრილებელი სითხე – 128 ლარი, სარკე გვერდითი კომპლექტი – 370 ლარი, წინა ბამპერის მარჯვენა კუთხე – 360 ლარი, წინა ბამპერის მარჯვენა კუთხის შეცვლა – 50 ლარი, წინა მარჯვენა ფრთა – 400 ლარი, სათუნუქე სამუშაოები, წინა ეკრანის და ფრთის დემონტაჟი-მონტაჟი – 300 ლარი, სამღებრო სამუშაოები წინა ფრთის ეკრანის – 440 ლარი, გვერდითი სარკის შეცვლა – 50 ლარი, ჯამში 5762 ლარი.

5. ფ-ს მარკის ავტომობილი, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით E-..., ავტო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაზღვეული იყო სს „ს-ში“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „აპელანტი“, „სადაზღვევო კომპანია“ ან „მზღვეველი“). დაზღვევა მოიცავდა ამ კონკრეტულ სადაზღვევო რისკსაც.

6. სადაზღვევო კომპანიამ 2014 წლის 5 თებერვალს დაზღვეულის მოთხოვნის შესაბამისად, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო ზიანის ანაზღაურების მიზნით, დაზიანებული ავტომობილის აღდგენისათვის შპს „ს-ს“ გადაურიცხა 5762 ლარი. დაზღვეულმა მზღვეველს ჩაურიცხა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშიზა 150 ლარი.

7. სადაზღვევო კომპანიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა დელიქტით მიყენებული მატერიალური ზიანის 5612 ლარის გადახდა.

8. მოპასუხემ სარჩელი ცნო 990 ლარის დაკისრების ნაწილში, ხოლო დარჩენილ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა არ წარმოადგენს ზიანის იმ ოდენობას, რა ოდენობის ზიანიც ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიადგა დაზარალებულს.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დელიქტით მიყენებული მატერიალური ზიანის 990 ლარის გადახდა; დარჩენილ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში ასახულ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა, ხოლო სადავო ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობისას, დაადგინა, რომ ფ-ს, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით E-..., შეჯახების შედეგად პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანისათვის აღდგენის ღირებულება შეადგენდა 990 ლარს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს ავტოსატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილების მძღოლების მიერ საპატრულო პოლიციისათვის გაკეთებული ახსნა-განმარტების ასლები იმ ფაქტობრივი გარემოების დასადაგენად, თუ გარეგნულად რა დაზიანება მიიღეს შეჯახების შედეგად ავტომობილებმა, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დათვალეირების ოქმში არ იყო ასახული ავტომობილების დაზიანებები, საქმეში წარმოდგენილი შპს „ს-ს“ მიერ გაცემული ინვოისის თარიღი წინ უსწრებდა სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის გაცემის თარიღს, ამასთან, ინვოისში მითითებული ნაწილების ჩამონათვალი შესაბამისობაში არ მოდიოდა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ დაზიანებებთან და გასანევ მომსახურებებთან, ასევე, მნიშვნელოვნად განსხვავებოდა ინვოისში მითითებული აღდგენის ღირებულების ჯამი – 5762 ლარი სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ ღირებულებასთან – 990 ლართან, რის

გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ორი მტკიცებულების: შპს „ს-ს“ ინვოისის და სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისა და კონკურენციის პირობებში უპირატესობა უნდა მიანიჭებოდა სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ დაზიანების ჩამონათვალსა და აღდგენის ღირებულებას. ამასთან, კერძო კომპანიის მიერ მასთან არსებული ნაწილების და მომსახურების ღირებულებით არ შეიძლება დადგენილიყო დაზიანების აღდგენისათვის საჭირო საბაზრო ღირებულება. ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება გაბათილებულიყო სხვა ექსპერტიზის დასკვნით და არა – კერძო კომპანიის ინვოისით. სასამართლომ განმარტა, რომ იმ ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ დაზიანებული ავტომობილის ნაწილები აღდგენას არ ექვემდებარებოდა, რის გამოც ისინი შეიცვალა ახლით, მოდიოდა მოსარჩელე მხარეზე, რომელსაც აღნიშნულის დასადასტურებლად რაიმე სახის მტკიცებულება არ ჰქონდა წარდგენილი.

11. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ იმ ნაწილში, რომელშიც მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის (მოსარჩელის) შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4622 ლარის გადახდა.

13. დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ საფუძველზე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 აპრილის განჩინებით მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირ განხილვაზე, რომელიც დანიშნული იყო 2018 წლის 10 იანვარს 15:00 საათზე, არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე,

რომელიც სასამართლოს სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

16. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებსა და 230-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე მონიშნულმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარსა და ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მოპასუხის ბრალეული ქმედებით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევის გამო დაზიანდა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეული, შპს „ს-ს“ ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომლის აღსადგენად მოსარჩელემ გასწია 5762 ლარის ხარჯი, რაც წარმოადგენს მისთვის მოპასუხის მიერ მიყენებულ ზიანს. ამ თანხიდან ასანაზღაურებელი დარჩა 4612 ლარი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დამტკიცებულად მიჩნეული ეს ფაქტობრივი გარემოებები სსკ-ის 832-ე, 992-ე და 999.1 მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას. შესაბამისად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე ამავე სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილის განჩინების გაუქმება.

18. საკასაციო საჩივრის ავტორის განცხადებით, სარჩელის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი, რომლის თანახმად, პირმა უნდა აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი ქმედებით მიადგა სხვა პირს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც მოპასუხის ქმედებით არ გამოწვეულა ან იმ ფორმით არ გამოწვეულა, რაც სარჩელშია მითითებული. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ის დეტალები, რაც შეცვლილი იქნა ავტომანქანაზე, არ არის დაზიანებული, ხოლო აღდგენადი დეტალები, როგორც ექსპერტი უთითებს, საერთოდ ახლით იქნა შეცვლილი, რამაც აბსურდულად გაზარდა ფასი. შესაბამისად, ზიანის ოდენობა უსაფუძვლოდ არის გაზრდილი, რაც სადაზღვევო კომპანიის კონტრაქტორი და მასთან დაკავშირებული სარემონტო კომპანიის ხარჯთაღრიცხვით არის გამყარებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შსს-ს ექსპერტიზის დასკვნას და აქედან უნ-

და მოხდეს ზიანის თანხის გადახდევინება. გასაჩივრებულ გადან-
ყვეტილებაში მხოლოდ ერთი წინადადებაა მითითებული, რომ მოთ-
ხოვნა იურიდიულად გამართლებულია, თუმცა საიდან მივიდა სა-
სამართლო ამ დასკვნამდე, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2018 წლის 1 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი
წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩი-
ვარი ცნობილ იქნა დასაშვებად, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწი-
ლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის
საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული და-
უსწრებელი გადანყვეტილებისა და ამ გადანყვეტილების ძალაში
დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და
მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე
მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს
საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა
აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას სა-
ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამარ-
თლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა,
რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-
მის დასაბუთებას.

23. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასა-
მართლო გადანყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარ-
გლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასა-
ციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარ-
ტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და
სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს
მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-
პუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-
ნახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-
ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-
მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-
ბუთებული პრეტენზია (შედავება).

24. კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ
გამოტანილ დაუსწრებელ გადანყვეტილებას და ასევე ამ გადან-

ყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებას იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას.

25. სსსკ-ის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე მონინალმდევე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

26. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხეს საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა; 2. იგი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა; 3. სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

27. განსახილველ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ზემოაღნიშნული მესამე წინაპირობის არსებობას, რომლის შემონიშნის შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი შემადგენლობა (დადგენილად მიჩნეული გარემოებები) იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას და კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, გა-

ნახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენიანაღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და, თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (იხ. სუსგ №ას-356-338-2015, 2015 წლის 3 ივნისი).

29. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი წინამძღვრები იურიდიულად ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 999.1 [მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი], 408.1 [იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება] და 832.1 [თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის უნაზღაურებს დამზღვევს ზიანს. თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით] მუხლები.

30. განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა (მოსარჩელემ) სააპელაციო საჩივარში მიუთითა მთავარი ნორმის, სსკ-ის 999.1 მუხლით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელ ყველა წინამძღვარზე. აპელანტი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, ითხოვდა მოპასუხისთვის დარჩენილი 4622 ლარის დაკისრებას. აპელანტი სააპელაციო საჩივარში სადავოდ ხდიდა საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დაფუძნებას სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნაზე. მისი განმარტებით, აღნიშნული დასკვნით, რომლითაც სასწრაფო მანქანის უბრალოდ ვიზუალური დათვალიერება-შემომნება მოხდა, განისაზღვრა ზიანის საორიენტაციო ღირებულება ბაზარზე მეორადი ავტონაწილების ფასების მიხედვით, მაშინ როდესაც დადასტურებულია, რომ ავტომანქანა იყო ახალი, იმყოფებოდა ქარხნულ გარანტიაზე და მფლობელის მოთხოვნის და ქარხანა მწარმოებლის რეგლამენტის შესაბამისად დაზიანებული დეტალები უნდა შეცვლილიყო ახლით. გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხეს დაეკისრა თანხა, რომელიც ექსპერტმა მიუთითა დასკვნაში, როგორც ავტომანქანის დაზიანებული ნაწილების მეორადი ავტონაწილებით ჩანაცვლების და აღდგენის ღირებულება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შპს „ს.“ თავის წერილში აღნიშნავს, რომ დაზიანებულ ავტომანქანას (რომელიც იყო ახალი – 4 თვის) ქარხანა მწარმოებლის რეგლამენტის შესაბამისად, ესაჭიროებოდა სერვისისთვის ახალი დეტალები. სასწრაფოს ახალი მანქანისთვის ძველი/მეორადი ნაწილების დაყენებით საფრთხე შეექმნებოდა როგორც მედპერსონალის, ისე პაციენტების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრსაც ჰქონდა მოთხოვნა დაზიანებული ავტონაწილების ახლით ჩანაცვლების. იქნებოდა თუ არა ავტომანქანა დაზღვეული, სერვისის მაინც შპს „ს-ში“ განხორციელდებოდა და რეალური ზარალის თანხა მაინც შპს „ს-ს“ ინვოისით განისაზღვრებოდა, ვინაიდან ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აღადგინოს ნივთი პირვანდელ მდგომარეობაში ან აანაზღაუროს ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ხარჯი.

31. ამდენად, სააპელაციო საჩივრით აპელანტი სადავოდ ხდიდა ზიანის ოდენობას და მიიჩნევდა, რომ ზიანის ოდენობა უნდა დადგენილიყო შპს „ს-ს“ 2014 წლის 23 იანვრის ინვოისით, რომლის თანახმად, ზიანის ოდენობა 5762 ლარით განისაზღვრა. სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტების თანახმად, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით (რომელსაც დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას) მოხდა დაზიანებული მანქანის უბრალოდ ვიზუალური დათვალიერება-შემომნება და განისაზღვრა ზიანის საორიენტაციო ღირებულება ბაზარზე მეორადი ავტონაწილების ფასების მიხედვით, თუმცა დაზიანებულ მანქანას ესაჭიროებოდა ახა-

ლი დეტალები და რეალური ზიანის ოდენობა შპს „ს-ს“ ინვოისით იყო განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ შპს „ს-ს“ ბალანსზე მყოფი ავტომანქანის აღსადგენად მოსარჩელემ გასწია 5762 ლარის ხარჯი, რაც წარმოადგენს მისთვის მოპასუხის მიერ მიყენებულ ზიანს.

32. გამომდინარე აქედან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, მონინალმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, ჩაითვალა დამტკიცებულად, იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და მოპასუხისთვის 4622 ლარის (მოპასუხის მიერ აღიარებული სასარჩელო მოთხოვნის – 990 ლარისა და ფრანშიზას – 150 ლარის გამოკლებით) დაკისრების თაობაზე. ამდენად, მოცემულ საქმეზე არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა იგი ძალაში, ხოლო საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვერ გახდება მათი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2018 წლის 4 აპრილის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე დარჩეს უცვლელი;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge